ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

მწვანე ბიუჯეტის პროექტი

ოზურგეთი
2026

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა პროექტ „მწვანე კავკასიის“ ინიციატივით, რომელიც ხორციელდება კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით, ავსტრიის საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში.

გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელისა და დონორი ორგანიზაციის თვალსაზრისს.

პროექტის მომზადებაში ჩართული მხარეები:

დავით დარსაველიძე - მწვანე ეკონომიკის მკვლევარი

რევაზ გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის დირექტორის მოადგილე

მარიამ გელაშვილი - პროექტის ასისტენტი

მადლობას მოვახსენებთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით:

პაატა კუნჭულია	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი
ბექა ჩხიკვიშვილი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ასევე, სამსახურების ხელმძღვანელებს და მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში:

პავლე ჭყონია	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
ხათუნა სურგულაძე	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი
მარიამ დარჩია	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი
ნატალია ხომერიკი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი
თემურ მურვანიძე	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი
კობა ბანძელაძე	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი
ლიკა ღლონტი	ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის აპარატის უფროსი.

შინაარსი

აბრევიატურები 5

მწვანე ბიუჯეტის პროექტი 6
- დოკუმენტის მიზანი 6
- მიდგომა და შეზღუდვები 6

მწვანე ბიუჯეტის მნიშვნელობა 8

სტრატეგიული პოლიტიკა მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში 14
- განვითარების ხედვა 14
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 14
- საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა 19
- მდგრადი ოზურგეთი 21
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა 27

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დოკუმენტების გარემოსდაცვითი ანალიზი 35
- ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) 35
- ბიუჯეტის დადგენილება 43
- შესრულების წლიური ანგარიში 57
- მწვანე ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპები 62

ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტები 65

საერთაშორისო თანამშრომლობა და მხარდაჭერა 68

გარემოსდაცვითი მმართველობა 72
- გარემოსდაცვითი რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება 74

გარემოსდაცვითი განათლება 78

საგანგებო სიტუაციების რისკების მართვა DRM 80

მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა 83

მწვანე შესყიდვები 87

დარგობრივი პრიორიტეტები 90
- სოფლის მეურნეობა 90
- ენერგეტიკის სექტორი 93
- ტურიზმი 95
- სატყეო სექტორი 98
- ინიციატივა განხილვისთვის 101
- ნარჩენების მართვა 102
- წყლის სექტორი 105
- გენდერული ანალიზი მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში 110

რეკომენდაციები 113

დანართი 119

გამოყენებული ლიტერატურა/წყაროები: 124

Summary of Ozurgeti Municipality Green Budgeting Project 127

ცხრილები

ცხრილი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში **18**

ცხრილი 2. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მიზანი 2-ის შემაჯამებელი ცხრილი მწვანე ბიუჯეტისთვის **20**

ცხრილი 3. „მდგრადი ოზურგეთის“ დოკუმენტის გააზრება მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში **23**

ცხრილი 4. ოზურგეთის SECAP-ის ღონისძიებების ასახვა მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში . **32**

ცხრილი 5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ანალიზი მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში (მლნ ლარი) **39**

ცხრილი 6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ანალიზი მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში (მლნ ლარი) **42**

ცხრილი 7. ოზურგეთის 2026 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით .. **48**

ცხრილი 8. ოზურგეთის 2025 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით .. **55**

ცხრილი 9. ოზურგეთის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მწვანე ბიუჯეტირებით გააზრება **60**

დიაგრამები

დიაგრამა 1. მდგრადი ოზურგეთის გამოყენება მწვანე ბიუჯეტირების მიზნებისთვის: .. **24**

დიაგრამა 2. ოზურგეთის 2026 წლის გამოკვეთილი გარემოსდაცვითი პროგრამები **43**

დიაგრამა 3. ოზურგეთის 2026 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით . **45**

დიაგრამა 4. მწვანე/კლიმატის ხარჯების წილი 2026 წლის მთლიან გადასახდელებში .. **49**

დიაგრამა 5. ოზურგეთის 2025 წლის გამოკვეთილი გარემოსდაცვითი პროგრამები **51**

დიაგრამა 6. ოზურგეთის 2025 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით . **52**

დიაგრამა 7. მწვანე/კლიმატის ხარჯების წილი 2025 წლის მთლიან გადასახდელებში .. **56**

აბრევიატურები

ADA	ავსტრიის განვითარების სააგენტო
BDD	ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CO_2	ნახშირორჟანგი
GCF	მწვანე კლიმატის ფონდი
GEF	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
EU	ევროკავშირი
IT	საინფორმაციო ტექნოლოგიები
LAG	ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი
LEADER	სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირის ხელშეწყობა Liaison Entre Actions de Développement de l'Économie Rurale
LED	შუქდიოდური
NEAP	საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
RECP	რესურსეფექტიანი და სუფთა წარმოება
SECAP	მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SME	მცირე და საშუალო საწარმო
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
₾	ლარი

მწვანე ბიუჯეტის პროექტი

დოკუმენტის მიზანი

2026 წლის 25 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შედეგად გადაწყდა 2025 წლის საბიუჯეტო მონაცემების შეფასება მუნიციპალურ დონეზე „მწვანე ბიუჯეტირების“ პროცესის გაანალიზების მიზნით.

შეხვედრის დროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული საჭიროებისა და ორგანიზაცია CENN-ის მხარდაჭერით, არაფორმალურად შეიქმნა „მწვანე ბიუჯეტის პროექტის“ სამუშაო ჯგუფი საკრებულოს წევრების, მერიის მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტების შემადგენლობით.

„მწვანე ბიუჯეტის პროექტის“ დოკუმენტი მომზადებულია CENN-ის მიერ მოწვეული ექსპერტისა და სამუშაო ჯგუფის აქტიური ჩართულობით. დოკუმენტი ახდენს გამოწვევების იდენტიფიცირებას გარემოსდაცვითი მიმართულებების დაფინანსების კუთხით და მიზნად ისახავს ეფექტიანი საკანონმდებლო საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბებას. დოკუმენტში გაანალიზებულია მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი ფუნქციების განხორციელების შედეგები, განსაზღვრულია საბიუჯეტო პრიორიტეტები და შესაბამისად, შემუშავებულია რეკომენდაციები 2027-2029 წლების საბიუჯეტო პროცესისთვის.

„მწვანე ბიუჯეტის პროექტი“ პირველი სახელმძღვანელო დოკუმენტია საქართველოში მუნიციპალურ დონეზე, რომელიც აანალიზებს დარგობრივ და დარგთაშორისი გარემოსდაცვითი სისტემებსა და ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს და გამოკვეთს საჭიროებებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

მიდგომა და შეზღუდვები

ექსპერტისა და სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად, დარგში არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა ხედვა და რეკომენდაციები, რომელთა დანერგვა ხელს შეუწყობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2027-2028 წლებისთვის დარგობრივი პოლიტიკისა და საბიუჯეტო რესურსების დაგეგმვას გარემოსდაცვითი მიმართულებით. ამ მიზნით დოკუმენტის მომზადების ფარგლებში გაანალიზდა ინფორმაცია 2025 წლის ბიუჯეტის (ნაწილობრივ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტიც) გარემოსდაცვითი ასპექტების შესახებ და განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები ბიუჯეტის მოკლე და საშუალოვადიანი დაგეგმვისთვის.

შეფასების ნაწილში აქცენტი გაკეთდა ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების საკითხზე. ყურადღება გამახვილდა საკანონმდებლო ჩარჩოზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო „საქართველოს ტყის კოდექსით“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“, „ნარჩენების მართვის კოდექსით“, „**წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონით“** თუ სხვა დაკისრებული ინსტიტუციური ვალდებულებების ანალიზი სამომავლო ბიუჯეტირების მიზნით.

დოკუმენტი უშუალოდ უკავშირდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კომპეტენციებს, თუმცა ნაწილობრივ კვეთაშია სხვა მუნიციპალიტეტების, უწყებრივ თუ უწყებათშორის პრიორიტეტებთან. ინტერსექტორული საკითხებიდან ცალკე მიმართულებებად ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, წყალი, ტყე, ტურიზმი, მწვანე ბიზნესი, მწვანე შესყიდვები, გარემოსდაცვითი განათლება, ნარჩენები, საგანგებო სიტუაციების/რისკების მართვა.

პროცესის ფარგლებში მოხდა მუნიციპალური ბიუჯეტის სრული გაანალიზება; კერძოდ, შეფასდა ბიუჯეტისა და ბიუჯეტის პროგრამული დანართის გარემოსდაცვითი ასპექტები, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) და შესაბამისი დარგობრივი უწყებების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და 2025 წლის შესრულების ანგარიში. ანალიზმა მოიცვა, აგრეთვე, გარემოსდაცვითი ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების (საბიუჯეტო პროცესის) არსებული მიდგომები და ინსტრუმენტები.

მოცემული სახელმძღვანელო სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტია 2027 წლის ბიუჯეტის განხილვისთვის, სადაც მოცემულია მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად.

მწვანე ბიუჯეტის მნიშვნელობა

მწვანე ბიუჯეტი არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის სარეკომენდაციო ძალის მქონე სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიზანიცაა, გარკვეულწილად შესაბამისობაში მოიყვანოს მოცემული წლის ბიუჯეტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დარგში განსახორციელებელ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებთან. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) 2017 წელს მიღებული „პარიზის თანამშრომლობის"[1] ფარგლებში მწვანე ბიუჯეტირებას განმარტავს, როგორც გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევისთვის საჭირო საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტს. აღნიშნული მოიცავს საბიუჯეტო პოლიტიკის გარემოზე ზემოქმედებისა და მათი მუნიციპალურ, ეროვნულ და საერთაშორისოდ გაცხადებული ვალდებულებების შესრულებასთან თავსებადობის შეფასებას.

მწვანე ბიუჯეტირება უზრუნველყოფს გარემოს დაცვის მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსების განაწილების გამჭვირვალობას და საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტურ კომუნიკაციას. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტირება ხელს უწყობს ინფორმირებულ, ფაქტებზე დაფუძნებულ დებატებსა და დისკუსიას მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

მწვანე ბიუჯეტირების მიზანია დაძლიოს შემდეგი გამოწვევები:

- ✓ გარემოსდაცვითი ხარჯების არასისტემური დასაბუთება;
- ✓ შეფასებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს შორის სუსტი კავშირი;
- ✓ არასაკმარისი უწყებათშორისი თანამშრომლობა საბიუჯეტო პროცესში საერთო, სექტორთშორისი მიზნების მისაღწევად მდგრადი განვითარებისთვის და ეკონომიკური, ფისკალური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების თანხვედრის ნაკლებობა.

მწვანე ბიუჯეტირების კომპლექსურობა და ფოკუსი დამოკიდებულია პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და პოლიტიკურ ნებაზე. მწვანე ბიუჯეტირება არ ცვლის პოლიტიკას, არამედ კოორდინირებული ქმედებითა და სისტემური მიდგომით თანხვედრაში მოჰყავს საქმიანობების ერთობლიობა და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

მწვანე ბიუჯეტირება ადგილობრივი/მუნიციპალური ხელისუფლებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლევა:

- **გარემოსდაცვითი მიზნების შესრულება**: ასტიმულირებს გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებას; მაგ.: ებრძვის კლიმატის ცვლილებას,

1. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), "Paris Collaborative on Green Budgeting", https://www.oecd.org/environment/green-budgeting/

იცავს ბუნებრივ რესურსებს, ხელს უწყობს ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებას და ა.შ.

- **რესურსების ოპტიმიზაცია**: აუმჯობესებს ფინანსების განაწილებას და უზრუნველყოფს სახსრების მიმართვას გრძელვადიან, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებულ პროექტებზე.
- **გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა**: საზოგადოებას აძლევს მკაფიო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხმარდება ბიუჯეტში არსებული სახსრები გარემოსდაცვით ინიციატივებს.
- **საჯარო და კერძო ინვესტიციების მოზიდვა**: „მწვანე“ პროექტების მკაფიო დაგეგმვა ზრდის როგორც სახელმწიფო დაფინანსების, ისე კერძო სექტორისა და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერის შესაძლებლობებს.

მწვანე ბიუჯეტირებით უნდა შეფასდეს და გაანალიზდეს:

- უწყებათშორისი ძალისხმევის განაწილებისა და სტრატეგიული დღის წესრიგით გამოწვეული საბიუჯეტო შედეგები:

  ა. გარემოსდაცვითი პოლიტიკის საჭიროებათა ანალიზი;

  ბ. გარემოსდაცვითი ქმედებების შეფასება ფისკალური მდგრადობის თვალსაზრისით (ეროვნულ დონეზე);

  გ. „მწვანე მიზნების“ ფორმულირება გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვაში.

- სახელმწიფო ღონისძიებების გარემოზე ზემოქმედება:

  ა. პოტენციურად გარემოზე ზიანის მომტანი ქმედებების საბიუჯეტო ხარჯების იდენტიფიცირება;

  ბ. საგადასახადო სისტემის შეფასება გარემოზე ზემოქმედების კუთხით (ეროვნულ დონეზე);

  გ. კლიმატის ცვლილების ფაქტორების გათვალისწინებით ხარჯების პრიორიტეტიზაცია.

- რელევანტური საბიუჯეტო ღონისძიებები:

  ა. წინასწარი გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეფასება (ex-ante);

  ბ. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი;

  გ. ქმედების რეალიზების შემდეგი შეფასება (ex-post).

მწვანე მუნიციპალური საბიუჯეტო პრაქტიკის შემუშავებისა და დანერგვისას გამოწვევის ოთხი ძირითადი კატეგორია გამოიყოფა:

- მეთოდოლოგიური გამოწვევები: მწვანე მიზნების მისაღწევად საჭიროებების განსაზღვრა და გაზომვა; საბუღალტრო და საანგარიშგებო ინსტრუმენტების მორგება ადგილობრივი (რეგიონული/მუნიციპალური) მთავრობების საბიუჯეტო კონტექსტზე და იმის უზრუნველყოფა, რომ მეთოდოლოგია ადაპტირდეს ცვალებად სამეცნიერო მონაცემებსა და კლიმატურ გამოწვევებთან.

- რესურსებთან დაკავშირებული გამოწვევები: ადგილობრივი მთავრობის თანამშრომლების გადამზადება, რათა მათ პროცესი დროულად განახორციელონ; საკმარისი რესურსების გამოყოფა არსებული საინფორმაციო მართვის სისტემების განსაახლებლად, მწვანე ბიუჯეტირების მოთხოვნების შესაბამისად.

- ოპერაციული გამოწვევები: დეპარტამენტებს შორის ჰორიზონტალურ კოორდინაციაზე დაფუძნებული, სპეციალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა; დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ფართო კომუნიკაცია; შიდა და გარე აუდიტის პროცესების დანერგვა.

- პოლიტიკური გამოწვევები: როგორც ადმინისტრაციული, ისე არჩეული თანამდებობის პირების მხრიდან მუდმივი, მაღალი დონის პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა; მწვანე და სოციალური მიზნების შეთავსება/დაბალანსება; მონიტორინგის უზრუნველყოფა ტენდენციების იდენტიფიცირებისა და საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების განსახორციელებლად.

მუნიციპალურ დონეზე მწვანე ბიუჯეტირება (Green Budgeting) აქტიურად გამოიყენება ევროპისა და მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. სხვადასხვა ქალაქის მიერ მწვანე ბიუჯეტირების მიდგომებს შორის განსხვავებების (მონაწილეობითი, მარკირების, სათბური გაზების ოდენობის განსაზღვრით, ხარჯსარგებლიანობით, სხვა) მიუხედავად, ყველა მიდგომა გულისხმობს მუნიციპალური ხარჯების შეფასებას კლიმატურ და გარემოსდაცვით მიზნებთან შესაბამისობის მიხედვით.

- პორტუგალიაში ლისაბონი გახდა პირველი ევროპული დედაქალაქი, რომელმაც ტრადიციული მონაწილეობითი ბიუჯეტი (Participatory Budgeting) მთლიანად მწვანე მიმართულებაზე გადართო[2].

- გარემოსდაცვითი მიზნებისადმი ლისაბონის მზარდი ინტერესის შესაბამისად და 2020 წელს „ევროპის მწვანე დედაქალაქის“ ჯილდოს (European Green Capital Award) მოპოვების კვალდაკვალ, ლისაბონმა გადაწყვიტა, თავისი მონაწილეობითი ბიუჯეტი მწვანე მონაწილეობით ბიუჯეტად გარდა-

2. Green Participatory Budgeting: Lisbon, Portugal https://centreforpublicimpact.org/public-impact-fundamentals/green-participatory-budgeting-lisbon-portugal/

ექმნა, რომელიც ექსკლუზიურად ფოკუსირებული იქნება უფრო მდგრადი, მედეგი და ეკოლოგიურად სუფთა ქალაქის შექმნისკენ მიმართულ წინადადებებზე. ლისაბონის მწვანე მონაწილეობითი ბიუჯეტი მოქალაქეთა ჩართულობის ჰიბრიდულ მოდელს იყენებს. აქცენტი კეთდება პირისპირ (უშუალო) ჩართულობაზე განხილვებისა და დებატებისათვის, ვებ-პლატფორმებზე ხმის მიცემისა და წინადადებების წარდგენის შესაძლებლობებით. ყოველწლიური პროცესი კულმინაციას აღწევს გამარჯვებული პროექტების ინტეგრირებით საკრებულოს (საქალაქო საბჭოს) სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტში, რომლებსაც ამტკიცებენ საკრებულო და მუნიციპალური ასამბლეა, რის შემდეგაც ხორციელდება მათი იმპლემენტაცია (აღსრულება).

- საფრანგეთში ქვეყნის მასშტაბით არაერთი რეგიონი (მაგალითად, ბრეტანი, ოქსიტანია, გრანდ-ესტი) და ქალაქი (პარიზი, ლილი, სტრასბურგი) იყენებს მწვანე ბიუჯეტის მარკირებას (Green Budget Tagging).[3]

- მაგ.: ფრანგულმა რეგიონმა ბრეტანმა საკუთარი „მწვანე ბიუჯეტირების“ პროცესზე მუშაობა 2020 წლის ბოლოს დაიწყო. ამ ძალისხმევის შედეგად შეიქმნა კლიმატის ბიუჯეტის მარკირების (tagging) საპილოტე მეთოდოლოგია, რომელიც რეგიონის 2020 წლის ანგარიშებზე ex-post (შედეგების შეფასების) რეჟიმში გამოცადეს. ამ ექსპერიმენტს ხელი შეუწყო კლიმატის ეკონომიკის ინსტიტუტის (I4CE) პუბლიკაციებმა და მეთოდოლოგიურმა მხარდაჭერამ, ასევე ბრეტანის მონაწილეობამ სხვა დაინტერესებულ ფრანგულ რეგიონებთან ერთად შექმნილ „მწვანე ბიუჯეტირების“ სამუშაო ჯგუფში.

- ნორვეგიაში ოსლო, ბერგენი და ტრონდჰეიმი მოწინავე ქალაქები არიან, რომლებსაც შემუშავებული აქვთ მკაცრი კლიმატური ბიუჯეტი, სადაც თითოეულ მუნიციპალურ პროექტს სათბური გაზების შემცირების კუთხით წინასწარ აფასებენ (ex-ante analysis of the emissions reduction potential).[4]

- შვედეთში სტოკჰოლმი და ვექშე (Växjö) აქტიურად იყენებენ გარემოსდაცვითი ხარჯების ანალიზს.[5]

- ესპანეთში ანდალუსიისა და კატალონიის რეგიონების მუნიციპალიტეტები, ასევე ქალაქები ვალენსია და ბარსელონა, იყენებენ მწვანე ბიუჯეტირებას ურბანული გამწვანებისა და ეკომეგობრული ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად[6].

---

3. Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives, SUBNATIONAL GREEN BUDGETING PRACTICES AND GUIDELINES, OECD Multi-level Governance Studies; Policy highlights Shttps://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/support-materials/2022/06/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_db24014b/aligning-regional-local-budgets-with-green-objectives-policy-highlights-en.pdf

4. Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/06/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_db24014b/93b4036f-en.pdf

5. იგივე წყარო

6. Environmental Aspects of Participatory Budgeting in Selected Cities in Europe. https://journals.aserspublishing.eu/jemt/article/view/8874

- იტალიაში სარდინიის რეგიონი და ქალაქები ბოლონია და ვენეცია ნერგავენ კლიმატური ხარჯების ტექნიკებს[7].
- პოლონეთში ვარშავა და გდანსკი გამოირჩევიან მწვანე პროექტების (მაგ. სკვერები, ველოსიპედის ინფრასტრუქტურა) დაფინანსებით, მოქალაქეთა ჩართულობით[8].
- გაერთიანებულ სამეფოში შოტლანდიის მუნიციპალიტეტები იყენებენ გარემოსდაცვითი ბიუჯეტირების პრაქტიკას[9].

ექვსი ძირითადი სახელმძღვანელო ნაბიჯი მუნიციპალიტეტის „მწვანე ბიუჯეტირების“ პრაქტიკის დაწყებისა და განვითარებისთვის შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

1. ადგილობრივი ეკოლოგიური და კლიმატური გამოწვევების დიაგნოზის ჩატარება, როგორც "მწვანე ბიუჯეტირების" პრაქტიკის დანერგვის წინაპირობა.
2. ადგილობრივი მთავრობის, როგორც ადმინისტრაციული, ისე არჩეული პირების მხრიდან ძლიერი, მაღალი დონის ჩართულობისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
3. პრაქტიკისთვის სანდო მეთოდიკაზე შეჯერება (რეალობასთან ახლომდგომი პრაქტიკა), რაც საზოგადოების ნდობას გაამყარებს და მეთოდიკას მტკიცებულებებზე (მ.შ. სამეცნიერო) დაფუძნებულ მიგნებებთან ადაპტირების საშუალებას მისცემს.
4. მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისას ეტაპობრივი მიდგომის გამოყენება, რათა შესაძლებელი იყოს წინა ნაბიჯებიდან სწავლა და პროცესის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გამყარება.
5. მწვანე ბიუჯეტირების არსებულ ფინანსური მართვის პროცედურებსა და ინსტრუმენტებში ინტეგრირება, რაც ამ პრაქტიკის ხანგრძლივად შენარჩუნებას უწყობს ხელს.
6. ბიუჯეტის მწვანე მიზნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემოსავლების ჩართვა "მწვანე ბიუჯეტირების" პრაქტიკის ფარგლებში.

---

7. Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives, Subnational Green Budgeting Practices and Guidelines https://www.oecd.org/en/publications/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_93b4036f-en.html
8. Participatory Budgeting as a Tool for Smarter Cities: What's Next? https://newpolis.media/participatory-budgeting-as-a-tool-for-smarter-cities-whats-next/
9. GREEN BUDGETING AT THE NATIONAL AND SUBNATIONAL LEVELS https://web-archive-storage.oecd.org/aemint-web-archive-prod/web-archive/08/08d669f5c8558eb0ac46938dfc7711afbfb6362cd3e1a639b08a37deaacaac10.pdf

მწვანე ბიუჯეტირების ინსტრუმენტებად და მეთოდებად მოიაზრება:

- ბიუჯეტის მარკირება Budget tagging
- გაფრქვევების მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტი Carbon budget
- ხარჯსარგებლიანობის ანალიზი Cost-benefit analysis
- ასარჩევი განაცხადების ხარჯების განსაზღვრა Costing election proposals
- გასაჯაროება და ანგარიშგება Disclosure and reporting
- გარემოსდაცვითი შეფასება (წინასწარი და შემდგომი) Environmental assessment (before and after)
- შეფასება (წინასწარი და შემდგომი) Evaluation (before and after)
- ფისკალური რისკების მართვა Fiscal risk management
- მწვანე საბიუჯეტო განაცხადი Green budget statement
- მწვანე დანახარჯების მიმოხილვა Green spending reviews
- მაკროეკონომიკური მოდელირება და პროგნოზირება Macroeconomic modelling and forecasting
- ქმედებების ინდიკატორები, მონიტორინგი და ანგარიშგება Performance indicators, monitoring and reporting

სტრატეგიული პოლიტიკა მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში

განვითარების ხედვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხედვა –

> **„ოზურგეთი არის ეკონომიკურად სწრაფად მზარდი, ეკოლოგიურად სუფთა, მოსახლეობისათვის, ტურისტებისა და ინვესტორთათვის საცხოვრებლად, დასასვენებლად და საქმიანობისათვის სასურველი გარემოს მქონე მუნიციპალიტეტი, გამჭვირვალე და დემოკრატიული მმართველობით"**

– ხაზგასმით მიუთითებს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს მნიშვნელობას მუნიციპალიტეტისთვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს არამარტო საცხოვრისი, არამედ ბიზნეს საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას და მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელ გარემოსდაცვით საქმიანობას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის ძირითად ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკური ზრდის, ინფრასტრუქტურის განვითარების, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, გარემოსდაცვითი მდგრადობისა და ადგილობრივი მმართველობის გაძლიერების მიმართულებებს. მწვანე ბიუჯეტირების კუთხით მოცემული დოკუმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვას საგულისხმოდ უკავშირებს გარემოსდაცვით მდგრადობას, ბუნებრივი რესურსების მართვას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ნარჩენების მართვას და მდგრად ურბანულ განვითარებას.

ხედვის მიხედვით, ოზურგეთი უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკურად სწრაფად მზარდ, ეკოლოგიურად სუფთა, მოსახლეობისათვის, ტურისტებისა და ინვესტორებისთვის საცხოვრებლად, დასასვენებლად და საქმიანობისთვის მიმზიდველ მუნიციპალიტეტად. ეს ხედვა პირდაპირ ქმნის საფუძველს მწვანე ბიუჯეტირებისთვის, რადგან მუნიციპალიტეტის განვითარება განიხილება არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, მდგრადი ინფრასტრუქტურისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების პრიზმიდან. შესაბამი-

სად, მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სტრატეგიული საფუძველი, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტის პროგრამები შეფასდება გარემოსდაცვითი და კლიმატური რელევანტურობის მიხედვით.

დოკუმენტის სიტუაციური ანალიზი აჩვენებს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები**,** მაგრამ ამ რესურსების გამოყენება საჭიროებს გარემოსდაცვითი და რისკებზე დაფუძნებული მიდგომის გაძლიერებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს სასარგებლო წიაღისეულის, ტყის, წყლისა და ტურისტული რესურსების მნიშვნელოვანი პოტენციალი. თუმცა დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ მუნიციპალიტეტი მეწყრული პროცესების გავრცელებისა და საშიშროების თვალსაზრისით მიეკუთვნება მაღალი რისკის კატეგორიას. ეს გარემოება მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ინფრასტრუქტურული, სამშენებლო, სამთო-მომპოვებელი და ტურისტული განვითარების პროექტები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის, არამედ გარემოსდაცვითი უსაფრთხოების, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და კლიმატური მედეგობის მიხედვით.

წყლის რესურსების მიმართულება მწვანე ბიუჯეტის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს მდიდარი ზედაპირული წყლების ქსელი, მათ შორის მდინარეები სუფსა და ნატანები და მათი შენაკადები. დოკუმენტის მიხედვით, მუნიციპალიტეტში ზედაპირული წყლების ჰიდროლოგიური პარამეტრების ცვლილებების შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს. ამასთან, ბოლო 10-20 წლის განმავლობაში წყალდიდობების სიხშირე გაზრდილია. ეს გარემოება პირდაპირ მიუთითებს კლიმატის ადაპტაციის საჭიროებაზე. მწვანე ბიუჯეტირების კუთხით წყლის რესურსების მართვა, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა, სანიაღვრე სისტემები, წყალდიდობის პრევენცია და წყლის ხარისხის მონიტორინგი უნდა აღინიშნოს, როგორც კლიმატის ადაპტაციის და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მიმართულებები.

ტყის რესურსები და ქარსაცავი ზოლები**,** ასევე, საგულისხმო საკითხია. დოკუმენტში მითითებულია, რომ მუნიციპალიტეტის ტყის ფონდი დაახლოებით 20 000 ჰა-ს შეადგენს, თუმცა ტყის მიწები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არ არის. მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ჭრა არ იგეგმება და ბოლო წლებში სოციალური დანიშნულებით ტყის ჭრის ტენდენცია მცირდება, მუნიციპალიტეტში მაინც ფიქსირდება უკანონო ჭრის ერთეული შემთხვევები. ასევე, აღსანიშნავია, რომ ისტორიულად არსებული 503 ჰა ქარსაცავი ზოლიდან მხოლოდ დაახლოებით 295 ჰა-მდე ნარგავია შემორჩენილი, ხოლო ქარსაცავი ზოლების აღდგენა-გაშენება ამ ეტაპზე არ ხდება. მწვანე ბიუჯეტირების ასპექტით აღნიშნული საკითხი შეიძლება განიხილოს, როგორც გარემოსდაცვითი და კლიმატის ადაპტაციის მნიშვნელოვანი გამოწვევა, რადგან ქარსაცავი ზოლები და ტყის ეკოსისტემები ამცირებს ნიადაგის ეროზიას, აუმჯობესებს მიკროკლიმატს, იცავს სასოფლო-სამეურნეო მიწებს და ზრდის მუნიციპალიტეტის კლიმატურ მედეგობას.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პროფილი ასევე მნიშვნელოვანია მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში. დოკუმენტის მიხედვით, ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი სექტორებია სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მომსახურება, მშენებლობა, დასასვენებელი და რეკრეაციული მომსახურება, ხოლო ტურიზმი ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება. სოფლის მეურნეობა ეკონომიკის წამყვანი დარგია, თუმცა დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იგი არ არის საკმარისად მოდერნიზებული და მისი პოტენციალი სრულად ათვისებული არ არის. მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში სოფლის მეურნეობის მიმართულება შეიძლება დაუკავშირდეს კლიმატგონივრულ და რესურსეფექტიან პრაქტიკებს, სარწყავი სისტემების განვითარებას, ნიადაგის დაცვის ღონისძიებებს, ქარსაცავი ზოლების აღდგენას და ადგილობრივი პროდუქციის ეკოლოგიური ღირებულების გაძლიერებას.

ტურიზმის მიმართულებით ოზურგეთს აქვს ზღვისპირა და სამთო კურორტების განვითარების პოტენციალი. ურეკი, შეკვეთილი და გომისმთა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. თუმცა ტურისტული განვითარების ზრდა ზრდის ინფრასტრუქტურულ, ნარჩენების მართვის, წყალმომარაგების, სანიტარულ-ჰიგიენური და ბუნებრივი რესურსების დაცვის საჭიროებებს. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ტურიზმთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შეფასდეს მდგრადი ტურიზმის პრიზმიდან: გარემოზე ზეწოლის შემცირება, ნარჩენების მართვა ტურისტულ ზონებში, სანაპირო და მთის ეკოსისტემების დაცვა, მწვანე საჯარო სივრცეები და კლიმატურად მედეგი ტურისტული ინფრასტრუქტურა.

დოკუმენტის ლოგიკურ ჩარჩოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიზანი **2 –** ინფრასტრუქტურის განვითარება და გარემოს დაცვა ბიზნესისა და საცხოვრებელი გარემოს გასაუმჯობესებლად**.** ეს მიზანი პირდაპირ უკავშირდება მწვანე ბიუჯეტირებას, რადგან მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურას, წყალმომარაგების სისტემებს, საზოგადოებრივ სივრცეებს, გამწვანებას, გარე განათებას, მუნიციპალურ ტრანსპორტს, ნარჩენების მართვას და სტიქიური რისკების პრევენციას. მწვანე ბიუჯეტში მიზანი 2 უნდა შეფასდეს, როგორც ძირითადი სტრატეგიული ბლოკი, სადაც ხარჯები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: პირდაპირ მწვანე ხარჯები, ნაწილობრივ მწვანე ხარჯები და კლიმატთან ირიბად დაკავშირებული ინფრასტრუქტურული ხარჯები.

პირდაპირ მწვანე ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს წყალმომარაგების სისტემების განვითარება, ნარჩენების მართვა, საზოგადოებრივი სივრცეების გამწვანება, გარე განათების ენერგოეფექტიანი მოდერნიზაცია, სანიაღვრე და წყალმოვარდნის პრევენციული ღონისძიებები, ნაპირსამაგრი და სტიქიის პრევენციის ღონისძიებები. ნაწილობრივ მწვანე ხარჯებად შეიძლება შეფასდეს საგზაო ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური ტრანსპორტი, იმ შემთხვევაში, თუ ისინი უკავშირდება უსაფრთხო, დაბალი ემისიის, კლიმატურად მედეგ ან მდგრად მობილობას. მაგალითად, საგზაო პროექტი მხოლოდ გზის საფარის გაუმჯობესების შემთხვევაში არ არის ავტომატურად მწვანე, თუმცა შეიძლება ჩაითვალოს კლიმატთან დაკავ-

შირებულად, თუ მოიცავს სანიაღვრე სისტემებს, მეწყრული რისკების შემცირებას, წყალდიდობის პრევენციას ან უსაფრთხო გადაადგილების გაუმჯობესებას.

გარემოს დაცვის მიმართულებით დოკუმენტში ცალკე გამოყოფილია **ნარჩენების მართვის სისტემა.** ეს არის მწვანე ბიუჯეტის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და პირდაპირი კომპონენტი. ნარჩენების მართვა უნდა შეფასდეს, როგორც გარემოსდაცვითი ხარჯი, რომელიც ამცირებს დაბინძურებას, აუმჯობესებს სანიტარულ მდგომარეობას და ხელს უწყობს მდგრადი დასახლებების განვითარებას. ტურისტული მუნიციპალიტეტის პირობებში ნარჩენების მართვის ხარისხი პირდაპირ უკავშირდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ იმიჯს, ტურისტულ მიმზიდველობას და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს.

მწვანე ბიუჯეტის ანგარიშისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ დოკუმენტი ეფუძნება სიტუაციის ანალიზს და უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნებს (ე.წ. SDG-ს). ეს იძლევა შესაძლებლობას, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამები შეფასდეს არა მხოლოდ ფინანსური შესრულებით, არამედ მდგრადი განვითარების შედეგებითაც. განსაკუთრებით რელევანტურია SDG 6 – წყალი და სანიტარია, SDG 9 – მდგრადი ინფრასტრუქტურა, SDG 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები, SDG 12 – მდგრადი მოხმარება და წარმოება, SDG 13 – კლიმატის ცვლილებაზე რეაგირება და SDG 15 – ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა. ამ მიდგომით მწვანე ბიუჯეტი შეიძლება გახდეს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის პრაქტიკული განხორციელების ინსტრუმენტი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მწვანე ბიუჯეტის ანგარიშისთვის წარმოადგენს სტრატეგიულ და ანალიტიკურ საფუძველს. დოკუმენტი მკაფიოდ აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის განვითარება დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის ხარისხზე, ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაზე, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნებაზე, ნარჩენების მართვაზე, წყლის რესურსების დაცვაზე და კლიმატური რისკების შემცირებაზე. სასურველია, რომ დოკუმენტის საფუძველზე მწვანე ბიუჯეტის მარკირება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით: წყალი და სანიტარია, ნარჩენების მართვა, მწვანე სივრცეები და ეკოსისტემები, ენერგოეფექტური განათება, მდგრადი მობილობა, კლიმატის ადაპტაცია და რისკების პრევენცია. ამგვარი მიდგომა გააძლიერებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გამჭვირვალობას და აჩვენებს, თუ როგორ ემსახურება ადგილობრივი ბიუჯეტი ეკოლოგიურად სუფთა, მდგრად და კლიმატურად მედეგ ოზურგეთს.

ცხრილი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში

მიმართულება დოკუმენტში	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	გარემოსდაცვითი კონტექსტი
ხედვა — ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად მზარდი ოზურგეთი	განვითარების ხედვა პირდაპირ აერთიანებს ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს ხარისხს	სტრატეგიული საფუძველი მწვანე ბიუჯეტისთვის
მიზანი 2 — ინფრასტრუქტურა და გარემოს დაცვა	მოიცავს გზებს, წყალს, განათებას, ტრანსპორტს, ნარჩენებს, გამწვანებას და სტიქიურ რისკებს	მწვანე ბიუჯეტის ძირითადი ბლოკი
წყლის რესურსები და წყალმომარაგება	წყლის უსაფრთხოება, წყალმომარაგება, წყალდიდობის სიხშირის ზრდა	პირდაპირ მწვანე / კლიმატის ადაპტაცია
ჰიდროლოგიური და წყლის ხარისხის მონიტორინგის ნაკლებობა	მონაცემთა დეფიციტი ზღუდავს რისკების მართვას	მწვანე ბიუჯეტის რეკომენდაცია — მონიტორინგის გაძლიერება
მეწყრული რისკები	მუნიციპალიტეტი მაღალი მეწყრული საფრთხის კატეგორიას მიეკუთვნება	კლიმატის ადაპტაცია / რისკების პრევენცია
ტყის რესურსები და ქარსაცავი ზოლები	ტყის ფონდი, უკანონო ჭრის შემთხვევები, ქარსაცავი ზოლების შემცირება	ეკოსისტემების დაცვა / კლიმატის ადაპტაცია
ნარჩენების მართვის სისტემა	დაბინძურების შემცირება, სანიტარული მდგომარეობა, ტურისტული ზონების სისუფთავე	პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯი
გარე განათება	LED/ენერგოეფექტური განათების პოტენციალი	კლიმატის შერბილება / ენერგოეფექტიანობა
მუნიციპალური ტრანსპორტი	ხელმისაწვდომი მობილობა და ემისიების შემცირების პოტენციალი	ნაწილობრივ მწვანე / მდგრადი მობილობა
ტურიზმი — ურეკი, შეკვეთილი, გომისმთა	ტურისტული ზრდა ზრდის გარემოზე ზეწოლას და სერვისების საჭიროებას	მდგრადი ტურიზმი / მწვანე ინფრასტრუქტურა
სოფლის მეურნეობა	სარწყავი წყალი, ნიადაგის დაცვა, ქარსაცავი ზოლები, კლიმატგონივრული პრაქტიკა	კლიმატის ადაპტაცია / რესურსეფექტიანი სოფლის მეურნეობა
SDG-ებთან კავშირი	დოკუმენტი პასუხობს მდგრადი განვითარების მიზნებს	ბიუჯეტის SDG-მარკირების საფუძველი

წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მიხედვით

2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მწვანე ბიუჯეტირებისას წარმოადგენს **სტრატეგიულ ჩარჩოს**, ხოლო მისი სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტების დოკუმენტები – **საბიუჯეტო და პროგრამული განხორციელების ინსტრუმენტებს**.

ყველაზე ძლიერი მწვანე ბიუჯეტური ლოგიკა იკვეთება მიზანი 2-ში, წყლის რესურსების მართვაში, ნარჩენების სისტემაში, მეწყრული და წყალდიდობის რისკების შემცირებაში, ქარსაცავი ზოლებისა და ტყის რესურსების საკითხში, სოფლის მეურნეობის კლიმატგონივრული ადაპტაციის მიმართულებებში, ასევე მდგრად ტურიზმსა და მწვანე ინფრასტრუქტურაში.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა ცალსახად გამოკვეთს გარემოსდაცვით მიმართულებებს, მაგალითად, „მიზანი 2: ინფრასტრუქტურის განვითარება და გარემოს დაცვა ბიზნესისა და საცხოვრებელი გარემოს გასაუმჯობესებლად“ დიდწილად დაკავშირებულია მწვანე დღის წესრიგის ამოცანებთან, კერძოდ, ის მოიცავს: არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების სისტემების და საზოგადოებრივი სივრცეების განვითარებას, გამწვანებას და გარე განათების ქსელის გაფართოებას, ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესებას; ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვას და ბუნებრივი და სტიქიური უბედურების პრევენციას, ლიკვიდაციასა და შედეგების თავიდან აცილების ხელშეწყობას.

სამოქმედო გეგმის მეორე მიზანი ორიენტირებულია რა ინფრასტრუქტურის განვითარებასა და გარემოს დაცვაზე, ბიზნესისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების წინაპირობას ქმნის. როგორც სამოქმედო გეგმა მიუთითებს, მიზანი დაკავშირებულია მდგრადი განვითარების მიზნებთან: SDG 6 – სუფთა წყალი და სანიტარია, SDG 8 – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, SDG 9 – მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა და SDG 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები. მიზნის გავლენის ინდიკატორები მოიცავს მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურის წილის ზრდას 26%-დან 30%-მდე, წყალმომარაგების სისტემის დაფარვის ზრდას 50%-დან 60%-მდე და გარე განათების დაფარვის ზრდას 68%-დან 80%-მდე 2023-2027 წლებში.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, მიზანი 2 მოიცავს როგორც პირდაპირ გარემოსდაცვით, ისე გარემოსთან ირიბად დაკავშირებულ მუნიციპალურ ხარჯებს. პირდაპირ მწვანე ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს წყალმომარაგების სისტემების განვითარება, საზოგადოებრივი სივრცეების გამწვანება, ენერგოეფექტური LED სანათების დანერგვა, ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება და ბუნებრივი/სტიქიური საფრთხეების პრევენციის ღონისძიებები. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს სუფთა სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას, ურბანული გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას, ენერგომოხმარების შემცირებას, მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობას და კლიმატური თუ სტიქიური რისკების შემცირებას.

მიზნის ფარგლებში ყველაზე მსხვილი საბიუჯეტო მიმართულებაა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომლის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 16,75 მლნ ლარს. მიუხედავად იმისა, რომ საგზაო ინფრასტრუქტურა ყოველთვის არ მიეკუთვნება პირდაპირ მწვანე ხარჯებს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ის შეიძლება შეფასდეს, როგორც მწვანე ბიუჯეტთან ირიბად დაკავშირებული, რადგან აუმჯობესებს მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობას, მოძრაობის ორგანიზებას, უსაფრთხოებას და ინფრასტრუქტურის მედეგობას. ამასთან, ტრანსპორტის მიმართულებით დაგეგმილია მუნიციპალური ტრანსპორტით მომ-

სახურება და ავტოპარკის განახლება, რაც მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში შეიძლება შეფასდეს, როგორც მდგრადი მობილობის ხელშემწყობი ხარჯი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ავტოპარკის განახლება მიმართულია უფრო ეფექტიანი, ადაპტირებული და დაბალი ემისიის ტრანსპორტისკენ.

მიზანი 2-ის ჯამური დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 28,9 მლნ ლარს. აქედან მუნიციპალური ბიუჯეტის წილი შეადგენს 12,66 მლნ ლარს, ხოლო სხვა წყაროებიდან დაფინანსება – 16,25 მლნ ლარს, ძირითადად საქართველოს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდისა და საქართველოს მთავრობის მონაწილეობით. დაფინანსების სტრუქტურა აჩვენებს, რომ ინფრასტრუქტურული და გარემოსთან დაკავშირებული მუნიციპალური ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია ცენტრალური ან სხვა გარე წყაროების თანადაფინანსებაზე.

რეკომენდებულია, რომ ანგარიშში ცალკე გამოიყოს პირდაპირ მწვანე აქტივობები – წყალმომარაგება, გამწვანება, LED განათება, ნარჩენების მართვა და სტიქიური რისკების პრევენცია – ხოლო საგზაო ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი აღინიშნოს, როგორც ნაწილობრივ ან პირობითად მწვანე მიმართულება დამატებითი ტექნიკური ინფორმაციის საფუძველზე.

ცხრილი 2. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მიზანი 2-ის შემაჯამებელი ცხრილი მწვანე ბიუჯეტისთვის

ამოცანა	ძირითადი აქტივობები	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	ჯამური ბიუჯეტი, ლარი	მუნიციპალური ბიუჯეტი	სხვა წყარო
2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	გზების მოვლა-შენახვა; მშენებლობა-რეაბილიტაცია; საგზაო მოძრაობის ორგანიზება	ირიბი / პირობითი მწვანე კავშირი	16 754 200	3 154 200	13 600 000
2.2 წყალმომარაგების სისტემების განვითარება	წყალსადენების შიდა ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია; ექსპლუატაცია	პირდაპირი მწვანე / SDG 6	3 308 900	1 348 900	1 960 000
2.3 საზოგადოებრივი სივრცეები, გამწვანება და გარე განათება	სკვერები და პარკები; გამწვანება; LED სანათები; გარე განათების ექსპლუატაცია	პირდაპირი მწვანე / ენერგოეფექტურობა და ურბანული გარემო	1 670 000	1 670 000	0
2.4 მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმჯობესება	მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურება; ავტოპარკის განახლება	ნაწილობრივ მწვანე / მდგრადი მობილობა	3 118 000	2 431 000	687 000

2.5 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა	ნარჩენების გატანა; ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება	პირდაპირი მწვანე / ნარჩენების მართვა	4 053 000	4 053 000	0
2.6 ბუნებრივი და სტიქიური უბედურებების პრევენცია	ნაპირსამაგრი გაბიონები; ნაპირსამაგრი ჯებირები	პირდაპირი მწვანე / კლიმატური და სტიქიური რისკების შემცირება	0	0	საჭიროების შესაბამისად*
ჯამი			**28 904 100**	**12 657 100**	**16 16 247 000**

* დაფინანსების წყარო: საქართველოს მთავრობა

წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის გამოყენებით

მოცემული სამოქმედო გეგმის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზანი 2 არის მწვანე ბიუჯეტისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან მოიცავს წყლის, ნარჩენების, გამწვანების, ენერგოეფექტური განათების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და რისკების პრევენციის მიმართულებებს. ყველაზე მკაფიოდ მწვანე კომპონენტებია 2.2, 2.3, 2.5 და 2.6; 2.4 შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ მწვანედ, ისევე, როგორც 2.1, რადგან საგზაო სამუშაოები უკავშირდება უსაფრთხოებას, კლიმატურ მედეგობას ან მდგრად მობილობას.

მდგრადი ოზურგეთი

„მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტი“ ქმნის მნიშვნელოვან სტრატეგიულ საფუძველს მუნიციპალიტეტში მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისა და განვითარებისთვის. დოკუმენტი ეფუძნება გაეროს 2030 წლის დღის წესრიგს და მდგრადი განვითარების მიზნებს, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დონეზე განსაზღვრავს იმ მიზნებს, ამოცანებსა და ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ადგილობრივი განვითარების პროგრესის შეფასება 2030 წლამდე. დოკუმენტის მიხედვით, მდგრადი განვითარების მიზნები მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განზომილებებს, რაც პირდაპირ შეესაბამება მწვანე ბიუჯეტირების მიდგომას – ბიუჯეტის ხარჯების შეფასებას მათი გარემოსდაცვითი, კლიმატური და მდგრადი განვითარების ეფექტების მიხედვით.

მწვანე ბიუჯეტის ანგარიშისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ადგილობრივ პრიორიტეტებად განსაზღვრა გაეროს მდგრადი განვითარების 11 მიზანი და 30 ამოცანა. ეს ქმნის შესაძლებლობას, მუნიციპალური ბიუჯეტის პროგრამები და ქვეპროგრამები შეფასდეს არა მხოლოდ ფინანსური შესრულების, არამედ მდგრადი განვითარების შედეგებთან მათი კავშირის მიხედვით. შესაბამისად, ბიუჯეტის ანალიზისას შესაძლებელია

გამოიკვეთოს, რომელი ხარჯები უკავშირდება სუფთა წყალსა და სანიტარიას, ენერგოეფექტიანობას, მდგრად ინფრასტრუქტურას, ქალაქებისა და დასახლებების მდგრად განვითარებას, მდგრად მოხმარებასა და წარმოებას, კლიმატის ცვლილებაზე რეაგირებას, ეკოსისტემების დაცვასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

დოკუმენტში გამოკვეთილი გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული SDG-ები პირდაპირ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მწვანე ბიუჯეტის კლასიფიკაციის საფუძვლად. კერძოდ, მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში განსაკუთრებით რელევანტურია SDG 6 – წყლის მდგრადი მართვა და სანიტარია; SDG 7 – ხელმისაწვდომი და თანამედროვე ენერგია; SDG 9 – მდგრადი ინფრასტრუქტურა; SDG 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები; SDG 12 – მდგრადი მოხმარება და წარმოება; SDG 13 – კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედება; SDG 15 – ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა. აღნიშნული მიზნები იძლევა საფუძველს, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განისაზღვროს პირდაპირ მწვანე, ნაწილობრივ მწვანე და ირიბად მწვანე ხარჯები.

მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შექმნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი საბჭო და განსაზღვრა მისი შემადგენლობა. საბჭოს ხელმძღვანელობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი. ამასთან, საბჭოს ქვეშ შექმნილია 3 თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელთაგან ერთ-ერთი გარემოს დაცვაა[10].

„მდგრადი ოზურგეთის“ დოკუმენტის განსაკუთრებული ღირებულება მწვანე ბიუჯეტისთვის არის მისი მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმი. დოკუმენტის მიხედვით, მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგს უზრუნველყოფს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური, ხოლო ანგარიშგება ხორციელდება ყოველწლიურად. ასევე განსაზღვრულია პროგრესის სტატუსები: არ დაწყებულა, ნაწილობრივ შესრულდა, მეტწილად შესრულდა, განხორციელდა, განხორციელდა დაგვიანებით, გაუქმებულია და შეჩერებულია. ეს მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მწვანე ბიუჯეტის ანგარიშშიც, რათა შეფასდეს არა მხოლოდ ფინანსური ათვისება, არამედ მწვანე შედეგების მიღწევის დონე.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც „სტრატეგიული ფილტრი“ მუნიციპალური ბიუჯეტის ანალიზისთვის. თითოეული საბიუჯეტო პროგრამა ან ქვეპროგრამა შეიძლება შემოწმდეს შემდეგი კითხვებით: უკავშირდება თუ არა იგი გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილების შერბილებას ან ადაპტაციას, ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას, ენერგოეფექტიანობას, ნარჩენების მართვას, წყლის რესურსებს, მწვანე სივრცეებს ან მდგრად ურბანულ ინფრასტრუქტურას. ასეთი მიდგომა გაამარტივებს მწვანე

10. დანარჩენი 2 ჯგუფის დასახელებაა: „ჯანდაცვა და სოციალური ჩართულობა“ და „ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური განვითარება“.

ხარჯების იდენტიფიცირებას და შექმნის უფრო გამჭვირვალე სურათს იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეაქვს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს მდგრად განვითარებაში.

ცხრილი 3. „მდგრადი ოზურგეთის“ დოკუმენტის გააზრება მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში

მიმართულება	დოკუმენტში არსებული საფუძველი	მწვანე ბიუჯეტისთვის გამოყენება	ანგარიშში შესაძლო ფორმულირება
სტრატეგიული ჩარჩო	დოკუმენტი ეფუძნება გაეროს 2030 წლის დღის წესრიგს და SDG-ებს	ბიუჯეტის პროგრამების დაკავშირება მდგრად განვითარებასთან	მწვანე ბიუჯეტი ეფუძნება არა მხოლოდ ხარჯების ფინანსურ ანალიზს, არამედ მათ შესაბამისობას მდგრადი განვითარების მიზნებთან
მუნიციპალური ლოკალიზაცია	ოზურგეთისთვის განსაზღვრულია 11 მიზანი და 30 ამოცანა	ადგილობრივი ბიუჯეტის შეფასება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიხედვით	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეიძლება შეფასდეს SDG-ებთან შესაბამისობის მიხედვით
გარემოსდაცვითი განზომილება	დოკუმენტი მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განზომილებებს	მწვანე ხარჯების იდენტიფიკაცია გარემოსდაცვითი და კლიმატური ეფექტებით	მწვანე ბიუჯეტირება აძლიერებს დოკუმენტის გარემოსდაცვით განზომილებას
SDG 6	წყლის მდგრადი მართვა და სანიტარია	წყალმომარაგება, წყლის ინფრასტრუქტურა, სანიტარია	პირდაპირ მწვანე ხარჯად შეიძლება ჩაითვალოს წყლის რესურსებთან დაკავშირებული პროგრამები
SDG 7	ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია	ენერგოეფექტური განათება, ენერგიის დაზოგვა	ენერგოეფექტიანობის ხარჯები შეიძლება აღინიშნოს, როგორც მწვანე ბიუჯეტის მნიშვნელოვანი კომპონენტი
SDG 9	მდგრადი ინფრასტრუქტურა	ინფრასტრუქტურის მედეგობა, რეაბილიტაცია, მდგრადი ურბანული ინფრასტრუქტურა	ინფრასტრუქტურული ხარჯები საჭიროებს დამატებით შეფასებას, რათა განისაზღვროს მათი მწვანე წილი
SDG 11	მდგრადი ქალაქები და დასახლებები	ურბანული გარემო, საზოგადოებრივი სივრცეები, ტრანსპორტი	მდგრადი დასახლებების მიმართულება ქმნის საფუძველს ურბანული მწვანე ხარჯების მონიშვნისთვის
SDG 12	მდგრადი მოხმარება და წარმოება	ნარჩენების მართვა, რესურსების ეფექტიანი გამოყენება	ნარჩენების მართვის პროგრამები წარმოადგენს მწვანე ბიუჯეტის პირდაპირ კომპონენტს
SDG 13	კლიმატის ცვლილებაზე რეაგირება	კლიმატის ადაპტაცია, რისკების შემცირება, პრევენცია	კლიმატთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გამოიყოს ცალკე, როგორც მწვანე ბიუჯეტის პრიორიტეტული კატეგორია

SDG 15	ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა	გამწვანება, ეკოსისტემების დაცვა, ბიომრავალფეროვნება	გამწვანებისა და ეკოსისტემების დაცვის ხარჯები პირდაპირ უკავშირდება გარემოსდაცვით შედეგებს
მონიტორინგი	ყოველწლიური ანგარიშგება და პროგრესის სტატუსები	მწვანე ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი	მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის იგივე სტატუსები
ინსტიტუციური მექანიზმი	ადგილობრივი საბჭო და თემატური სამუშაო ჯგუფები	მწვანე ბიუჯეტირების კოორდინაცია	არსებული SDG საბჭო შეიძლება გახდეს მწვანე ბიუჯეტის კოორდინაციის პლატფორმა

წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტის“ გამოყენებით.

„მდგრადი ოზურგეთის“ დოკუმენტი მწვანე ბიუჯეტისთვის წარმოადგენს არა ფინანსურ, არამედ მეთოდოლოგიურ და სტრატეგიულ საფუძველს. იგი აძლევს მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას, ბიუჯეტის პროგრამები დაუკავშიროს მდგრადი განვითარების მიზნებს, განსაზღვროს შესაბამისი ინდიკატორები, გააძლიეროს ანგარიშგება და შექმნას საფუძველი მწვანე ხარჯების სისტემური მონიშვნისთვის. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში აღნიშნული დოკუმენტი უნდა წარმოჩნდეს, როგორც მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების ჩარჩო, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიუჯეტის გარემოსდაცვითი და კლიმატური რელევანტურობის შეფასება.

დიაგრამა 1. მდგრადი ოზურგეთის გამოყენება მწვანე ბიუჯეტირების მიზნებისთვის:



„მდგრადი ოზურგეთის“ დოკუმენტი მწვანე ბიუჯეტირების პროცესისთვის ქმნის სტრატეგიულ საფუძველს, რადგან მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტებს აკავშირებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. დოკუმენტში განსაზღვრული გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული მიზნები — განსაკუთრებით SDG 6, SDG 7, SDG 9, SDG 11, SDG 12, SDG 13 და SDG 15 — შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუნიციპალური ბიუჯეტის პროგრამების მწვანე კლასიფიკაციისთვის. ამასთან, დოკუმენტში არსებული ყოველწლიური მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმი იძლევა შესაძლებლობას, მწვანე ბიუჯეტის შეფასება დაეფუძნოს არა მხოლოდ ხარჯების მოცულობას, არამედ შედეგების მიღწევის პროგრესსაც.

„მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტის“ SDG-ის შესრულების ინდიკატორების მონახაზი (წარმოდგენილი SDG მიზნების გააზრება შესაბამისი გლობალური და მისადაგებული მუნიციპალური ამოცანების და ინდიკატორების, შესაბამისი საბაზისო და 2030-ის სამიზნე მაჩვენებლების, ინფორმაციის წყაროების და წამყვანი სამსახურების მიხედვით), დეტალური ცხრილი აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების ჩარჩო მოიცავს არაერთ ინდიკატორს, რომელიც უშუალოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მწვანე ბიუჯეტირების ანალიზში. მართალია, ლოკალიზებულ ცხრილში SDG 13 – კლიმატის ცვლილებაზე მოქმედება – ცალკე მიზნად არ არის გამოყოფილი, მაგრამ კლიმატთან და გარემოსთან დაკავშირებული საკითხები ინტეგრირებულია სხვა მიზნებში, განსაკუთრებით SDG 6-ის, SDG 7-ის, SDG 9-ის, SDG 11-ისა და SDG 12-ის ფარგლებში. შესაბამისად, **მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში მიზანშეწონილია SDG 13-ის განხილვა, როგორც გამჭოლი კლიმატური განზომილება, რომელიც უკავშირდება წყლის რესურსებს, ენერგოეფექტურობას, მდგრად ინფრასტრუქტურას, მუნიციპალურ ტრანსპორტს, ნარჩენების მართვასა და მწვანე საჯარო სივრცეებს.**

დოკუმენტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, რომლის სამიზნე 2030 წლისთვის 90%-ს შეადგენს. ეს მიმართულება მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში შეიძლება შეფასდეს, როგორც პირდაპირ გარემოსდაცვითი და კლიმატის ადაპტაციასთან დაკავშირებული ხარჯი, რადგან წყლის უსაფრთხოება მუნიციპალიტეტის მედეგობის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. ასევე მნიშვნელოვანია წყალარინების ქსელისა და გარე განათების მაჩვენებლები, რომლებიც უკავშირდება როგორც საბაზისო მუნიციპალურ მომსახურებებს, ისე მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას.

ენერგოეფექტურობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ინდიკატორია გარე სივრცეების გასანათებლად LED სანათების გამოყენების პროპორციული მაჩვენებელი, რომლის გაზრდა 2030 წლისთვის 90%-მდეა განსაზღვრული. ეს მაჩვენებელი პირდაპირ შეიძლება დაუკავშირდეს კლიმატის შერბილებას, რადგან LED განათება ამცირებს ენერგიის მოხმარებას და, შესაბამისად, ემისიების შემცირების პოტენციალს ქმნის. მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში ეს კომპონენტი უნდა გამოიყოს,

როგორც ენერგოეფექტურობისა და კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების მკაფიო მაგალითი.

მდგრადი ინფრასტრუქტურის მიმართულებით დოკუმენტში წარმოდგენილია სოფლის მოსახლეობის წილი, რომელიც ცხოვრობს ყველა სეზონზე მომუშავე გზიდან მისაღებ მანძილზე. აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება შეფასდეს, როგორც ირიბად მწვანე ან კლიმატთან დაკავშირებული კომპონენტი იმ შემთხვევაში, თუ ინფრასტრუქტურის განვითარება ითვალისწინებს კლიმატურ რისკებს, სანიაღვრე სისტემებს, გზების მედეგობას და სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზიანის შემცირებას. ამ მიმართულებით ანგარიშში რეკომენდებულია აღინიშნოს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მწვანე კლასიფიკაცია საჭიროებს დამატებით ტექნიკურ შეფასებას.

SDG 11-ის ფარგლებში განსაკუთრებით რელევანტურია მუნიციპალური ტრანსპორტის, ნარჩენების მართვისა და მწვანე საჯარო სივრცეების მაჩვენებლები. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებების წილის ზრდა შეიძლება შეფასდეს, როგორც მდგრადი მობილობის მიმართულება. ნარჩენების რეგულარული შეგროვება და განთავსება პირდაპირ უკავშირდება გარემოსდაცვით შედეგებს, ხოლო უსაფრთხო, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი მწვანე საჯარო სივრცეების ფართობის ზრდა – ურბანული გარემოს ხარისხს, კლიმატის ადაპტაციას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

დამატებით, SDG 12.7-ის ფარგლებში წარმოდგენილი მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების საკითხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მწვანე ბიუჯეტის ინსტიტუციური კომპონენტი. ეს ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტს შეუძლია არა მხოლოდ არსებული ხარჯების მონიშვნა, არამედ შესყიდვების პროცესში გარემოსდაცვითი კრიტერიუმების ეტაპობრივი ინტეგრირება – მაგალითად, ენერგოეფექტური ტექნიკის, LED სანათების, დაბალი ემისიის ტრანსპორტის, გადამუშავებადი მასალების ან გარემოსდაცვითი სტანდარტების მქონე მომსახურებების შესყიდვისას.

შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში „მდგრადი ოზურგეთის“ საკითხს შეიძლება დაემატოს დასკვნა, რომ მუნიციპალიტეტის SDG ჩარჩო უკვე შეიცავს მწვანე ბიუჯეტირებისათვის გამოსაყენებელ ინდიკატორებს, თუმცა საჭიროებს SDG 13-ის, როგორც კლიმატის გამჭოლი პრიორიტეტის, უფრო მკაფიო ინტეგრაციას. მიზანშეწონილია, რომ მომდევნო ანგარიშგებაში თითოეულ შესაბამის საბიუჯეტო პროგრამას მიენიჭოს კლიმატური ნიშანი: შერბილება, ადაპტაცია, ორივე ან გარემოსდაცვითად დაკავშირებული (იხილეთ დანართი).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP) წარმოადგენს ადგილობრივი კლიმატური პოლიტიკის მნიშვნელოვან ჩარჩო დოკუმენტს, რომელიც უკავშირდება როგორც კლიმატის ცვლილების შერბილებას, ისე კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას და მდგრად, საიმედო და ხელმისაწვდომ ენერგიაზე წვდომის უზრუნველყოფას. დოკუმენტი მომზადებულია მერების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად და განსაზღვრავს 2030 წლამდე განსახორციელებელ ადგილობრივ ღონისძიებებს. მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით, აღნიშნული გეგმა მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უკვე არსებულ ან დაგეგმილ ხარჯებს აკავშირებს კლიმატის კონკრეტულ შედეგებთან: ენერგიის მოხმარების შემცირებასთან, სათბურის აირების ემისიების შემცირებასთან, კლიმატური რისკებისადმი მედეგი ინფრასტრუქტურის განვითარებასთან და მოსახლეობის საადაპტაციო შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან.

სამოქმედო გეგმის ხედვაა, რომ 2030 წლისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების სცენართან შედარებით სათბურის აირების ემისიები 30%-ით შეამციროს, გააძლიეროს მუნიციპალიტეტის ყველაზე მოწყვლადი სექტორებისა და სფეროების მედეგობა და ხელი შეუწყოს მდგრადი ენერგიის ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, SECAP შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი დოკუმენტი, რადგან მასში მოცემულია კონკრეტული სექტორები, აქტივობები, სავარაუდო ბიუჯეტები, დაფინანსების დეფიციტი და მოსალოდნელი კლიმატური შედეგები.

2019 წლის საბაზო ინვენტარიზაციის მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სათბურის აირების ჯამურმა ემისიებმა შეადგინა 66 498,07 ტონა CO_2-ის ეკვივალენტი, ხოლო ენერგიის ჯამურმა მოხმარებამ – 344 859,97 მგვტ.სთ. ემისიების ძირითადი წყარო იყო შენობების სექტორი, რომლის ემისიებმა 65 583,06 ტონა CO_2-ის ეკვივალენტი შეადგინა, რაც მუნიციპალიტეტის ჯამური ემისიების 99%-ზე მეტია. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ მწვანე ბიუჯეტის ფარგლებში განსაკუთრებით მაღალი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მუნიციპალური, საცხოვრებელი და არამუნიციპალური შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას, ასევე გარე განათების მოდერნიზაციას. ტრანსპორტის სექტორის ემისიები შედარებით მცირეა – 915,01 ტონა CO_2-ის ეკვივალენტი, თუმცა მუნიციპალური ავტოპარკის დაბალემისიიან ტრანსპორტზე გადასვლა მაინც მნიშვნელოვანი მიმართულებაა როგორც ემისიების შემცირების, ისე საჯარო სექტორის მაგალითის ჩვენების თვალსაზრისით.

SECAP-ის მიხედვით, თუ მუნიციპალიტეტი არ განახორციელებს შერბილების ღონისძიებებს, 2030 წლისთვის ენერგიის მოხმარება გაიზრდება 440 597,31 მგვტ.სთ-

მდე, ხოლო სათბურის აირების ემისიები – 87 757,79 ტონა CO_2-ის ეკვივალენტამდე. შერბილების ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, 2030 წლისთვის ენერგიის მოხმარება შემცირდება 427 700,43 მგვტ.სთ-მდე, ხოლო ემისიები – 61 145,94 ტონა CO_2-ის ეკვივალენტამდე. შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებების შედეგი იქნება დაახლოებით 26 611,86 ტონა CO_2-ის ეკვივალენტის შემცირება, რაც ბიზნესის ტრადიციული განვითარების სცენართან შედარებით 30,32%-იან შემცირებას ნიშნავს. ენერგიის მოხმარების შემცირება შეადგენს დაახლოებით 12 896,88 მგვტ.სთ-ს. ეს მაჩვენებლები მწვანე ბიუჯეტის ანგარიშისთვის მნიშვნელოვანია, რადგან იძლევა ხარჯების არა მხოლოდ ფინანსური, არამედ კლიმატური შედეგებით შეფასების შესაძლებლობას.

კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების საერთო ღირებულება შეადგენდა **18,5 მლნ** ლარს. აქედან მობილიზებული იყო 14,8 მლნ ლარი, ხოლო დაფინანსების დეფიციტი შეადგენდა 3,7 მლნ ლარს. ძირითადი მიმართულებებია მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტური რეაბილიტაცია, არამუნიციპალური და საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის წახალისება, გარე განათების LED სანათებით განახლება და მუნიციპალური ავტოპარკის დაბალემისიიანი ტრანსპორტით ჩანაცვლება. მწვანე ბიუჯეტის კლასიფიკაციის თვალსაზრისით, აღნიშნული ხარჯები უნდა ჩაითვალოს კლიმატის შერბილებაზე მიმართულ ხარჯებად, რადგან მათი პირდაპირი მიზანია ენერგიის მოხმარებისა და სათბურის აირების ემისიების შემცირება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია.** ამ მიმართულებით გათვალისწინებული იყო 12,5 მლნ ლარის მობილიზებული ბიუჯეტი, რაც მოიაზრებდა ენერგიის მოხმარების 577,14 მგვტ.სთ-ით, ხოლო ემისიების 101,59 ტონა CO_2-ის ეკვივალენტით შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ემისიების შემცირების თვალსაზრისით ყველაზე დიდი ეფექტი არამუნიციპალურ და საცხოვრებელ შენობებზე ცნობიერებისა და ქცევითი ცვლილების კამპანიებს უკავშირდება, მუნიციპალური შენობების რეაბილიტაციას აქვს ძლიერი დემონსტრაციული ფუნქცია: მუნიციპალიტეტი თავად ქმნის ენერგოეფექტური საჯარო ინფრასტრუქტურის მაგალითს და ამით ზრდის ადგილობრივ დონეზე ენერგოეფექტური მიდგომების ლეგიტიმაციას.

არამუნიციპალური და საცხოვრებელი შენობების მიმართულებით გათვალისწინებულია ოთხი კამპანია: ცენტრალური გათბობის მოხმარების წახალისება, შენობების დათბუნების ღონისძიებების ხელშეწყობა, მოძველებული გამათბობლების ახლით ჩანაცვლება და ენერგოეფექტური უნარ-ჩვევების განვითარება. ამ აქტივობების ბიუჯეტი მთლიანად დეფიციტური იყო და შეადგენდა 180 ათას ლარს, თუმცა **მოსალოდნელი შედეგი საკმაოდ მაღალი იყო** (ენერგიის მოხმარების 11 256,08 მგვტ.სთ-ით და ემისიების 2 273,73 ტონა CO_2-ის ეკვივალენტით შემცირება). მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში ეს მიუთითებს, რომ მცირე მოცულობის საინფორმაციო და წახალისების ხარჯებს შესაძლოა ჰქონდეს მაღალი კლიმატური ეფექტი, თუ ისინი სწორად დაიგეგმება, მიემართება მოსახლეობისკენ და დაკავშირებული იქნება კონკრეტულ ქცევით ცვლილებებთან.

გარე განათების მიმართულებით გათვალისწინებულია არსებული სისტემების განახლება მაღალეფექტური LED სანათებით და ახალი გარე განათების წერტილების მოწყობა LED ტექნოლოგიით. ამ მიმართულების SECAP-ის ბიუჯეტი შეადგენდა 5,3 მლნ ლარს და სრულად მობილიზებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ახალი განათების წერტილების დამატება ზრდის ენერგიის მოხმარებას, არსებული სისტემების LED სანათებით ჩანაცვლების შედეგად მთლიანობაში მიიღება ენერგიის მოხმარებისა და ემისიების შემცირება. ამ მიმართულების წმინდა შედეგია ენერგიის მოხმარების 925,32 მგვტ.სთ-ით და ემისიების 127,6 ტონა CO_2-ის ეკვივალენტით შემცირება. მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით, აღნიშნული ხარჯი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ენერგოეფექტურობისა და საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ერთობლივი ღონისძიება.

ტრანსპორტის მიმართულებით გათვალისწინებული იყო მუნიციპალური ავტოპარკის დაბალემისიიანი ავტომობილებით ჩანაცვლება, კერძოდ, დიზელზე და ბენზინზე მომუშავე ავტომობილების ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტომობილებით ჩანაცვლება. ამ მიმართულებით მობილიზებული იყო 500 ათასი ლარი, ხოლო დეფიციტი შეადგენდა 3,5 მლნ ლარს. მოსალოდნელი ემისიების შემცირება შეადგენდა 253,19 ტონა CO_2-ის ეკვივალენტს. მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით, ეს არის მნიშვნელოვანი საინვესტიციო მიმართულება, რადგან მუნიციპალიტეტის ავტოპარკის განახლება ამცირებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას, აუმჯობესებს ჰაერის ხარისხს და ქმნის დაბალემისიიანი ტრანსპორტის განვითარების საფუძველს ადგილობრივ დონეზე.

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მიმართულებით SECAP ბევრად უფრო ფართო საინვესტიციო ჩარჩოს მოიცავს. ადაპტაციის ღონისძიებების **საერთო ღირებულება შეადგენდა 167,5 მლნ ლარს,** საიდანაც კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საადაპტაციო ხარჯად მიჩნეული იყო სრული ბიუჯეტის დაახლოებით **25%**, ანუ **41,9** მლნ ლარი. ეს მიდგომა მწვანე ბიუჯეტის ანგარიშისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან ადაპტაციის ღონისძიებები ხშირად მრავალმიზნობრივია: მაგალითად, გზების, წყალმომარაგების, წყალარინების, სანიაღვრე და ნაპირდამცავი ინფრასტრუქტურის განვითარება ერთდროულად ემსახურება როგორც საბაზისო მუნიციპალურ მომსახურებას, ისე კლიმატური რისკების შემცირებას. შესაბამისად, <u>ასეთი ხარჯების სრული მოცულობის 100%-ით კლიმატის ხარჯად ჩათვლა შეიძლება გადაჭარბებული იყოს, ხოლო 25%-იანი კოეფიციენტის გამოყენება უფრო ფრთხილ და კონსერვატულ მიდგომას წარმოადგენს</u>.

ადაპტაციის მიმართულებები მოიცავს მწვანე სივრცეებისა და სარეკრეაციო ზონების მოწყობას/განვითარებას, წყალსადენებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციას, გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას, გზებისა და სანიაღვრე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, წყალდიდობებისა და წყალმოვარდნებისგან დაცვას, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, კლიმატდამოკიდებული დაავადებების მართვას, თბური ტალღების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ბუნებრივი კატასტროფების დროს ქცევის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, ქარსა-

ფარი ზოლების მოწყობასა და წყლის არამიზნობრივი დანაკარგების შემცირებას. ეს მიმართულებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოზურგეთისთვის, რადგან მუნიციპალიტეტი მოწყვლადია წყალდიდობების, წყალმოვარდნების, მეწყრების, ნალექების ცვლილების, თბური ტალღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაზე კლიმატის ზემოქმედების მიმართ.

მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში ოზურგეთის SECAP-ის ინტეგრირება მიზანშეწონილია რამდენიმე მიმართულებით.

პირველ რიგში, **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები და ქვეპროგრამები უნდა დაუკავშირდეს SECAP-ის შესაბამის მიზნებსა და აქტივობებს.** მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებში შესაძლებელია გამოიყოს კლიმატისადმი მედეგი ინფრასტრუქტურის კომპონენტები; დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამებში – გამწვანების, რეკრეაციული სივრცეების, ნარგავების მოვლა-პატრონობისა და კლიმატთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლების კომპონენტები; ტრანსპორტის და კომუნალური მომსახურების პროგრამებში – ენერგოეფექტური განათება და დაბალემისიიანი ავტოპარკი; განათლებისა და სოციალური/ჯანდაცვის მიმართულებებში – თბური ტალღებისა და კლიმატდამოკიდებული დაავადებების შესახებ მოსახლეობისა და პროფესიონალების ინფორმირება.

ამასთან, **მწვანე ბიუჯეტის ანგარიშმა უნდა აჩვენოს არა მხოლოდ ხარჯების მოცულობა, არამედ მათი კლიმატური შედეგები.** ამისათვის თითოეულ ღონისძიებას შეიძლება მიენიჭოს კლიმატის მარკერი: შერბილება, ადაპტაცია, შერბილება და ადაპტაცია ან ხელშემწყობი/ ინსტიტუციური ღონისძიება. შერბილების ღონისძიებების შემთხვევაში მიზანშეწონილია პირდაპირი ინდიკატორების გამოყენება, როგორიცაა დაზოგილი ენერგია მგვტ.სთ-ში და შემცირებული ემისიები ტონა CO_2-ის ეკვივალენტში. ადაპტაციის ღონისძიებების შემთხვევაში საჭიროა ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა კლიმატმედეგი ინფრასტრუქტურის სიგრძე ან რაოდენობა, დაცული მოსახლეობის რაოდენობა, რეაბილიტირებული წყალმომარაგების/წყალარინების ქსელი, მოწყობილი მწვანე სივრცეების ფართობი, გადამზადებული სამედიცინო პერსონალი, ინფორმირებული მოსახლეობა და ბუნებრივი საფრთხეებისადმი დაცული დასახლებები.

დამატებით, SECAP-ის მონაცემები აჩვენებს, რომ **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მწვანე ბიუჯეტი არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ გარემოს დაცვის ხარჯებად.** კლიმატთან დაკავშირებული ხარჯები ნაწილდება ინფრასტრუქტურაში, ტრანსპორტში, შენობების რეაბილიტაციაში, ენერგოეფექტურობაში, წყალმომარაგებასა და წყალარინებაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში, ცნობიერების ამაღლებასა და მუნიციპალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტის მიზანია არა ახალი, განცალკევებული ბიუჯეტის შექმნა, არამედ არსებული ბიუჯეტის იმ ნაწილის იდენტიფიცირება, რომელიც ხელს უწყობს კლიმატის მიზნების მიღწევას და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის SECAP-ის მიხედვით, **მწვანე ბიუჯეტის კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების მინიმალური იდენტიფიცირებადი მოცულობა შეიძლება შეფასდეს 60,4 მლნ ლარად, რაც მოიცავს შერბილების ღონისძიებების სრულ ღირებულებას – 18,5 მლნ ლარს და ადაპტაციის ღონისძიებების კლიმატურ წილს – 41,9 მლნ ლარს.** ეს რიცხვი არ ნიშნავს მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტს, არამედ ასახავს SECAP-ის ფარგლებში 2030 წლამდე განსაზღვრული კლიმატთან დაკავშირებული საინვესტიციო საჭიროებებისა და ღონისძიებების მასშტაბს. ასეთი მიდგომა მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საბაზისო ჩარჩო, რომლის მიხედვითაც შემდგომ წლებში მოხდება რეალურად გაწეული ხარჯების, მობილიზებული დაფინანსების, დეფიციტის და მიღწეული კლიმატური შედეგების მონიტორინგი.

ცხრილი 4. ოზურგეთის SECAP-ის ღონისძიებების ასახვა მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში

მიმართულება / სექტორი	ძირითადი ღონისძიებები	მწვანე ბიუჯეტის მარკერი	ბიუჯეტი / დაფინანსება	მოსალოდნელი კლიმატური შედეგი	მწვანე ბიუჯეტის განმარტება
მუნიციპალური შენობები	ადმინისტრაციული შენობებისა და საბავშვო ბაღების ენერგოეფექტური რეაბილიტაცია: კარ-ფანჯრის შეცვლა, სახურავის/სხვენის, კედლებისა და იატაკის თბოიზოლაცია	შერბილება	12,5 მლნ ₾, სრულად მობილიზებული	ენერგიის მოხმარება: -577,14 მგვტ.სთ; ემისიები: -101,59 ტ CO_2 ეკვ.	პირდაპირ ამცირებს საჯარო შენობების ენერგომოხმარებას და კომუნალურ ხარჯებს; ხარჯი შეიძლება 100%-ით ჩაითვალოს კლიმატის შერბილების ხარჯად
არამუნიციპალური და საცხოვრებელი შენობები	ცენტრალური გათბობის, შენობების დათბუნების, გამათბობლების ჩანაცვლებისა და ენერგოეფექტური ქცევის წახალისების კამპანიები	შერბილება / ხელშემწყობი ღონისძიება	0,2 მლნ ₾, დეფიციტი	ენერგიის მოხმარება: -11 256,08 მგვტ.სთ; ემისიები: -2 273,73 ტ CO_2 ეკვ.	მცირე ბიუჯეტით მაღალი პოტენციური ეფექტი; მიზანშეწონილია დონორული ან ცენტრალური პროგრამების მობილიზება
გარე განათება	არსებული განათების სისტემების განახლება მაღალეფექტური LED სანათებით და ახალი LED განათების წერტილების მოწყობა	შერბილება	5,3 მლნ ₾, სრულად მობილიზებული	ენერგიის მოხმარება: -925,32 მგვტ.სთ; ემისიები: -127,6 ტ CO_2 ეკვ.	ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურული ხარჯი; აუმჯობესებს საჯარო მომსახურებას და ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას
მუნიციპალური ავტოპარკი	დიზელზე და ბენზინზე მომუშავე ავტომობილების დაბალემისიიანი/ელექტრო ავტომობილებით ჩანაცვლება	შერბილება	4 მლნ ₾; მობილიზებული – 0,5 მლნ ₾; დეფიციტი – 3,5 მლნ ₾	ემისიები: -253,19 ტ CO_2 ეკვ.	ამცირებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას და მუნიციპალური ტრანსპორტის ემისიებს; საჭიროებს დამატებით დაფინანსებას
მწვანე სივრცეები და რეკრეაცია	სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავების გაშენება, საჩრდილობლების მოწყობა	ადაპტაცია	სკვერები – 25 მლნ ₾; სხვა ხარჯები საჭიროებისამებრ	თბური ტალღებისა და ურბანული „თბური კუნძულის“ ეფექტის შემცირება; დასვენებისა და ჯანმრთელობის თანასარგებელი	მიზანშეწონილია ხარჯის კლიმატური წილის გამოყოფა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ღონისძიება ამცირებს სიცხის რისკს ან ზრდის მწვანე საფარს

წყლის ინფრასტრუქტურა	წყალსადენების ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია, წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია, გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა	ადაპტაცია / გარემოს დაცვა	წყალსადენები – 42,5 მლნ ₾; წყალარინება – 35 მლნ ₾; გამწმენდი ნაგებობა – 20 მლნ ₾	წყალმომარაგებისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესება; წყლის რესურსებისა და გარემოს დაბინძურების შემცირება	მრავალმიზნობრივი ხარჯია; SECAP-ის მიხედვით ადაპტაციის კლიმატური წილისთვის გამოყენებულია დაახლოებით 25%-იანი მიდგომა
გზები, სანიაღვრე და კლიმატმედეგი ინფრასტრუქტურა	გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხები, წყალდიდობა/წყალმოვარდნებისგან დაცვა, ნაპირსამაგრი და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	ადაპტაცია	გზები _ 45 მლნ ₾; წყალდიდობა/მეწყერი — ბიუჯეტი საჭიროებისამებრ	ინფრასტრუქტურის დაზიანების, გადაადგილების შეფერხებისა და სტიქიური ზიანის შემცირება	მწვანე ბიუჯეტში უნდა გამოიყოს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აშკარად ზრდის კლიმატურ მედეგობას
ჯანდაცვა და ცნობიერება	კლიმატდამოკიდებული დაავადებების მართვა, თბური ტალღების შესახებ ინფორმირება, ბუნებრივი კატასტროფების დროს ქცევის წესების გავრცელება	ადაპტაცია / შესაძლებლობების გაძლიერება	2024-2029 წლების ბიუჯეტი განისაზღვრება საჭიროებისამებრ	მოწყვლადი ჯგუფების დაცვა, განსაკუთრებით ხანდაზმულების, ბავშვების, ქრონიკულად დაავადებულებისა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის	მცირე ხარჯებით მაღალი სოციალური ეფექტი; მიზანშეწონილია ცალკე მარკირება, როგორც კლიმატთან ადაპტაციის ხელშემწყობი ხარჯი
სოფლის მეურნეობა	ქარსაფარი ზოლების მოწყობა, წყლის არამიზნობრივი დანაკარგების შემცირება	ადაპტაცია	2024-2029 წლების ბიუჯეტი განისაზღვრება საჭიროებისამებრ	ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის რისკების შემცირება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის დაცვა	ხარჯი უკავშირდება სოფლის მეურნეობის კლიმატურ მედეგობას და შეიძლება აღირიცხოს ადაპტაციის მიმართულებით
ჯამური შერბილების პაკეტი	შენობები, გარე განათება, მუნიციპალური ავტოპარკი	შერბილება	18,5 მლნ ₾; მობილიზებული – 14,8 მლნ ₾; დეფიციტი – 3,7 მლნ ₾	ემისიების შემცირება 2030 წლისთვის: დაახლოებით 26 611,86 ტ CO_2 ეკვ. ბიზნესის ტრადიციულ სცენართან შედარებით	მწვანე ბიუჯეტში შეიძლება 100%-ით მიენიჭოს კლიმატის შერბილების მარკერი
ჯამური ადაპტაციის პაკეტი	მწვანე სივრცეები, წყალმომარაგება/წყალარინება, გზები და სანიაღვრე ინფრასტრუქტურა, სტიქიებისგან დაცვა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა	ადაპტაცია	სრული ბიუჯეტი – 167,5 მლნ ₾; კლიმატური წილი –41,9 მლნ ₾	კლიმატური რისკებისადმი მედეგობის ზრდა და ზიანის/ზარალის შემცირება	SECAP-ის მიდგომით, მრავალმხრივი სარგებლის გათვალისწინებით კლიმატის საადაპტაციო ხარჯად მიჩნეულია სრული ბიუჯეტის დაახლოებით 25%

წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის SECAP-ის მიხედვით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა ქმნის მყარ საფუძველს ადგილობრივ დონეზე მწვანე ბიუჯეტის განვითარებისთვის. დოკუმენტი აერთიანებს როგორც რაოდენობრივად გაზომვად შერბილების ღონისძიებებს, ასევე ფართო ადაპტაციის პაკეტს, რომელიც მიმართულია ინფრასტრუქტურის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოფლის მეურნეობისა და ურბანული გარემოს კლიმატური მედეგობის გაძლიერებაზე. **SECAP-ის მიხედვით, 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტს შეუძლია ბიზნესის ტრადიციული განვითარების სცენართან შედარებით სათბურის აირების ემისიები დაახლოებით 30,32%-ით შეამციროს, რაც მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში უნდა აისახოს, როგორც კლიმატურ შედეგზე ორიენტირებული საჯარო ფინანსების გამოყენების მაგალითი.**

მწვანე ბიუჯეტის შემდგომი გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამების დონეზე დანერგოს კლიმატის მარკირება, ცალკე გამოყოს შერბილების, ადაპტაციისა და თანასარგებლის მქონე ხარჯები, ხოლო წლიურ ანგარიშგებაში წარმოადგინოს არა მხოლოდ ფინანსური შესრულება, არამედ მიღწეული კლიმატური შედეგებიც – დაზოგილი ენერგია, შემცირებული ემისიები, კლიმატმედეგი ინფრასტრუქტურა და დაცული/ინფორმირებული მოსახლეობა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დოკუმენტების გარემოსდაცვითი ანალიზი

ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)

BDD 2025-2028 წლებისთვის

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს საშუალოვადიან საბიუჯეტო და პროგრამულ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების მთავარ მიმართულებებს, ფინანსურ პარამეტრებსა და პროგრამულ პრიორიტეტებს. დოკუმენტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია ეფუძნება ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობასა და სკოლამდელი განათლების განვითარებას. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ხარჯების ნაწილი პირდაპირ უკავშირდება გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, ენერგოეფექტიანობას, წყლის რესურსების მართვას, ნარჩენების მართვას, მწვანე სივრცეების მოვლა-პატრონობასა და მდგრად ურბანულ ინფრასტრუქტურას.

დოკუმენტში წარმოდგენილი ტერიტორიული და ბუნებრივი მახასიათებლები აჩვენებს, რომ **ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის მწვანე ბიუჯეტირება არა მხოლოდ გარემოსდაცვითი პოლიტიკის საკითხია, არამედ ადგილობრივი განვითარების, უსაფრთხოების და ეკონომიკური მედეგობის აუცილებელი ინსტრუმენტია.** მუნიციპალიტეტი მდებარეობს რა მდინარეების ბჟუჟის, ნატანებისა და სუფსის ხეობებში და დასავლეთიდან ესაზღვრება შავი ზღვა, მისი ტერიტორია მოიცავს როგორც ბარის, ისე მთის ნაწილს. როგორც დოკუმენტშია ხაზგასმული, მუნიციპალიტეტის რიგი დასახლებები მეწყრულ ზონაშია მოქცეული და მაღალია სტიქიური კატასტროფების რისკი. ეს გარემოება განსაკუთრებით ზრდის კლიმატის ადაპტაციისა და რისკების პრევენციის მნიშვნელობას. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში ოზურგეთის ბუნებრივი პირობები და რისკები უნდა განიხილებოდეს, როგორც საფუძველი, რის გამოც ინფრასტრუქტურის, სანიაღვრე სისტემების, წყლის სისტემების, ნაპირსამაგრი და გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსება უნდა შეფასდეს კლიმატური მედეგობისა და გარემოსდაცვითი შედეგების ჭრილში.

2025-2028 წლების პრიორიტეტების მიხედვით, მწვანე ბიუჯეტის ძირითადი ბირთვი ორი პრიორიტეტის ფარგლებში იკვეთება: „ინფრასტრუქტურა“ და „დასუფთავება და გარემოს დაცვა“. 2025 წელს ინფრასტრუქტურის პრიორიტეტზე ნაწილდებოდა 6,6 მლნ ლარი, ხოლო დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტზე – 4,6 მლნ ლარი. ჯამურად ეს შეადგენდა 11,2 მლნ ლარს, რაც 2025 წლის მთლიანი პრიორიტეტული ასიგნებების დაახლოებით 27,2%-ს შეადგენდა. მოცემული BDD-ის შესაბამისად, 2028 წლისთვის ინფრასტრუქტურის დაფინანსება იზრდებოდა 10,4 მლნ ლარამდე, ხოლო დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება – 6,3 მლნ ლარამდე. ჯამურად ეს შეადგენს 16,7 მლნ ლარს, ანუ 2028 წლის მთლიანი ასიგნებების დაახლოებით 30,9%-ს. აღნიშნული დინამიკა აჩვენებს, რომ მწვანე ბიუჯეტთან პირდაპირ ან ნაწილობრივ დაკავშირებული მიმართულებების წილი საშუალოვადიან პერიოდში მზარდია.

ინფრასტრუქტურის პრიორიტეტი მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით მრავალკომპონენტიანია. იგი მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურას, წყლის სისტემების განვითარებას, საზოგადოებრივი სივრცეების განვითარებას, გარე განათებასა და ელმომარაგებას, მუნიციპალურ ტრანსპორტს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამას და სტიქიის პრევენციას. ყველა ეს მიმართულება ერთნაირად არ შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირ მწვანე ხარჯად, თუმცა მათი ნაწილი პირდაპირ უკავშირდება გარემოსდაცვით ან კლიმატურ შედეგებს. მაგალითად, წყლის სისტემების განვითარება პირდაპირ უკავშირდება SDG 6-ს, სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას, სანიტარულ პირობებს და კლიმატის ცვლილების პირობებში წყლის უსაფრთხოებას. დოკუმენტის მიხედვით, წყალმომარაგების პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლად დასახლებული მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. ამდენად, წყალმომარაგების ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია შეიძლება შეფასდეს, როგორც პირდაპირ მწვანე და კლიმატის ადაპტაციასთან დაკავშირებული ხარჯი.

გარე განათებისა და ელმომარაგების პროგრამა მწვანე ბიუჯეტში ასევე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. დოკუმენტი ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას, LED სანათების მოწყობას და მოძველებული სანათების ჩანაცვლებას. ეს მიმართულება უკავშირდება როგორც ენერგოეფექტიანობას, ისე უსაფრთხო და ინკლუზიურ ურბანულ გარემოს. LED განათება ამცირებს ენერგიის მოხმარებას და შესაბამისად, ქმნის ემისიების შემცირების პოტენციალს. ამასთან, ღამის საათებში უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის, რის გამოც პროგრამას აქვს სოციალური და გენდერული თანასწორობის კომპონენტიც. მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში ეს პროგრამა შეიძლება შეფასდეს, როგორც კლიმატის შერბილებასთან დაკავშირებული ხარჯი, ხოლო მისი სოციალური ეფექტი – როგორც თანმდევი მდგრადი განვითარების შედეგი.

მუნიციპალური ტრანსპორტის პროგრამა მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში **ნაწილობრივ კლიმატურ** და ნაწილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მიმართულებად

უნდა შეფასდეს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მგზავრების რეგულარული გადაყვანა მუნიციპალიტეტის რამდენიმე დასახლებულ ერთეულში. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა ამცირებს კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულებას, აუმჯობესებს მოსახლეობის მობილობას და ხელს უწყობს მდგრად დასახლებებს. თუმცა, იმისათვის, რომ ეს პროგრამა სრულად ჩაითვალოს კლიმატის შერბილების ღონისძიებად, საჭიროა დამატებითი მონაცემები ავტოპარკის ტიპის, საწვავის მოხმარების, ემისიების და განახლების მიმართულებების შესახებ. ამიტომ მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში მუნიციპალური ტრანსპორტი მიზანშეწონილია აღინიშნოს, როგორც „ნაწილობრივ მწვანე“ ან „მდგრად მობილობასთან დაკავშირებული“ ხარჯი.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტი წარმოადგენს ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტის პირდაპირ გარემოსდაცვით ნაწილს. იგი მოიცავს მუნიციპალური ნარჩენების მართვასა და დასუფთავებას, რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობასა და განვითარებას, ასევე მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვას. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება, ნარჩენების იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსგან, ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ქალაქის ტერიტორიის გამწვანებითი სამუშაოები და ჩამდინარე წყლების მართვა. ეს მიმართულებები პირდაპირ შეესაბამება მწვანე ბიუჯეტის მიზანს – გამოიკვეთოს ის ხარჯები, რომლებიც აუმჯობესებს გარემოს ხარისხს და ამცირებს გარემოზე ზეწოლას.

ნარჩენების მართვის მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყოველდღიური ნარჩენების გატანა, სანაგვე კონტეინერების მომსახურება და ტურისტულ სეზონზე გატანის სიხშირის გაზრდა. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ოზურგეთისთვის, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს როგორც ზღვისპირა, ისე სამთო-საკურორტო პოტენციალი. ტურისტული დატვირთვის ზრდა ზრდის ნარჩენების მართვის საჭიროებასაც. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში ნარჩენების გატანა და დასუფთავება უნდა განისაზღვროს, როგორც პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯი, ხოლო ტურისტულ ზონებთან დაკავშირებული დასუფთავება – როგორც მდგრადი ტურიზმის მხარდამჭერი საბიუჯეტო ღონისძიება. მნიშვნელოვანი კომპონენტია აგრეთვე ქვიშის სანაპიროების რეგულარული დასუფთავება. ამ მხრივ ხაზგასმას საჭიროებს მუნიციპალიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილი ძალისხმევა, რაც ნაპირების საგულისხმო მოვლა-პატრონობაზე მიუთითებს.

მწვანე სივრცეებისა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მიმართულება, ასევე, მნიშვნელოვანი კომპონენტია. დოკუმენტი ითვალისწინებს სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობას, მწვანე საფარის შენარჩუნებას, ახალი ხე-მცენარეებისა და ყვავილების დარგვას, ასევე არსებულ მცენარეთა ფიტო-სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს მიმართულება შეიძლება შეფასდეს, როგორც **კლიმატის ადაპტაციისა და ურბანული გარემოს გაუმჯობესების ღონისძიება.** მწვანე სივრცეები ამცირებს ურბანული სიცხის ეფექტს, აუმჯობესებს

ჰაერის ხარისხს, ქმნის დასვენებისა და სოციალური ჩართულობის სივრცეებს და ზრდის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მიმზიდველობას. ოზურგეთისთვის, როგორც ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტისთვის, მწვანე სივრცეების მოვლა-პატრონობა, ასევე, უკავშირდება ადგილობრივი ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

სანიაღვრე ქსელებისა და ჩამდინარე წყლების მართვის მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიმატის ადაპტაციის თვალსაზრისით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამა ითვალისწინებს სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, მათ შორის, წვიმმიმღებების, საკონტროლო ჭებისა და გვერდმიმღებების მოწყობას. ქვეპროგრამის მიზნად განსაზღვრულია ჩამდინარე წყლების მართვა, რათა შემცირდეს წყალმოვარდნების რისკი. ეს ფორმულირება პირდაპირ აჩვენებს კლიმატის ადაპტაციის შინაარსს, რადგან ძლიერი ნალექისა და წყალმოვარდნის რისკების შემცირება მუნიციპალიტეტის მედეგობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს მწვანე ბიუჯეტის ანგარიშისთვის. დოკუმენტში არსებული პროგრამული სტრუქტურა უკვე იძლევა შესაძლებლობას, გამოიკვეთოს პირდაპირი მწვანე ხარჯები – ნარჩენების მართვა, დასუფთავება, გამწვანება, წყლის სისტემები, სანიაღვრე ქსელები და LED განათება; ასევე ნაწილობრივ მწვანე ხარჯები – საგზაო ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი სივრცეები, მუნიციპალური ტრანსპორტი და სტიქიის პრევენცია. ანგარიშში რეკომენდებულია, რომ აღნიშნულ პროგრამებს მიენიჭოს მწვანე ბიუჯეტის ნიშანი შემდეგი კატეგორიებით: გარემოს დაცვა, კლიმატის ადაპტაცია, კლიმატის შერბილება, მდგრადი ურბანული განვითარება და ნაწილობრივ მწვანე ინფრასტრუქტურა. ასეთი მიდგომა გააძლიერებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გამჭვირვალობას და აჩვენებს, რა წვლილი შეაქვს ადგილობრივ ბიუჯეტს მდგრადი განვითარებისა და კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მიღწევაში.

ცხრილი 5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ანალიზი მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში (მლნ ლარი)

პრიორიტეტი / პროგრამა	2025	2028	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	რეკომენდებული კლასიფიკაცია
02 00 ინფრასტრუქტურა	6,6	10,4	წყალი, LED განათება, ტრანსპორტი, საზოგადოებრივი სივრცეები, სტიქიის პრევენცია	ნაწილობრივ მწვანე / კლიმატთან დაკავშირებული
02 02 წყლის სისტემების განვითარება	1,5	2,2	სასმელი წყალი, წყლის უსაფრთხოება, სოფლების წყალმომარაგება	პირდაპირ მწვანე / კლიმატის ადაპტაცია
02 03 საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება	0,4	0,4	სკვერები, პარკები, ღია სივრცეები	მწვანე ურბანული ინფრასტრუქტურა
02 07 გარე განათება და ელმომარაგება	1,7	2,1	LED სანათები, ენერგოეფექტიანობა, უსაფრთხო გადაადგილება	კლიმატის შერბილება / SDG 7
02 08 მუნიციპალური ტრანსპორტი	0,4	0,5	საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა	ნაწილობრივ მწვანე / მდგრადი მობილობა
02 10 სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია	0,01	–	სტიქიური რისკების შემცირება	კლიმატის ადაპტაცია
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	4,6	6,3	ნარჩენები, დასუფთავება, გამწვანება, სანიაღვრე ქსელები	პირდაპირ მწვანე
03 01 მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება	4	5,2	ნარჩენების შეგროვება, გატანა, დასუფთავება	პირდაპირ გარემოსდაცვითი
03 02 რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება	0,2	0,4	სკვერები, პარკები, ნარგავები, მწვანე საფარი	კლიმატის ადაპტაცია / ურბანული ეკოლოგია
03 03 სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა	0,4	0,7	სანიაღვრე ქსელები, ჩამდინარე წყლები, წყალმოვარდნის რისკის შემცირება	კლიმატის ადაპტაცია / გარემოს დაცვა
ჯამი	**11,2**	**16,7**	მწვანე ბიუჯეტის ძირითადი ბირთვი	პირდაპირი და ნაწილობრივ მწვანე ხარჯები

წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის BDD 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით

განახლებული BDD 2026-2029 წლებისთვის და მისი შედარება წინა პერიოდთან

2026-2029 წლის BDD-ის დოკუმენტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის სტრატეგია კვლავ ორიენტირებულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობაზე, სკოლამდელი განათლების განვითარებასა და ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე. მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით, დოკუმენტი კვლავაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან, ნარჩენების მართვასთან, წყლის სისტემებთან, ენერგოეფექტურობასთან, საზოგადოებრივ ტრანსპორტთან, სტიქიური რისკების პრევენციასთან და ურბანული გარემოს გაუმჯობესებასთან.

დოკუმენტის ზოგადი ნაწილი აჩვენებს, რომ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, ნიადაგისა და ფერდობების სტაბილურობა, წყლის მართვა, სანიაღვრე სისტემები და ინფრასტრუქტურის მედეგობა მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი უნდა იყოს.

2026-2029 წლების პრიორიტეტების მიხედვით, მწვანე ბიუჯეტის ძირითადი ბირთვი, როგორც 2025-2028 BDD-ში კვლავ ორ მიმართულებაში იკვეთება: „ინფრასტრუქტურა“ და „დასუფთავება და გარემოს დაცვა“. 2026 წელს ინფრასტრუქტურის პრიორიტეტზე დაგეგმილია 8,3 მლნ ლარი, ხოლო დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტზე – 5,4 მლნ ლარი. ჯამურად ეს შეადგენს 13,7 მლნ ლარს, რაც 2026 წლის მთლიანი პრიორიტეტული ასიგნებების დაახლოებით 28,4%-ია. 2029 წლისთვის ინფრასტრუქტურის დაფინანსება იზრდება 11 106,0 ათას ლარამდე, ხოლო დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება – 7,9 მლნ ლარამდე. ეს ჯამურად 19 მლნ ლარს შეადგენს, ანუ 2029 წლის მთლიანი პრიორიტეტული ასიგნებების დაახლოებით 30,8%-ს. ეს დინამიკა აჩვენებს, რომ მწვანე და კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების მნიშვნელობა საშუალოვადიან პერიოდში კვლავაც იზრდება.

მუნიციპალური ტრანსპორტის პროგრამა 2026-2029 წლების დოკუმენტში ცალკე კომპონენტად არის წარმოდგენილი და მისი დაფინანსება იზრდება 550,0 ათასი ლარიდან 700,0 ათას ლარამდე. როგორც წინა BDD-ის ანალიზში მივუთითეთ, მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეიძლება შეფასდეს, როგორც მდგრადი მობილობის ხელშემწყობი ხარჯი.

2026-2029 წლებში დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება იზრდება 5,4 მლნ ლარიდან 7,9 მლნ ლარამდე. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული გარემოს დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება პირდაპირ უკავშირდება ნარჩენების მართვას, გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას, დაბინძურების შემცირებას, ტურისტული ზონების სანიტარულ მდგომარეობას და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს

გაუმჯობესებას. შესაბამისად, აღნიშნული პრიორიტეტი ანგარიშში უნდა შეფასდეს, როგორც პირდაპირი მწვანე ხარჯი.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ 2026-2029 წლების დოკუმენტში დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტი სტრუქტურულად შედარებით გამარტივებულია და მოიცავს ორ ძირითად პროგრამას: დასუფთავება და გარემოს დაცვა და კომუნალური მომსახურება. ეს შეიძლება ანგარიშში შეფასდეს ორმხრივად. ერთი მხრივ, პროგრამული სტრუქტურის გამარტივება აადვილებს ფინანსური მართვის აღქმას; მეორე მხრივ, მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით სასურველია, რომ უფრო დეტალურად გაიმიჯნოს ნარჩენების მართვა, გამწვანება, ჩამდინარე წყლების მართვა, სანიაღვრე ქსელები, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და მიუსაფარი ცხოველების მართვა. ასეთი დეტალიზაცია გააუმჯობესებს მწვანე ხარჯების მონიშვნას და შედეგების შეფასებას.

2026-2029 წლების დოკუმენტი წინა, 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან შედარებით აჩვენებს მწვანე მიმართულებების ფინანსურ ზრდას. 2025-2028 წლების დოკუმენტში ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის ჯამური დაფინანსება 2025 წელს შეადგენდა 11,2 მლნ ლარს, ხოლო 2028 წელს – 16,7 მლნ ლარს. ახალ დოკუმენტში 2026 წლისთვის ეს მაჩვენებელი უკვე 13,7 მლნ ლარია, ხოლო 2029 წლისთვის – 19 მლნ ლარი. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში შეიძლება აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან ფინანსურ ჩარჩოში გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა იზრდება, თუმცა ამ ზრდის ხარისხიანი შეფასებისთვის საჭიროა პროგრამების უფრო მკაფიო კლიმატური და გარემოსდაცვითი მარკირება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი ქმნის უფრო გაძლიერებულ საბიუჯეტო საფუძველს მწვანე ბიუჯეტის ანგარიშისთვის. დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს, რომ ინფრასტრუქტურა და დასუფთავება-გარემოს დაცვა საშუალოვადიან პერიოდში რჩება ერთ-ერთ მთავარ ფინანსურ მიმართულებად. მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში რეკომენდებულია ამ პროგრამების კლასიფიკაცია ოთხი ძირითადი ნიშნით: გარემოს დაცვა, კლიმატის ადაპტაცია, კლიმატის შერბილება და მდგრადი ურბანული განვითარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა მომდევნო ეტაპზე პროგრამულ ბიუჯეტში უფრო მკაფიოდ გამოყოს კლიმატთან დაკავშირებული ინდიკატორები – მაგალითად, LED სანათების წილი, წყლის სისტემებით მოსარგებლე მოსახლეობის წილი, ნარჩენების გატანის დაფარვა, მწვანე სივრცეების ფართობი, სანიაღვრე ქსელების სიგრძე და სტიქიური რისკების შემცირების ღონისძიებები. ასეთი მიდგომა მწვანე ბიუჯეტს აქცევს არა მხოლოდ ხარჯების აღრიცხვის, არამედ შედეგებზე ორიენტირებული მდგრადი განვითარების ინსტრუმენტად.

ცხრილი 6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ანალიზი მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში (მლნ ლარი)

პრიორიტეტი / პროგრამა	2026	2027	2028	2029	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	რეკომენდებული კლასიფიკაცია
02 00 ინფრასტრუქტურა	8,3	9,5	10,5	11,1	წყალი, განათება, ტრანსპორტი, საზოგადოებრივი სივრცეები, სტიქიის პრევენცია	ნაწილობრივ მწვანე / კლიმატთან დაკავშირებული
02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,1	2,2	2,3	2,4	გზების მოვლა, რეაბილიტაცია, მოძრაობის ორგანიზება	პირობითად მწვანე, თუ მოიცავს მედეგობას/სანიაღვრეებს/უსაფრთხოებას
02 07 გარე განათება და ელმომარაგება	1,9	2,1	2,3	2,4	LED განათება, ენერგოეფექტიანობა, უსაფრთხო გადაადგილება	კლიმატის შერბილება / ენერგოეფექტიანობა
02 08 მუნიციპალური ტრანსპორტი	0,6	0,6	0,7	0,7	საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა	ნაწილობრივ მწვანე / მდგრადი მობილობა
02 10 სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია	0,0	0,0	0,0	0,0	სტიქიური რისკების შემცირება	კლიმატის ადაპტაცია
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	5,4	6,6	7,2	7,9	ნარჩენების მართვა, დასუფთავება, გამწვანება, კომუნალური გარემოსდაცვითი სერვისები	პირდაპირ მწვანე
03 01 დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,6	3,1	3,4	3,7	დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავები	პირდაპირ გარემოსდაცვითი
03 02 კომუნალური მომსახურება	2,8	3,5	3,8	4,2	კომუნალური გარემოსდაცვითი მომსახურება	გარემოს დაცვა / ურბანული მდგრადობა
02 00 + 03 00 ჯამი	**13,7**	**16,1**	**17,7**	**19,0**	მწვანე ბიუჯეტის ძირითადი ბირთვი	პირდაპირი და ნაწილობრივ მწვანე ხარჯები
სულ ასიგნებები	48,1	53,1	57,6	61,7		
წილი ასიგნებებში	**28,4%**	**30,3%**	**30,7%**	**30,8%**	ზრდადი საშუალოვადიანი მნიშვნელობა	მწვანე ბიუჯეტის საბაზისო მაჩვენებელი

წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით


BDD-ის 2025-2028 და 2026-2029 წლების დოკუმენტებში ინფრასტრუქტურისა და დასუფთავება-გარემოს დაცვის ჯამური დაფინანსება 2025-2029 წლებში საგულისხმოდ იზრდება **11,2 მლნ ლარიდან 19 მლნ ლარამდე**, რაც მიუთითებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე და კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების საშუალოვადიანი ზრდის ტენდენციაზე.

ბიუჯეტის დადგენილება

2026 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის ანალიზი

წარმოდგენილი 2026 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის[11] საბოლოო ვერსია, ფაქტობრივი მდგომარეობა მოგვიანებით ფორმირდება რეალური შესრულების საფუძველზე, თუმცა ვფიქრობთ, საინტერესოა მისი მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში ანალიზი. ძირითადი ფინანსური ჩარჩოს მიხედვით, 2026 წლის ბიუჯეტის **შემოსავლები** განსაზღვრულია 47,52 მლნ ლარით, **გადასახდელები** – 47,95 მლნ ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა – 3,35 მლნ ლარით. მწვანე ბიუჯეტისთვის გამოკვეთილი პროგრამებია „02 00 **ინფრასტრუქტურის განვითარება“ – 8,25 მლნ ლარი და „03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა“ – 5,4 მლნ ლარი.**

დიაგრამა 2. ოზურგეთის 2026 წლის გამოკვეთილი გარემოსდაცვითი პროგრამები



წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის მიხედვით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით წარმოადგენს მნიშვნელოვან საბიუჯეტო დოკუმენტს, რადგან იგი უკვე შეიცავს არაერთ პროგრამასა და ქვეპროგრამას, რომლებიც პირდაპირ ან ნაწილობრივ უკავშირდება გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, ენერგოეფექტიანობას, წყლის რესურსების მართვას, ნარჩენების მართვას, საზოგადოებრივი სივრცეების განვითარებასა და მდგრად მობილობას. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი ცალკე არ იყენებს „მწვანე ბიუჯეტის“ ან „კლიმატური მარკირების“ ტერმინოლოგიას, პროგრამული სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, გამოიკვეთოს ის ხარჯები, რომლებიც გარემოსდაცვით და კლიმატურ შედეგებს ემსახურება.

11. 2025 წლის 29 დეკემბრის №12 საკრებულოს დადგენილებით: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“


2026 წლის ბიუჯეტის საერთო ფინანსური ჩარჩო აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის შემოსავლები განისაზღვრება 47,5 მლნ ლარით, ხოლო გადასახდელები – 47,95 მლნ ლარით. ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლების წყაროებია გადასახადები – 41,4 მლნ ლარი, სხვა შემოსავლები – 5,7 მლნ ლარი და გრანტები – 562,6 ათასი ლარი. აღნიშნული მიუთითებს, რომ **2026 წლის საწყის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის დაფინანსება ძირითადად საკუთარ შემოსავლებზეა ორიენტირებული, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი მსხვილი კაპიტალური ტრანსფერები, წინა წლებისგან განსხვავებით, საწყის ეტაპზე არსებითად არ არის ასახული.** მწვანე ბიუჯეტირების კუთხით ეს მნიშვნელოვანია, რადგან გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გაფართოება ხშირად დამოკიდებულია დამატებით კაპიტალურ ტრანსფერებზე, სახელმწიფო პროგრამებზე ან დონორულ/სხვა წყაროებზე.

ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, **გარემოს დაცვის** მიმართულებაზე გათვალისწინებულია **5,4 მლნ ლარი,** რაც მთლიან გადასახდელებში დაახლოებით **11,3%-ს შეადგენს.** ამ მიმართულებაში შედის **ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება,** რაც მწვანე ბიუჯეტისთვის პირდაპირ გარემოსდაცვით ხარჯად უნდა შეფასდეს.

გარდა ამისა, **საბინაო-კომუნალური მეურნეობის** მიმართულებაზე გათვალისწინებულია **4,2 მლნ ლარი,** საიდანაც **წყალმომარაგებაზე** მოდის 1,9 მლნ ლარი, ხოლო **გარე განათებაზე** 1,9 მლნ ლარი. ეს ორი კომპონენტი მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში უნდა განიხილებოდეს, როგორც წყლის უსაფრთხოების, ენერგოეფექტურობისა და მდგრადი მუნიციპალური სერვისების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბიუჯეტის პროგრამული კლასიფიკაცია კიდევ უფრო მკაფიოდ აჩვენებს მწვანე ბიუჯეტირების შესაძლებლობას.

დიაგრამა 3. ოზურგეთის 2026 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით



წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის მიხედვით

02 00 **ინფრასტრუქტურის განვითარების** პროგრამა 2026 წელს ფინანსდება **8,2 მლნ ლარით.** ამ პრიორიტეტში შედის **საგზაო ინფრასტრუქტურა, წყლის სისტემების განვითარება, საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება, გარე განათება და ელმომარაგება, მუნიციპალური ტრანსპორტი, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, ბინათმშენებლობა და სტიქიის პრევენცია.** ეს პროგრამა მთლიანად არ შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირ მწვანე ხარჯად, თუმცა მისი რამდენიმე ქვეპროგრამა აშკარად უკავშირდება გარემოსდაცვით და კლიმატურ მიზნებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გათვალისწინებულია **2 მლნ ლარი.** ბიუჯეტის ტექსტში ამ პროგრამის მიზნად განსაზღვრულია გზების მოწესრიგება და უსაფრთხო გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა. მწვანე ბიუჯეტის კუთხით საგზაო ინფრასტრუქტურა უნდა შეფასდეს ფრთხილად: მხოლოდ გზის საფარის რეაბილიტაცია ავტომატურად არ არის მწვანე ხარჯი, თუმცა პროგრამა შეიცავს კლიმატთან და მდგრად ურბანულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ელემენტებს. კერძოდ, აღწერაში გათვალისწინებულია გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, ასევე ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარება, პანდუსები, ბორდიურები, საგზაო ნიშ-

ნები და უსაფრთხო გადასასვლელები. ამ ნაწილში საგზაო ინფრასტრუქტურა შეიძლება შეფასდეს, როგორც ნაწილობრივ მწვანე ან კლიმატის ადაპტაციასთან დაკავშირებული ხარჯი, რადგან იგი ამცირებს ძლიერი ნალექით გამოწვეულ დაზიანებებს და აუმჯობესებს უსაფრთხო, ინკლუზიურ გადაადგილებას.

წყლის სისტემების განვითარებაზე ბიუჯეტში განსაზღვრულია **1,9** მლნ ლარი. აქედან წყალსადენის შიდა ქსელების მოწყობა-რეაბილიტაციაზე გათვალისწინებულია 0,4 მლნ ლარი, წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაციაზე – 1,4 მლნ ლარი, ხოლო კანალიზაციის ქსელების მოწყობა-რეაბილიტაციაზე – 0,15 მლნ ლარი. ეს მიმართულება მწვანე ბიუჯეტის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო კომპონენტია, რადგან უკავშირდება სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას, წყალმომარაგების სერვისის მდგრადობას, სანიტარიულ პირობებს და კლიმატის ცვლილების პირობებში წყლის უსაფრთხოებას. კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია ასევე უნდა შეფასდეს, როგორც გარემოსდაცვითი ხარჯი, რადგან იგი ამცირებს გარემოს დაბინძურების რისკებს და აუმჯობესებს კომუნალურ ინფრასტრუქტურას.

საზოგადოებრივი სივრცეების განვითარებაზე გათვალისწინებულია **0,35** მლნ ლარი, მათ შორის სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციაზე – 0,15 მლნ ლარი. მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში ეს პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს ურბანული გარემოს გაუმჯობესებისა და მწვანე ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის ნაწილად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სკვერებისა და ღია სივრცეების რეაბილიტაცია მოიცავს გამწვანებას, ჩრდილის შექმნას, წყლის ეფექტიან მართვას, ხელმისაწვდომ გარემოს და კლიმატის ადაპტაციის ელემენტებს. ასეთი სივრცეები აუმჯობესებს ურბანულ მიკროკლიმატს, ამცირებს სიცხის ეფექტს და ქმნის მოსახლეობისთვის უსაფრთხო დასასვენებელ გარემოს.

გარე განათებასა და ელმომარაგებაზე 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია **1,9** მლნ ლარი. მათ შორის გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციაზე განსაზღვრულია 0,1 მლნ ლარი, ელექტროენერგიის ხარჯზე – 1,2 მლნ ლარი, ხოლო ქსელის ექსპლუატაციაზე – 0,6 მლნ ლარი. ეს პროგრამა მწვანე ბიუჯეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგოეფექტიანობის თვალსაზრისით. თუ გარე განათების რეაბილიტაცია გულისხმობს LED სანათების დანერგვას ან მოძველებული სანათების ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით ჩანაცვლებას, ეს ხარჯი შეიძლება შეფასდეს, როგორც კლიმატის შერბილების მიმართულება, რადგან ამცირებს ენერგომოხმარებას და ემისიების შემცირების პოტენციალს ქმნის. ამავე დროს, გარე განათება ხელს უწყობს უსაფრთხო ურბანულ გარემოს და ინკლუზიურ გადაადგილებას.

მუნიციპალური ტრანსპორტის პროგრამაზე გამოყოფილია 550,0 ათასი ლარი. მწვანე ბიუჯეტის კუთხით საზოგადოებრივი ტრანსპორტი მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც მდგრადი მობილობისა და ნაწილობრივ კლიმატთან დაკავშირებული ხარჯი. საზოგადოებრივი ტრანსპორტი აუმჯობესებს მოსახლეობის გადაადგილებას, განსაკუთრებით სოფლებიდან მუნიციპალურ ცენტრამდე და

ამცირებს კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულების ზრდის რისკს. თუმცა მისი სრულად კლიმატურ ხარჯად შეფასებისთვის საჭიროა დამატებითი ინფორმაცია ავტოპარკის ტიპზე, საწვავზე, ენერგოეფექტურობაზე, მარშრუტების დატვირთვაზე და ემისიების შესაძლო შემცირებაზე.

სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია 2026 წლის ბიუჯეტში მცირე მოცულობით – 10,0 ათასი ლარით – არის წარმოდგენილი. მიუხედავად მცირე თანხისა, ეს პროგრამა მწვანე ბიუჯეტის ანალიზში უნდა აღინიშნოს, როგორც კლიმატის ადაპტაციის მიმართულება, რადგან ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის მეწყრული პროცესები, ძლიერი ნალექი, წყალდიდობა და სანაპირო/მდინარისპირა რისკები მნიშვნელოვანი გამოწვევაა. რეკომენდებულია, რომ მომავალ წლებში სტიქიის პრევენციის პროგრამა უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს კლიმატურ რისკებს, ნაპირსამაგრ ღონისძიებებს, სანიაღვრე სისტემების გაძლიერებას, მეწყერსაშიში უბნების პრევენციას და ადრეული რეაგირების მექანიზმებს.

03 00 **დასუფთავება და გარემოს დაცვის** პროგრამა წარმოადგენს ბიუჯეტის პირდაპირ მწვანე პრიორიტეტს. 2026 წელს ამ მიმართულებაზე გათვალისწინებულია 5,4 მლნ ლარი, რაც შედგება ორი ძირითადი პროგრამისგან: **დასუფთავება და გარემოს დაცვა – 2,6 მლნ ლარი და კომუნალური მომსახურება – 2,8 მლნ ლარი.** აღნიშნული ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ნარჩენების შეგროვებას, დაბინძურების შემცირებას, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის დაცვას. მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში ეს პროგრამა უნდა შეფასდეს, როგორც პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯი.

ნარჩენების მართვისა და დასუფთავების მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოზურგეთის ტურისტული პროფილის გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტს აქვს **ზღვისპირა და სამთო-საკურორტო ზონები,** რაც სეზონურად ზრდის ნარჩენების რაოდენობასა და დასუფთავების საჭიროებას. შესაბამისად, დასუფთავების ხარჯები არ არის მხოლოდ კომუნალური მომსახურება; **ისინი პირდაპირ უკავშირდება მდგრად ტურიზმს, საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს დაცვას და მუნიციპალიტეტის მწვანე იმიჯს.** ამ მიმართულებაში მიზანშეწონილია, მომავალში უფრო დეტალურად გამოიყოს ნარჩენების სეპარირების, გადამუშავების ხელშეწყობის, არალეგალური დაბინძურების პრევენციისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კომპონენტები.

ცხრილი 7. ოზურგეთის 2026 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით


პროგრამა / ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა, მლნ ლარი	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	რეკომენდებული კლასიფიკაცია
02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება	**8,25**	წყალი, განათება, ტრანსპორტი, საზოგადოებრივი სივრცეები, სანიაღვრე და სტიქიის პრევენცია	ნაწილობრივ მწვანე / კლიმატთან დაკავშირებული
02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,07	სანიაღვრე არხები, კიუვეტები, გზების წყლისგან დაცვა, უსაფრთხო გადაადგილება	პირობითად მწვანე / კლიმატის ადაპტაცია
02 02 წყლის სისტემების განვითარება	1,93	წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყლის უსაფრთხოება	პირდაპირ მწვანე / კლიმატის ადაპტაცია
02 03 საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება	0,35	სკვერები, საზოგადოებრივი სივრცეები, ურბანული გარემო	მწვანე ურბანული ინფრასტრუქტურა
02 07 გარე განათება და ელმომარაგება	1,90	ენერგოეფექტიანობის პოტენციალი, LED განათება, უსაფრთხო გადაადგილება	კლიმატის შერბილება / ენერგოეფექტიანობა
02 08 მუნიციპალური ტრანსპორტი	0,55	საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მობილობის ხელმისაწვდომობა	ნაწილობრივ მწვანე / მდგრადი მობილობა
02 10 სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია	0,01	სტიქიური და კლიმატური რისკების შემცირება	კლიმატის ადაპტაცია
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	**5,40**	ნარჩენების მართვა, დასუფთავება, გარემოს დაცვა	პირდაპირ მწვანე
03 01 დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,60	ნარჩენების შეგროვება, დაბინძურების შემცირება	პირდაპირ გარემოსდაცვითი
03 02 კომუნალური მომსახურება	2,80	კომუნალური გარემოსდაცვითი მომსახურებები	გარემოს დაცვა / ურბანული მდგრადობა
02 00 + 03 00 ჯამი	**13,65**	მწვანე ბიუჯეტის ძირითადი საბიუჯეტო ბირთვი	პირდაპირი და ნაწილობრივ მწვანე ხარჯები
წილი მთლიან გადასახდელებში	**დაახლოებით 28,5%**	მწვანე/კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების საწყისი შეფასება	მონიშვნის საბაზისო მაჩვენებელი

წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის მიხედვით

2026 წლის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ მწვანე და კლიმატთან დაკავშირებული ხარჯები გაბნეულია რამდენიმე ფუნქციურ და პროგრამულ კატეგორიაში. ფუნქციონალური კლასიფიკაციით გარემოს დაცვა წარმოდგენილია 5,4 მლნ ლარით, თუმცა მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით მხოლოდ ეს თანხა არ ასახავს სრულ სურათს. დამატებით მწვანე ან ნაწილობრივ მწვანე ხარჯებად უნდა განიხილებოდეს წყლის სისტემები, გარე განათება, საზოგადოებრივი სივრცეები, მუნიციპალური ტრანსპორტი და საგზაო ინფრასტრუქტურის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს სანიაღვრე სისტემებს, კიუვეტებს, წყლისგან დაცვის ღონისძიებებს და უსაფრთხო გადაადგილების ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტის ანალიზში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ფუნქციონალური კლასიფიკაცია, არამედ პროგრამული შინაარსის შეფასებაც.

2026 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურისა და დასუფთავება-გარემოს დაცვის ორი მთავარი მწვანე/ნაწილობრივ მწვანე პრიორიტეტი შეადგენს 13,65 მლნ ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების დაახლოებით 28,5%-ია. აქედან ყველაზე მკაფიოდ მწვანე ხარჯებია დასუფთავება და გარემოს დაცვა, წყლის სისტემების განვითარება, გარე განათება ენერგოეფექტიანობის კომპონენტით, საზოგადოებრივი სივრცეები და სტიქიის პრევენცია. ნაწილობრივ მწვანე ხარჯებად შეიძლება შეფასდეს საგზაო ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური ტრანსპორტი, თუ ისინი ხელს უწყობს კლიმატურ მედეგობას, უსაფრთხო გადაადგილებას, სანიაღვრე სისტემების გაუმჯობესებას ან კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულების შემცირებას.

დიაგრამა 4. მწვანე/კლიმატის ხარჯების წილი 2026 წლის მთლიან გადასახდელებში




წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მიხედვით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი ქმნის პრაქტიკულ საფუძველს მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისთვის. ბიუჯეტის პროგრამული სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, თითოეულ შესაბამის პროგრამას მიენიჭოს მწვანე ნიშანი შემდეგი კატეგორიებით: გარემოს დაცვა, კლიმატის ადაპტაცია, კლიმატის შერბილება, მდგრადი ურბანული განვითარება და ნაწილობრივ მწვანე ინფრასტრუქტურა. მომდევნო ეტაპზე რეკომენდებულია, ბიუჯეტის პროგრამულ დანართებში დაემატოს მწვანე და კლიმატური მარკერები, შედეგის ინდიკატორები და შესაბამისი განმარტებები (მაგ., LED სანათების წილი, წყალმომარაგებით მოსარგებლე მოსახლეობის წილი, ნარჩენების გატანის დაფარვა, სეპარირებული ნარჩენების მოცულობა, სკვერებისა და მწვანე სივრცეების ფართობი, სანიაღვრე ქსელების სიგრძე და სტიქიური რისკების შემცირების ღონისძიებების რაოდენობა). ასეთი მიდგომა ოზურგეთის ბიუჯეტს გადააქცევს არა მხოლოდ ფინანსური დაგეგმვის, არამედ მდგრადი და კლიმატურად მედეგი განვითარების მართვის ინსტრუმენტად.

2025 წლის ფაქტობრივი ბიუჯეტის ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი მოიცავს როგორც გარემოსდაცვით და კლიმატთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, ისე ფართო ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს, რომელთა ნაწილი შეიძლება შეფასდეს, როგორც კლიმატის ადაპტაციის, მდგრადი ურბანული განვითარების ან გარემოსდაცვითი შედეგების მქონე ხარჯი. **2025 წლის ბიუჯეტის სტრუქტურა განსხვავდება 2026 წლის საწყისი ბიუჯეტისგან იმით, რომ 2025 წელს განსაკუთრებით მაღალია ინფრასტრუქტურის, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან/ ფონდებიდან დაფინანსებული პროექტების წილი. შესაბამისად, 2025 წლის მწვანე ბიუჯეტირების ანალიზში საჭიროა ხარჯების გამიჯვნა: პირდაპირი მწვანე ხარჯები, კლიმატთან დაკავშირებული ადაპტაციის ხარჯები, ნაწილობრივ მწვანე ინფრასტრუქტურული ხარჯები და პირობითად მწვანე ხარჯები.**

დიაგრამა 5. ოზურგეთის 2025 წლის გამოკვეთილი გარემოსდაცვითი პროგრამები



წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მიხედვით


2025 წლის **ბიუჯეტის შემოსავლები** განსაზღვრულია **100,73 მლნ** ლარის ოდენობით, ხოლო **გადასახდელები – 109,79 მლნ** ლარით. **ბიუჯეტის ხარჯები** შეადგენს **73,36 მლნ** ლარს, ხოლო **არაფინანსური აქტივების** ზრდა – **36,43 მლნ** ლარს. ეს მიუთითებს, რომ ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც მიმდინარე მუნიციპალურ მომსახურებებს, ისე კაპიტალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების მაღალი მოცულობა, მათ შორის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, რომელთა დიდი ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურულ და სტიქიასთან დაკავშირებულ პროექტებზე.

2025 წლის ბიუჯეტის მიხედვით, **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები შეადგენს 55,52 მლნ** ლარს. მათ შორის, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები შეადგენს 50,69 მლნ ლარს, საიდანაც რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება არის **15,24 მლნ** ლარი, **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 1,09** მლნ ლარი, ხოლო სხვა პროექტები, მათ შორის **სტიქიასთან დაკავშირებული მიმართულებები – 34,36 მლნ** ლარი. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწვანე ბიუჯეტირების ანალიზისთვის, რადგან 2025 წლის ბიუჯეტში კლიმატის ადაპტაციისა და რისკების შემცირების ნაწილი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებთან, არამედ ცენტრალური ბიუჯეტის და ფონდების მხარდაჭერასთან.

2025 წლის ბიუჯეტში მწვანე და კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების ყველაზე დიდი ბლოკია

02 00 ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს **67,58 მლნ** ლარს. ეს მიმართულება მთლიანად არ უნდა ჩაითვალოს პირდაპირ მწვანე ხარჯად, რადგან მოიცავს როგორც საგზაო, საბინაო, პროექტირების, მონაწილეობითი ბიუჯეტირების და სოფლის მხარდაჭერის ღონისძიებებს, ისე წყლის სისტემებს, საზოგადოებრივ სივრცეებს, გარე განათებას, მუნიციპალურ ტრანსპორტს და სტიქიის პრევენციას. თუმცა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ ან ნაწილობრივ უკავშირდება კლიმატის ადაპტაციას, მდგრად ინფრასტრუქტურას, წყლის რესურსებს, ენერგოეფექტიანობას და უსაფრთხო ურბანულ გარემოს.

დიაგრამა 6. ოზურგეთის 2025 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით



წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მიხედვით

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 2025 წელს გათვალისწინებულია 18,6 მლნ ლარი. ბიუჯეტის პროგრამის აღწერაში აღნიშნულია, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის ფარგლებში ხორციელდება გზების მოვლა-შენახვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, საგზაო მოძრაობის ორგანიზება და საგზაო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, საგზაო ინფრასტრუქტურა უნდა შეფასდეს, როგორც ნაწილობრივ ან პირობითად მწვანე. როგორც 2026 წლის ბიუჯეტის პროექტისთვის გავამახვილეთ ყურადღება, მხოლოდ ასფალტის საფარის მოწყობა არ წარმოადგენს პირდაპირ მწვანე ხარჯს, თუ პროგრამა მოიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც კლიმატის ადაპტაციასა და უსაფრთხო მობილობას უკავშირდება: კიუვეტების, ცხაურებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, გზების მოდინებული

წყლის ზემოქმედებისგან დაცვა, ტროტუარები, პანდუსები, ბორდიურები, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ნაწილობრივ მწვანე ხარჯად. შესაბამისად, საგზაო ინფრასტრუქტურის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება სანიაღვრე სისტემებს, წყალდიდობის/ძლიერი ნალექის რისკების შემცირებას და უსაფრთხო გადაადგილებას, შეიძლება მონიშნულ იქნეს, როგორც კლიმატის ადაპტაციასთან ან მდგრად მობილობასთან დაკავშირებული ხარჯი.

წყლის სისტემების განვითარებაზე 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია **1,84** მლნ ლარი. ამ მიმართულებაში შედის წყალსადენის შიდა ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია, წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაცია და კანალიზაციის ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია. მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიოდ გარემოსდაცვითი და კლიმატის ადაპტაციასთან დაკავშირებული კომპონენტი. წყალმომარაგების სისტემები პირდაპირ უკავშირდება წყლის უსაფრთხოებას, მოსახლეობის საბაზისო სერვისებზე ხელმისაწვდომობას, სანიტარიულ მდგომარეობას და კლიმატის ცვლილების პირობებში წყალმომარაგების სისტემების მედეგობას. კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაცია კი ამცირებს გარემოს დაბინძურების რისკს და აუმჯობესებს ადგილობრივ კომუნალურ ინფრასტრუქტურას.

საზოგადოებრივი სივრცეების განვითარებაზე 2025 წელს გათვალისწინებულია 2,17 მლნ ლარი. ამ მიმართულებაში შედის სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია და კომუნალურ ქსელებზე დაერთების უზრუნველყოფა. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, სკვერების და საზოგადოებრივი სივრცეების ნაწილი შეიძლება შეფასდეს, როგორც მწვანე ურბანული ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი მოიცავს გამწვანებას, ჩრდილის შექმნას, ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალებს, წყლის ეფექტიან მართვას, ადაპტირებულ გარემოს და მოსახლეობისთვის ღია სივრცეების გაუმჯობესებას. საზოგადოებრივი სივრცეები ამცირებს ურბანული სიცხის ეფექტს, აუმჯობესებს საცხოვრებელ გარემოს და ზრდის მუნიციპალიტეტის ტურისტულ და სოციალურ მიმზიდველობას.

გარე განათებასა და ელმომარაგებაზე 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია **1,85 მლნ** ლარი. აღნიშნული მოიცავს გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციას, ელექტროენერგიის ხარჯს და გარე განათების ქსელის ექსპლუატაციას. მწვანე ბიუჯეტის კონტექსტში ეს მიმართულება უნდა შეფასდეს, როგორც კლიმატის შერბილების პოტენციალის მქონე ხარჯი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გარე განათების განახლება უკავშირდება LED ტექნოლოგიებს ან ენერგოეფექტურ სანათებს. ენერგოეფექტური განათება ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას და ქმნის ემისიების შემცირების პოტენციალს. ამასთან, განათებული ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები აუმჯობესებს უსაფრთხო გადაადგილებას და ინკლუზიურ ურბანულ გარემოს.

მუნიციპალურ ტრანსპორტზე გათვალისწინებულია 0,50 მლნ ლარი. ეს პროგრამა მწვანე ბიუჯეტში შეიძლება შეფასდეს, როგორც მდგრადი მობილობისა და ნაწილობრივ კლიმატთან დაკავშირებული ხარჯი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა ამცირებს კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულების ზრდის რისკს, აუმჯობესებს დასახლებებს შორის კავშირს და ხელს უწყობს მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ ჩართულობას. თუმცა პროგრამის სრულად კლიმატის შერბილების ხარჯად ჩათვლა საჭიროებს დამატებით ინფორმაციას ავტოპარკის ტექნიკურ მახასიათებლებზე, საწვავის ტიპზე, მარშრუტების დატვირთვაზე და ემისიების შემცირების პოტენციალზე.

2025 წლის ბიუჯეტში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს:

02 10 სტიქიის პრევენციისა და შედეგების ლიკვიდაციის ქვეპროგრამას, რომლის ბიუჯეტი შეადგენს **36,85** მლნ ლარს. ეს არის 2025 წლის მწვანე ბიუჯეტირების ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი. სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია პირდაპირ უკავშირდება კლიმატის ადაპტაციას, რისკების შემცირებას, დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას და მოსახლეობის დაცვას ბუნებრივი საფრთხეებისგან. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ძლიერი ნალექი, წყალდიდობა, მეწყრული პროცესები და სანაპირო/მდინარისპირა რისკები მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის არსებითი გამოწვევაა. ამიტომ ამ მიმართულების **ხარჯები მწვანე ბიუჯეტში უნდა შეფასდეს, როგორც კლიმატის ადაპტაციისა და რისკების მართვის მნიშვნელოვანი საბიუჯეტო კომპონენტი.**

03 00 დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამას, 2025 წლის ბიუჯეტში ის წარმოდგენილია **5,53** მლნ ლარით. ფუნქციონალური კლასიფიკაციით გარემოს დაცვის მიმართულება მთლიანად უკავშირდება ნარჩენების შეგროვებას, გადამუშავებასა და განადგურებას. ეს არის პირდაპირი მწვანე ხარჯი, რომელიც უკავშირდება ნარჩენების მართვას, დაბინძურების შემცირებას, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური ხარისხის დაცვას. ოზურგეთის შემთხვევაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურისტული ზონების გამო, სადაც სეზონურად იზრდება ნარჩენების წარმოქმნა და მუნიციპალური დასუფთავების სერვისებზე მოთხოვნა.

2025 წლის ბიუჯეტის მწვანე ანალიზში უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი ხარჯები მხოლოდ 03 00 პროგრამით არ შემოიფარგლება. **ფუნქციონალური კლასიფიკაციით გარემოს დაცვა შეადგენს 5,53 მლნ ლარს, თუმცა პროგრამული შინაარსით მწვანე ან კლიმატთან დაკავშირებული კომპონენტები ასევე წარმოდგენილია წყლის სისტემებში, გარე განათებაში, საგზაო ინფრასტრუქტურის სანიაღვრე და უსაფრთხოების ელემენტებში, მუნიციპალურ ტრანსპორტში, საზოგადოებრივ სივრცეებში და განსაკუთრებით სტიქიის პრევენციის მიმართულებაში.** შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტირებისათვის მიზანშეწონილია

არა მხოლოდ ფუნქციონალური კლასიფიკაციის გამოყენება, არამედ პროგრამებისა და ქვეპროგრამების შინაარსობრივი შეფასება.


ცხრილი 8. ოზურგეთის 2025 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით

პროგრამა / ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა, მლნ ლარი	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	რეკომენდებული კლასიფიკაცია
02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება	**67,58**	წყალი, გზები, საზოგადოებრივი სივრცეები, განათება, ტრანსპორტი, სტიქიის პრევენცია	ნაწილობრივ მწვანე / კლიმატთან დაკავშირებული
02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	18,60	სანიაღვრე არხები, კიუვეტები, წყლისგან დაცვა, უსაფრთხო გადაადგილება	პირობითად მწვანე / კლიმატის ადაპტაცია
02 02 წყლის სისტემების განვითარება	1,84	წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყლის უსაფრთხოება	პირდაპირ მწვანე / კლიმატის ადაპტაცია
02 03 საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება	2,17	სკვერები, საზოგადოებრივი სივრცეები, ურბანული გარემო	მწვანე ურბანული ინფრასტრუქტურა
02 04 პროექტირება და ექსპერტიზა	1,66	ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური მომზადება	პირობითად მწვანე, თუ მოიცავს მწვანე/კლიმატურ პროექტებს
02 05 მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა	0,45	მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებაში	ინსტიტუციური / შესაძლო მწვანე ეფექტი
02 06 ბინათმშენებლობა	0,20	საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება	ნაწილობრივ მწვანე, თუ მოიცავს ენერგოეფექტიანობას ან ეზოების გამწვანებას
02 07 გარე განათება და ელმომარაგება	1,85	ენერგოეფექტიანობის პოტენციალი, LED განათება, უსაფრთხო გადაადგილება	კლიმატის შერბილება / ენერგოეფექტიანობა
02 08 მუნიციპალური ტრანსპორტი	0,50	საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მობილობის ხელმისაწვდომობა	ნაწილობრივ მწვანე / მდგრადი მობილობა
02 09 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	3,47	ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და სოფლის საჭიროებები	ნაწილობრივ მწვანე, პროექტების შინაარსის მიხედვით
02 10 სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია	36,85	სტიქიური და კლიმატური რისკების შემცირება, დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა	კლიმატის ადაპტაცია / რისკების მართვა
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	**5,53**	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	პირდაპირ მწვანე
02 00 + 03 00 ჯამი	**73,11**	მწვანე/კლიმატთან დაკავშირებული ძირითადი საბიუჯეტო ბირთვი	პირდაპირი და ნაწილობრივ მწვანე ხარჯები
წილი მთლიან გადასახდელებში	**დაახლოებით 66,6%**	მაღალი წილი განპირობებულია სტიქიისა და ინფრასტრუქტურის მსხვილი პროექტებით	საჭიროა შინაარსობრივი მარკირება

წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მიხედვით

ჯამურად, 2025 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის ორი ძირითადი მიმართულება (02 00 და 03 00) შეადგენს დაახლოებით 73,11 მლნ ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების დაახლოებით 66,6%-ია. თუმცა ეს მაჩვენებელი არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ისე, თითქოს მთლიანი თანხა პირდაპირ მწვანე ხარჯია. უფრო ზუსტი შეფასებით, ამ თანხაში შედის პირდაპირი მწვანე ხარჯები, კლიმატის ადაპტაციის ხარჯები, ნაწილობრივ მწვანე ინფრასტრუქტურული ხარჯები და ისეთი ხარჯები, რომელთა მწვანე კლასიფიკაცია დამატებით ტექნიკურ შეფასებას საჭიროებს. განსაკუთრებით მაღალი წილი განპირობებულია სტიქიის პრევენციისა და შედეგების ლიკვიდაციის პროგრამით, ასევე საგზაო ინფრასტრუქტურის მსხვილი კაპიტალური პროექტებით.

დიაგრამა 7. მწვანე/კლიმატის ხარჯების წილი 2025 წლის მთლიან გადასახდელებში



წყარო: მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მიხედვით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტი მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით უფრო მეტად კლიმატის ადაპტაციაზე და ინფრასტრუქტურულ მედეგობაზეა ორიენტირებული, ვიდრე მხოლოდ გარემოსდაცვით მომსახურებებზე.** ბიუჯეტის ყველაზე მკაფიო მწვანე კომპონენტებია ნარჩენების მართვა, წყლის სისტემები, გარე განათების ენერგოეფექტიანობის პოტენციალი, საზოგადოებრივი სივრცეები და სტიქიის პრევენცია. საგზაო ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური ტრანსპორტი უნდა შეფასდეს, როგორც ნაწილობრივ მწვანე, მხოლოდ იმ კომპონენტების ფარგლებში, რომლებიც უკავშირდება სანიაღვრე სისტემებს, უსაფრთხო და ინკლუზიურ გადაადგილებას, კლიმატურ მედეგობას ან მდგრად მობილობას. რეკომენდებულია, რომ მომავალში ბიუჯეტში თითოეულ შესაბამის პროგრამას მიენიჭოს მწვანე მარკერი (გარემოს დაცვა, კლიმატის ადაპტაცია, კლიმატის შერბილება, მდგრადი ურბანული განვითარება ან ნაწილობრივ მწვანე ინფრასტრუქტურა) და შესაბამისი ინდიკატორები დაემატოს პროგრამულ დანართებში.

შესრულების წლიური ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში აჩვენებს არა მხოლოდ დაგეგმილ საბიუჯეტო პრიორიტეტებს, არამედ იმ ფაქტობრივ ფინანსურ შესრულებასაც, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი, კლიმატთან დაკავშირებული და მდგრადი ინფრასტრუქტურის მიმართულებების პრაქტიკული შეფასება. თუ 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დოკუმენტი ასახავს მუნიციპალიტეტის განზრახვებსა და ფინანსურ ჩარჩოს, შესრულების ანგარიში აჩვენებს, რამდენად რეალურად განხორციელდა შესაბამისი პროგრამები და რა ადგილი დაიკავა მწვანე და კლიმატთან დაკავშირებულმა ხარჯებმა წლის ბოლოს.

2025 წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა ორი ცვლილება, რის შედეგადაც წლის დასაწყისში დამტკიცებული 43,4 მლნ ლარის ბიუჯეტი 31 დეკემბრის მდგომარეობით გაიზარდა 109,9 მლნ ლარამდე. ფაქტობრივმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 88,97 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 81,0%-ია. აღნიშნული მიუთითებს, რომ წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიუჯეტის მასშტაბი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ხარჯზე. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან **ოზურგეთის 2025 წლის ბიუჯეტის დიდი ნაწილი დაკავშირებულია ინფრასტრუქტურასთან, სტიქიურ მოვლენებთან, კომუნალურ მომსახურებებთან, ნარჩენების მართვასთან და სხვა მიმართულებებთან, რომლებიც პირდაპირ ან ნაწილობრივ უკავშირდება გარემოს დაცვასა და კლიმატურ მედეგობას.**

ბიუჯეტის შემოსულობების **ფაქტობრივმა შესრულებამ 96,27 მლნ ლარი შეადგინა, რაც გეგმის 95,1%-ია.** შემოსულობების ყველაზე დიდი წყარო იყო **გრანტები და ფინანსური დახმარება – 51,49 მლნ ლარი,** რაც მთლიან შემოსულობებში **53,5%-**ს შეადგენს. გადასახადების სახით მობილიზდა 39,84 მლნ ლარი, ანუ შემოსულობების 41,4%, ხოლო სხვა შემოსავლების სახით – 4,65 მლნ ლარი. მწვანე ბიუჯეტის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ გრანტებისა და ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებთან, სპეციალურ და კაპიტალურ ტრანსფერებთან, მათ შორის სტიქიასთან დაკავშირებულ პროექტებთან. ეს აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის კლიმატურ მედეგობასა და ინფრასტრუქტურულ რეაგირებაზე მიმართული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია არა მხოლოდ ადგილობრივ შემოსავლებზე, არამედ ცენტრალური ბიუჯეტის მხარდაჭერაზეც.

ფინანსური დახმარებისა და გრანტების სტრუქტურა აჩვენებს, რომ 2025 წელს მიღებული 51,49 მლნ ლარიდან სპეციალურმა ტრანსფერმა შეადგინა 30,32 მლნ ლარი, ხოლო კაპიტალურმა ტრანსფერმა – 16,33 მლნ ლარი. ანგარიშში ცალკე არის გამოყოფილი სტიქიის მიმართულება – 30,32 მლნ ლარი, რაც გრანტებისა და ფინანსური დახმარების 58,9%-ს შეადგენს. მწვანე ბიუჯეტირების ანალიზისთვის

ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებაა: 2025 წლის ბიუჯეტის შესრულებაში კლიმატის ადაპტაციისა და სტიქიური რისკების მართვის კომპონენტი ფაქტობრივად ერთ-ერთ უმსხვილეს საბიუჯეტო მიმართულებად ჩანს. ოზურგეთის გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სადაც აქტუალურია ძლიერი ნალექი, წყალდიდობა, მეწყერი, გზებისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის დაზიანება, ასეთი ხარჯები შეიძლება შეფასდეს, როგორც კლიმატის ადაპტაციისა და რისკების შემცირების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2025 წლის ფაქტობრივ შესრულებაში ყველაზე დიდი წილი ეკონომიკურ საქმიანობაზე მოდის – 46,43 მლნ ლარი, ანუ გადასახდელების 52,3%. ამ კატეგორიაში შედის ტრანსპორტი და გზები, რომელთა ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 17,05 მლნ ლარს. გარემოს დაცვაზე ფაქტობრივად შესრულდა 5,35 მლნ ლარი, რაც გადასახდელების 6,0%-ია. საბინაო-კომუნალური მეურნეობის მიმართულებით შესრულდა 3,47 მლნ ლარი, მათ შორის წყალმომარაგებაზე – 1,8 მლნ ლარი, ხოლო გარე განათებაზე – 1,59 მლნ ლარი. მაშასადამე, გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ „გარემოს დაცვაში“ არ არის თავმოყრილი; ისინი ასევე განთავსებულია ტრანსპორტის, გზების, წყალმომარაგების, გარე განათების, ინფრასტრუქტურისა და სტიქიასთან დაკავშირებული პროექტების ქვეშ.

ორგანიზაციული/პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით, 2025 წლის ბიუჯეტის მწვანე ბირთვს ქმნის ორი ძირითადი მიმართულება: ინფრასტრუქტურის მშენებლობა**,** რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, ასევე დასუფთავება და გარემოს დაცვა. ინფრასტრუქტურის მიმართულებით დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 67,58 მლნ ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულება – 49,69 მლნ ლარს, ანუ 73,5%-ს. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით გეგმა იყო 5,53 მლნ ლარი, ხოლო ფაქტობრივი შესრულება – 5,35 მლნ ლარი, ანუ 96,6%. ეს სხვაობა მნიშვნელოვანია: გარემოს დაცვისა და დასუფთავების პროგრამა შესრულდა ძალიან მაღალი მაჩვენებლით, ხოლო ინფრასტრუქტურის მიმართულებით შედარებით დაბალი შესრულება, სავარაუდოდ, უკავშირდება მსხვილი კაპიტალური და სტიქიასთან დაკავშირებული პროექტების შესრულების სირთულეს, ვადებსა და შესყიდვა-განხორციელების პროცესებს.

ინფრასტრუქტურის მიმართულება მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ერთმნიშვნელოვნად არ უნდა ჩაითვალოს მთლიანად მწვანე ხარჯად. თუმცა 2025 წლის შესრულების ანგარიშში ინფრასტრუქტურა არის ის მთავარი ფინანსური სივრცე, სადაც თავმოყრილია კლიმატთან დაკავშირებული დიდი ნაწილი. საგზაო ინფრასტრუქტურა, გზების აღდგენა, სანიაღვრე არხები, კიუვეტები, გაბიონები, ხიდები, წყლისგან დამცავი ნაგებობები და სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა დაკავშირებულია კლიმატის ადაპტაციასთან, თუ ეს სამუშაოები ამცირებს წყალდიდობის, მეწყრის, ძლიერი ნალექის ან ეროზიის რისკებს. შესაბამისად, შესრულების ანგარიშში ინფრასტრუქტურის მწვანე შეფასება საჭიროებს შინაარსობრივ მარკირებას: უნდა გამოიყოს, რომელი ხარჯები იყო პირდა-

პირ კლიმატის ადაპტაციის, რომელი – მდგრადი ურბანული ინფრასტრუქტურის, ხოლო რომელი – ზოგადი ინფრასტრუქტურის ნაწილი.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის მიმართულება 2025 წლის შესრულების ანგარიშში ყველაზე პირდაპირ მწვანე კომპონენტად უნდა შეფასდეს. ფუნქციონალური კლასიფიკაციითაც გარემოს დაცვა დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებასთან, გადამუშავებასა და განადგურებასთან. ეს ხარჯები პირდაპირ ემსახურება გარემოს დაბინძურების შემცირებას, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას და მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ტურისტული მუნიციპალიტეტის პირობებში, განსაკუთრებით ზღვისპირა და საკურორტო ზონებში, დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მაღალი შესრულება ასევე უკავშირდება მდგრად ტურიზმს და ადგილობრივი ეკონომიკის მწვანე საფუძვლებს.

წყალმომარაგების მიმართულებით ფაქტობრივმა შესრულებამ 1,80 მლნ ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98%-ია. ეს მაჩვენებელი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წყლის სისტემების განვითარება და ექსპლუატაცია პირდაპირ უკავშირდება როგორც გარემოსდაცვით, ისე კლიმატის ადაპტაციის მიზნებს. წყალმომარაგება არის საბაზისო მუნიციპალური სერვისი, მაგრამ კლიმატის ცვლილების პირობებში იგი ასევე წარმოადგენს მედეგობის ელემენტს: სასმელ წყალზე სტაბილური ხელმისაწვდომობა, ქსელების გამართულობა, წყლის დანაკარგების შემცირება და კანალიზაციის სისტემების გაუმჯობესება ამცირებს როგორც სოციალურ, ისე გარემოსდაცვით რისკებს. შესაბამისად, წყლის მიმართულებით მაღალი შესრულება მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში უნდა შეფასდეს დადებითად.

გარე განათების მიმართულებით ფაქტობრივმა შესრულებამ 1,59 მლნ ლარი შეადგინა, რაც გეგმის **86%-ია.** გარე განათება მწვანე ბიუჯეტში შეიძლება შეფასდეს, როგორც კლიმატის შერბილების პოტენციალის მქონე ხარჯი იმ შემთხვევაში, თუ იგი უკავშირდება LED სანათების გამოყენებას, მოძველებული სანათების ჩანაცვლებას ან ენერგოეფექტიანი ქსელის ექსპლუატაციას. შესრულების ანგარიში უშუალოდ არ გვაძლევს ენერგოეფექტიანობის ტექნიკურ მაჩვენებლებს, ამიტომ ეს პროგრამა რეკომენდებულია კლასიფიცირდეს, როგორც „პოტენციურად კლიმატის შერბილებასთან დაკავშირებული“. მომავალ წლებში სასურველია, შესრულების ანგარიშში დაემატოს ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა LED სანათების წილი, ელექტროენერგიის მოხმარების ცვლილება და განათების ქსელის ენერგოეფექტიანობის მაჩვენებლები.

2025 წლის შესრულების ანგარიში აჩვენებს, რომ **არაფინანსური აქტივების ზრდა** დაგეგმილზე მაღალი იყო: გეგმა შეადგენდა 36,43 მლნ ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულება — 45,53 მლნ ლარს, ანუ 125,0%-ს. ეს ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში კაპიტალური ხარჯების შესრულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში ეს შეიძლება დადებითად შეფასდეს იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალური აქტივების ზრდა დაკავშირებული იყო წყლის, გარემოს, კლიმატური რისკების შემცირების, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის, სანიაღვრე, ნაპირსა-

მაგრი ან მდგრადი ინფრასტრუქტურის პროექტებთან. თუმცა ასეთი შეფასებისთვის საჭიროა კაპიტალური ბიუჯეტის შესრულების დანართების უფრო დეტალური მარკირება მწვანე კატეგორიების მიხედვით. კაპიტალური ხარჯების ზედაპირული ანალიზი მიუთითებს, რომ მათი უმეტესი ნაწილის მარკირება შესაძლებელია, როგორც ნაწილობრივ მწვანე ხარჯები.

მნიშვნელოვანია, რომ 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში გარემოსდაცვითი შემოსავლის ელემენტებიც ჩანს. სხვა შემოსავლების ნაწილში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 745,5 ათას ლარს, რაც გეგმის 124,3%-ია. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელმა კი შეადგინა 495,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 141,7%-ია. ეს მონაცემები მწვანე ბიუჯეტის ანგარიშში შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც გარემოსთან დაკავშირებული შემოსავლების ნაწილი. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ გარემოსთან დაკავშირებული შემოსავლების არსებობა ავტომატურად არ ნიშნავს მათ მიზნობრივად გარემოს დაცვაზე მიმართვას. მწვანე ბიუჯეტირების გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია, მომავალში მუნიციპალიტეტმა უფრო მკაფიოდ აჩვენოს, როგორ უკავშირდება ბუნებრივი რესურსების, დასუფთავების ან სანებართვო მოსაკრებლებით მიღებული შემოსავლები შესაბამის გარემოსდაცვით მომსახურებებსა და ინვესტიციებს.

ცხრილი 9. ოზურგეთის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მწვანე ბიუჯეტირებით გააზრება

მიმართულება	2025 გეგმა, მლნ ლარი	2025 ფაქტი, მლნ ლარი	შესრულება	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი
სულ გადასახდელები	109,90	88,97	81,0%	საბიუჯეტო შესრულების საერთო ჩარჩო
02 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	67,58	49,69	73,5%	ნაწილობრივ მწვანე / კლიმატის ადაპტაცია / ინფრასტრუქტურული მედეგობა
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	5,53	5,35	96,6%	პირდაპირ მწვანე / ნარჩენების მართვა / გარემოს დაცვა
02 00 + 03 00 ჯამი	73,11	55,03	75,3%	მწვანე და კლიმატთან დაკავშირებული ძირითადი საბიუჯეტო ბირთვი
გარემოს დაცვა ფუნქციონალური კლასიფიკაციით	5,53	5,35	97%	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება
წყალმომარაგება ფუნქციონალური კლასიფიკაციით	1,84	1,80	98%	წყლის უსაფრთხოება / კლიმატის ადაპტაცია
გარე განათება ფუნქციონალური კლასიფიკაციით	1,85	1,59	86%	ენერგოეფექტიანობის პოტენციალი / კლიმატის შერბილება

ტრანსპორტი და გზები ფუნქციონალური კლასიფიკაციით	19,10	17,05	89%	ნაწილობრივ მწვანე, თუ მოიცავს სანიაღვრეებს, უსაფრთხო მობილობას და მედეგობას
სტიქიასთან დაკავშირებული ფინანსური დახმარება	—	30,32	—	კლიმატის ადაპტაცია / რისკების მართვა
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი	0,60	0,75	124,3%	გარემოსთან დაკავშირებული შემოსავალი
დასუფთავების მოსაკრებელი	0,35	0,50	141,7%	ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული შემოსავალი

წყარო: მომზადდა ოზურგეთის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით

2025 წლის შესრულების ანგარიშში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ გარემოს დაცვის პროგრამის შესრულება მაღალია, ხოლო ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შესრულება დაბალი – 59,5%. **ანგარიშის განმარტებით, დაბალი შესრულება განპირობებული იყო დონორი ორგანიზაციის მიერ პროექტის შეჩერებით, რის გამოც ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამაში თანადაფინანსების თანხის ათვისება ვერ მოხერხდა.** მწვანე ბიუჯეტირების კუთხით ეს მიუთითებს, რომ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მწვანე კომპონენტების დანერგვა მხოლოდ მუნიციპალურ ბიუჯეტზე კი არა, პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებზე დამოკიდებულიც შეიძლება იყოს. მომავალში სასურველია, ადგილობრივი ეკონომიკის პროგრამებში ცალკე გამოიყოს მწვანე მეწარმეობის, ენერგოეფექტური წარმოების, მდგრადი ტურიზმის, სოფლის მეურნეობის კლიმატგონივრული პრაქტიკისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების მხარდაჭერის მიმართულებები.

2025 წლის ბიუჯეტის შესრულებაში ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის ორი ძირითადი პროგრამის ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 55,03 მლნ ლარს, რაც 2025 წლის ფაქტობრივი საკასო გადასახდელების დაახლოებით 61,9%-ია. თუმცა ეს მაჩვენებელი სიფრთხილით უნდა განიმარტოს: იგი არ ნიშნავს, რომ მთელი 55,03 მლნ ლარი პირდაპირ მწვანე ხარჯია. ამ თანხაში შედის პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯები, კლიმატის ადაპტაციის ხარჯები, ნაწილობრივ მწვანე ინფრასტრუქტურა და ზოგადი ინფრასტრუქტურული ხარჯები, რომელთა მწვანე წილის განსაზღვრა საჭიროებს დამატებით ტექნიკურ შეფასებას. **უფრო ზუსტი მწვანე ბიუჯეტირებისათვის აუცილებელია პროგრამული ხარჯების ქვეპროგრამულ დონეზე მარკირება.**

2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში აჩვენებს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტირების პრაქტიკული საფუძველი უკვე არსებობს. ყველაზე მკაფიოდ მწვანე შესრულებული ხარჯებია დასუფთავება და გარემოს დაცვა, ნარჩენების მართვა, წყალმომარაგება, გარე განათება ენერგოეფექტიანობის პოტენციალით და სტიქიასთან დაკავშირებული კლიმატის ადაპტაციის ხარჯები. ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი უნდა შეფასდეს, როგორც ნაწილობრივ მწვა-

ნე ან კლიმატთან დაკავშირებული იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავს სანიაღვრე, ნაპირსამაგრ, წყლისგან დამცავ, მეწყრის ან სტიქიის რისკის შემცირების ელემენტებს. **რეკომენდებულია, რომ მომდევნო წლებში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს დაემატოს მწვანე ბიუჯეტის მარკირების ცხრილი, სადაც თითოეული პროგრამა და ქვეპროგრამა შეფასდება შემდეგი კატეგორიებით: გარემოს დაცვა, კლიმატის ადაპტაცია, კლიმატის შერბილება, მდგრადი ურბანული განვითარება, ნაწილობრივ მწვანე და არამწვანე.** ამგვარი მიდგომა მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას, ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოაჩინოს ბიუჯეტის რეალური წვლილი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაში, კლიმატურ მედეგობაში და მდგრად ადგილობრივ განვითარებაში.

მწვანე ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მწვანე ბიუჯეტირება მიზანშეწონილია, ინტეგრირდეს არა ცალკე პარალელურ პროცესად, არამედ მუნიციპალიტეტის არსებულ საბიუჯეტო კალენდარში – პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებიდან ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშამდე[12]. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი საბიუჯეტო პროცესში ითხოვს ყოვლისმომცველობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის.

დაგეგმვის ეტაპზე, რომელიც პრაქტიკულად იწყება **1 მარტიდან** პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობით, მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს მწვანე განვითარების პრიორიტეტები და წინასწარ შეაფასოს პროგრამებისა და ქვეპროგრამების კლიმატური/გარემოსდაცვითი კავშირი. ადგილობრივი საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით, მარტში იქმნება სამუშაო ჯგუფი, ხოლო **15 აგვისტომდე** მზადდება პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. ამ ეტაპზე ოზურგეთმა მწვანე კრიტერიუმებით უნდა გადახედოს ინფრასტრუქტურის, წყლის, ნარჩენების, ენერგოეფექტურობის, ტურიზმის, სოფლის განვითარების, სატყეო, საგანგებო სიტუაციების და გარემოსდაცვითი განათლების პროგრამებს. თითოეულ შესაბამის პროგრამას უნდა მიენიჭოს მწვანე მარკერი: კლიმატის შერბილება, კლიმატთან ადაპტაცია, გარემოს დაცვა ან მწვანე ეკონომიკური განვითარება.

ბიუჯეტის პროექტის მომზადების ეტაპზე, **15 სექტემბრამდე** მუნიციპალური სამსახურები ამზადებენ თავიანთი პროგრამების ბიუჯეტებს, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური არაუგვიანეს **1** ოქტომბრისა წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარადგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში. სამუშაო ჯგუფში ასევე წარდგენილი უნდა იყოს სამსახურების მოთხოვნები დამატებით ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით. ამ პერიოდში

12. ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო კალენდარი, ფინანსთა სამინისტრო https://mof.ge/ka/BudgetCalendar

აუცილებელია, რომ ყველა სამსახურმა პროგრამულ ბიუჯეტში ჩასვას არა მხოლოდ ფინანსური მოთხოვნა, არამედ მწვანე შედეგის აღწერა და ინდიკატორები. მაგალითად, ენერგოეფექტურობის პროგრამისთვის – დაზოგილი ენერგია; ნარჩენებისთვის – სეპარირებული ან რეციკლირებისთვის გადაცემული ნარჩენის მოცულობა; წყლისთვის – გაუმჯობესებული წყალმომარაგების/წყალარინების დაფარვა; სტიქიის პრევენციისთვის – რისკშემცირებული უბნების რაოდენობა. პრიორიტეტების დოკუმენტი საშუალოვადიან ჭრილში უნდა ასახავდეს მომდევნო ოთხი წლის ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებს, ხოლო პროგრამული ბიუჯეტის დანართში უნდა ჩანდეს პროგრამის აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს **5 ოქტომბრამდე** აცნობებს შემდეგი წლის მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს, მუნიციპალური ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **არაუგვიანეს 15 ნოემბრისა** საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს, ხოლო ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს **31 დეკემბრამდე**. ამ ეტაპზე მწვანე ბიუჯეტირების ხარისხის შესაფასებლად მიზანშეწონილია, ბიუჯეტის პროექტს დაერთოს მოკლე „მწვანე ბიუჯეტის მიმოხილვა“, სადაც გამოჩნდება: რომელი პროგრამებია მწვანედ მონიშნული, რა თანხა მიემართება გარემოსდაცვით და კლიმატთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, რომელი პროგრამები უკავშირდება შერბილებას, ადაპტაციას ან რესურსეფექტიანობას და რა ძირითადი შედეგებია მოსალოდნელი. საჯარო განხილვებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოქალაქეთა და თემების ჩართულობას, რადგან საბიუჯეტო კალენდარი ამ ეტაპზე ითვალისწინებს საჯარო განხილვებს, რეკომენდაციების მიწოდებას და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას.

შესრულების ეტაპზე, რომელიც იწყება **1 იანვრიდან**, მწვანე ბიუჯეტირება უნდა გადავიდეს მონიტორინგის რეჟიმში. საბიუჯეტო წლის განმავლობაში პროგრამების განმახორციელებელმა სამსახურებმა უნდა აღრიცხონ არა მხოლოდ ხარჯვის პროცენტი, არამედ მწვანე შედეგებიც: რა ფართობი დასუფთავდა, რამდენი კონტეინერი დაემატა, რამდენი ენერგოეფექტური სანათი დამონტაჟდა, რამდენი მეტრი სანიაღვრე ან წყალარინების ქსელი რეაბილიტირდა, რამდენი მოქალაქე/სკოლა ჩაერთო გარემოსდაცვით განათლებაში და რამდენი პრევენციული ღონისძიება განხორციელდა სტიქიური რისკების შესამცირებლად. წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისას მწვანე მარკირება უნდა განახლდეს, რათა ცვლილებებმა არ შეამციროს გარემოსდაცვითი და კლიმატური მიზნების დაფინანსება.

ანგარიშგების ეტაპზე მერია ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ამზადებს კვარტალური შესრულების ანგარიშს და წარუდგენს საკრებულოს;

წლიური ანგარიში კი საბიუჯეტო წლის დასრულებიდან ორი თვის ვადაში, **1 მარტამდე**, უნდა მომზადდეს და საკრებულოს წარედგინოს. საკრებულო წლიურ ანგარიშს **1 მაისამდე** განიხილავს და ამტკიცებს ან არ ამტკიცებს. მწვანე ბიუჯეტირების შემთხვევაში წლიურ შესრულების ანგარიშს უნდა დაემატოს მოკლე მწვანე თავი, სადაც პროგრამების მიხედვით გამოჩნდება დაგეგმილი და ფაქტობრივი მწვანე ხარჯები, შესრულებული ინდიკატორები, მიღწეული შედეგები, შეუსრულებლობის მიზეზები და მომდევნო წლის რეკომენდაციები.

ოზურგეთისთვის მწვანე ბიუჯეტირება უნდა განხორციელდეს, როგორც არსებული საბიუჯეტო კალენდრის შინაარსობრივი გაძლიერება. დაგეგმვის ეტაპზე საჭიროა მწვანე პრიორიტეტების და მარკერების განსაზღვრა; ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას – პროგრამებისა და ინდიკატორების მწვანე ნიშნით ჩამოყალიბება; დამტკიცებისას – მწვანე ბიუჯეტის მიმოხილვის საჯარო განხილვა; შესრულებისას – ფინანსურ შესრულებასთან ერთად გარემოსდაცვითი შედეგების მონიტორინგი; ხოლო ანგარიშგებისას – მწვანე ხარჯებისა და შედეგების ცალკე ასახვა წლიურ ანგარიშში. ამ ფორმით მწვანე ბიუჯეტირება არ დარჩება ფორმალურ სავარჯიშოდ და გახდება ოზურგეთის პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების პრაქტიკული ნაწილი.

ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების ხედვა მნიშვნელოვანია, ეფუძნებოდეს ეროვნული და ადგილობრივი პრიორიტეტების თანხვედრას. ეროვნულ დონეზე ძირითადი ჩარჩოებია „**ხედვა** 2030 – **საქართველოს განვითარების სტრატეგია**“, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027, ენერგეტიკული პოლიტიკა, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია, კლიმატის ცვლილების სტრატეგია და გარემოსდაცვითი პოლიტიკის დოკუმენტები. „ხედვა 2030“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბრის №517 დადგენილებით და წარმოადგენს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტს. ადგილობრივ დონეზე ოზურგეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტს, პრიორიტეტების დოკუმენტს, SECAP-ს/მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას და **ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას** 2024-2029, რომელიც ინკლუზიურ, მდგრად მწვანე ზრდას უკავშირდება.

ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტების თანხვედრის ანალიზში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამას **2022-2026** წლებისთვის (NEAP 4), რადგან იგი განსაზღვრავს ქვეყნის გარემოსდაცვით პრიორიტეტებს და ქმნის ჩარჩოს, რომლის ადგილობრივ დონეზე განხორციელებაც შესაძლებელია მუნიციპალური პროგრამული ბიუჯეტის, მწვანე ბიუჯეტირების, ინფრასტრუქტურული პროექტების, ნარჩენების მართვის, წყლის რესურსების დაცვის, ბიომრავალფეროვნების, კლიმატმედეგობისა და გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებებით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის NEAP 4 შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ეროვნული სტრატეგიული საფუძველი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი პროგრამები შეფასდება გარემოსდაცვითი შედეგებით და არა მხოლოდ ხარჯვის ან ინფრასტრუქტურის შესრულების მაჩვენებლებით.

ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტები ოზურგეთში ბუნებრივად იკვეთება მწვანე განვითარების დღის წესრიგში. ეროვნული დონე განსაზღვრავს ფართო პოლიტიკურ ჩარჩოს – მდგრადი ეკონომიკური ზრდა, გარემოს დაცვა, ენერგოეფექტურობა, კლიმატმედეგობა, სოფლის განვითარება, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და რეგიონული განვითარება. მუნიციპალურ დონეზე ეს პრიორიტეტები პრაქტიკულ პროგრამებად უნდა გადაითარგმნოს: წყალმომარაგება და წყალარინება, ნარჩენების მართვა, ადგილობრივი გზები და სანიაღვრე ინფრასტრუქტურა, ენერგოეფექტური გარე განათება, ტურიზმისა და აგროტურიზმის ხელშეწყობა, სოფლის განვითარება, გარემოსდაცვითი განათლება, სტიქიის პრევენცია და მწვანე ბიზნესის მხარდაჭერა. ოზურგეთის გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპირო, მდინარეების აუზები, მთიანი და ტყიანი ზონები – ამ პრიორიტეტებს დამატებით გარემოსდაცვით და კლიმატურ მნიშვნელობას

აძლევს. მუნიციპალიტეტი დასავლეთით შავ ზღვას ესაზღვრება, სამხრეთით კი აჭარა-გურიის ქედი და მდინარე ჩოლოქი ესაზღვრება, რაც წყლის, სანაპირო ზონის, ტყისა და სტიქიური რისკების მართვას ადგილობრივი განვითარების არსებით ნაწილად აქცევს.

ოზურგეთის მწვანე განვითარება არ უნდა იყოს მხოლოდ გარემოსდაცვითი სექტორის პასუხისმგებლობა. იგი უნდა გახდეს პროგრამული ბიუჯეტის გამჭოლი მიდგომა. მაგალითად, ინფრასტრუქტურის პროგრამებში უნდა გამოჩნდეს კლიმატმედეგი და რესურსეფექტიანი გადაწყვეტები; ტურიზმის პროგრამებში – ეკოტურიზმი, ნარჩენების მართვა და ადგილობრივი პროდუქტის ხელშეწყობა; სოფლის განვითარების მიმართულებით – კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა და მცირე მწვანე ბიზნესი; განათლების მიმართულებით – გარემოსდაცვითი ცნობიერება; შესყიდვების მიმართულებით – ენერგოეფექტური და ეკომეგობრული საქონელი/მომსახურება. ამგვარად, ეროვნული პრიორიტეტები პრაქტიკულად განხორციელდება არა ცალკეული დეკლარაციებით, არამედ მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ბიუჯეტირების, შესყიდვების, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მიწოდების გზით.

გამოწვევები რამდენიმე დონეზე იკვეთება:

- <u>ეროვნული სტრატეგიებისა და მუნიციპალური პროგრამების არასაკმარისი ოპერაციული დაკავშირება</u>. ხშირად ეროვნული დოკუმენტები განსაზღვრავს სწორ მიმართულებებს, მაგრამ ადგილობრივ ბიუჯეტში რთულად ჩანს, რომელი პროგრამა რომელ ეროვნულ მიზანს ემსახურება.

- <u>მწვანე ინდიკატორების ნაკლებობა</u>. პროგრამებში ხშირად მითითებულია შესრულებული სამუშაოები ან დახარჯული თანხა, მაგრამ ნაკლებად იზომება გარემოსდაცვითი შედეგი – დაზოგილი ენერგია, შემცირებული ემისიები, სეპარირებული ნარჩენი, გაუმჯობესებული წყლის ხარისხი, დაცული მწვანე სივრცეები ან შემცირებული სტიქიური რისკი.

- <u>მონაცემებისა და კოორდინაციის პრობლემა</u>. მწვანე განვითარება მოითხოვს სხვადასხვა სამსახურის, ცენტრალური უწყებების, მუნიციპალური შპს-ების, სკოლების, ბიზნესისა და თემების შეთანხმებულ მოქმედებას.

- <u>დაფინანსება</u>. მწვანე პროექტები ხშირად საჭიროებს საწყის ინვესტიციას, ხოლო მათი სარგებელი უფრო გრძელვადიან პერიოდში ჩანს.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა შექმნას ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტების **მწვანე შესაბამისობის მატრიცა**. ამ მატრიცაში თითოეული მუნიციპალური პროგრამა დაუკავშირდება შესაბამის ეროვნულ პოლიტიკას: კლიმატის ცვლილებას, ენერგოეფექტურობას, ნარჩენების მართვას, სოფლის განვითარებას, წყლის რესურსებს, ტურიზმს, SME-ს მხარდაჭერას ან სტიქიის რისკების შემცირებას. მეორე რეკომენდაციაა **პროგრამულ ბიუჯეტში მწვანე მარკერების დანერგვა**: თითოეული შესაბამისი პროგრამა უნდა აღინიშნოს,

როგორც კლიმატის შერბილების, ადაპტაციის, გარემოს დაცვის ან მწვანე ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი. მესამე რეკომენდაციაა, რომ ბიუჯეტის წლიურ ანგარიშს დაემატოს **მოკლე** „**მწვანე შესრულების თავი**“, სადაც გამოჩნდება არა მხოლოდ ხარჯვის მაჩვენებელი, არამედ მიღწეული გარემოსდაცვითი და კლიმატური შედეგებიც.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა გააძლიეროს მოქალაქეთა და ბიზნესის ჩართულობა. ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის ხედვასა და LEADER/LAG მიდგომას ეფუძნება, რაც მწვანე განვითარებისათვის ძლიერი ინსტრუმენტია. ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან, სკოლებთან, მცირე ბიზნესთან, ფერმერებთან და ტურისტულ სექტორთან თანამშრომლობა დაეხმარება მუნიციპალიტეტს, რომ მწვანე პრიორიტეტები არ დარჩეს მხოლოდ ადმინისტრაციულ დოკუმენტებში და რეალურად აისახოს სოფლებში, სანაპირო ზონებში, ტურისტულ მარშრუტებში, საჯარო შენობებში და მუნიციპალურ სერვისებში.

ოზურგეთის მწვანე განვითარების წარმატება სხვა აქ განხილულ ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს მუნიციპალიტეტი ეროვნული სტრატეგიული ხედვების ადგილობრივ პროგრამებად, ბიუჯეტურ მუხლებად და გაზომვად შედეგებად გარდაქმნას. მთავარი შესაძლებლობაა ეროვნული პოლიტიკისა და ადგილობრივი რესურსების თანხვედრა – ზღვა, ტყე, მდინარეები, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და ადგილობრივი მეწარმეობა. მთავარი გამოწვევაა ამ პოტენციალის ფრაგმენტული მართვა. შესაბამისად, ოზურგეთისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციონალიზაცია, რათა ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტები ერთიან, შედეგზე ორიენტირებულ და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებულ მწვანე განვითარების ჩარჩოდ ჩამოყალიბდეს.

საერთაშორისო თანამშრომლობა და მხარდაჭერა

საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია EU-ის „მწვანე გურია“ პროექტი, რომლის ფარგლებში მომზადდა ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2024-2029, ასევე მერების შეთანხმება/SECAP და UNDP/GCF-ის კლიმატური რისკებისა და ადრეული გაფრთხილების პროგრამები.

გურიის მხარეს, როგორც ადმინისტრაციულ რეგიონს, დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები არ აქვს აღებული; ასეთი ვალდებულებები ეკისრება საქართველოს სახელმწიფოს. თუმცა გურიის მუნიციპალიტეტები, მათ შორის ოზურგეთი, მონაწილეობენ ამ ვალდებულებების ადგილობრივ დონეზე შესრულებაში. ეს განსაკუთრებით ეხება კლიმატის ცვლილების, ენერგოეფექტურობის, ნარჩენების მართვის, წყლის რესურსების დაცვის, ბიომრავალფეროვნების, სოფლის განვითარებისა და მდგრადი ტურიზმის მიმართულებებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში საერთაშორისო თანამშრომლობა და დონორული მხარდაჭერა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორია. ადგილობრივი მწვანე განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ მუნიციპალური ბიუჯეტის რესურსებს, არამედ ცოდნას, ტექნიკურ დახმარებას, საგრანტო და საინვესტიციო დაფინანსებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და ადგილობრივი ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას. ოზურგეთისთვის ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის, UNDP-ის, GCF-ის, მერების შეთანხმების, ასევე სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების მხარდაჭერა.

საერთაშორისო თანამშრომლობა ოზურგეთისთვის უკვე ქმნის მნიშვნელოვან სტრატეგიულ საფუძველს. ამის კარგი მაგალითია ევროკავშირის დაფინანსებული „მწვანე გურია“ პროექტი, რომლის ფარგლებში შემუშავდა ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2024-2029. ეს სტრატეგია მუნიციპალიტეტის განვითარებას უკავშირებს ადგილობრივ დემოკრატიას, სოფლის განვითარებას, ინკლუზიურობასა და მდგრად მწვანე ზრდას. პროექტის ფარგლებში შექმნილი ადგილობრივი განვითარების ჯგუფი – LAG – წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რადგან აერთიანებს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს და ხელს უწყობს ადგილობრივი საჭიროებების მონაწილეობით განსაზღვრას. შესაბამისად, საერთაშორისო მხარდაჭერა მხოლოდ ფინანსურ დახმარებად არ უნდა განვიხილოთ; ის ასევე აძლიერებს ადგილობრივ მმართველობას, მონაწილეობით დაგეგმვას, სოციალური ჯგუფების ჩართულობას და ადგილობრივი განვითარების ხარისხს. მოცემული პროექტი მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას, სამოქალაქო ჩართულობის, ინკლუზიური სოფლის განვითარების და მწვანე ზრდის გაძლიერებას გურიის მუნიციპალიტეტებში. პროექტი ფოკუსირებულია კლიმატ-

მედეგი და მწვანე თემების ჩამოყალიბებაზე, სოფლის შესაძლებლობების დივერსიფიკაციაზე, კონკურენტული ეკონომიკური, აგრარული და გარემოსდაცვითი პრაქტიკების განვითარებაზე და ქალების, ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობაზე.

უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო თანამშრომლობა კლიმატის და ენერგეტიკის მიმართულებით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მერების შეთანხმების (Covenant of Mayors[13]) ხელმომწერ მხარეს წარმოადგენს. ოზურგეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მას აქვს SECAP-ის ლოგიკასთან დაკავშირებული ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო ჩარჩო. ოზურგეთის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა – SECAP – მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას, საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დაგეგმოს ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგია, სათბურის აირების შემცირება და კლიმატთან ადაპტაცია. მერების შეთანხმების ჩარჩო მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ის ადგილობრივ დონეზე აერთიანებს ემისიების შემცირების, კლიმატმედეგობისა და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების ამოცანებს. ოზურგეთისთვის ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტურობის, გარე განათების მოდერნიზაციის, წყლისა და ნარჩენების სექტორის ენერგოეფექტურობის, დაბალემისიური ტრანსპორტისა და კლიმატური რისკების მართვის მხარდასაჭერად.

საერთაშორისო მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტიქიური რისკებისა და კლიმატმედეგობის მიმართულებით. ოზურგეთის გეოგრაფიული თავისებურებები – ზღვისპირა ზონა, მდინარეები, მთიანი სოფლები, ტყიანი ტერიტორიები და ტურისტული სივრცეები – ზრდის წყალდიდობის, მეწყრის, ძლიერი ნალექის, სანაპირო ზოლის დაზიანებისა და ტყის ხანძრების რისკებს. ასეთ პირობებში საერთაშორისო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს მრავალსაფრთხიანი ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვას, რისკზე დაფუძნებულ ადგილობრივ მოქმედებას და კლიმატის ინფორმაციის გამოყენებას, პირდაპირ უკავშირდება მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების პრიორიტეტებს.

გამოწვევები რამდენიმე მიმართულებით იკვეთება:

- დონორული პროექტების ფრაგმენტულობა. სხვადასხვა საერთაშორისო ინიციატივა შეიძლება მუშაობდეს სოფლის განვითარებაზე, კლიმატზე, ტურიზმზე, ნარჩენებზე, ენერგეტიკაზე ან განათლებაზე, მაგრამ მათი შედეგები ყოველთვის არ აისახება ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტურ და დაგეგმვის სისტემაში.
- პროექტებზე დამოკიდებულება. თუ საერთაშორისო დაფინანსება დასრულდა, მუნიციპალიტეტს შეიძლება გაუჭირდეს დაწყებული აქტივობების გაგრძელება საკუთარი რესურსებით.

13. სადაც მუნიციპალიტეტები ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის და კლიმატის მიმართულებით. საქართველოში, Covenant of Mayors East-ის მონაცემებით, არის 33 ხელმომწერი მუნიციპალიტეტი და 20 შემუშავებული სამოქმედო გეგმა.

- მონაცემებისა და ანგარიშგების სისუსტე. ხშირად რთულია იმის ჩვენება, რა მოცულობის საერთაშორისო მხარდაჭერა მიიღო მუნიციპალიტეტმა, რომელ სექტორებზე გადანაწილდა ის და რა გარემოსდაცვითი შედეგები მოიტანა.
- ადგილობრივი შესაძლებლობების შეზღუდულობა. მუნიციპალიტეტს, თემებსა და მცირე ბიზნესს ხშირად სჭირდება დახმარება საგრანტო განაცხადების, პროექტების მართვის, მონიტორინგის და მწვანე ინდიკატორების ფორმირების მიმართულებით.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა საერთაშორისო თანამშრომლობა მწვანე ბიუჯეტირების სისტემასთან პირდაპირ დააკავშიროს. ამისთვის შესაძლებელია შეიქმნას საერთაშორისო მხარდაჭერისა და მწვანე პროექტების რეესტრი, სადაც აისახება ყველა მიმდინარე და დაგეგმილი დონორული პროექტი, დაფინანსების წყარო, სექტორი, ბიუჯეტთან კავშირი, მოსალოდნელი გარემოსდაცვითი შედეგები და პასუხისმგებელი უწყება. ასეთი რეესტრი დაეხმარება მუნიციპალიტეტს, თავიდან აიცილოს დუბლირება, უკეთ დაგეგმოს თანადაფინანსება და საერთაშორისო პროექტების შედეგები პროგრამულ ბიუჯეტში გადაიტანოს.

საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტები განისაზღვროს ოზურგეთის მწვანე განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე. პრიორიტეტული მიმართულებები შეიძლება იყოს: წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა, ნარჩენების სეპარირება და რეციკლირება, ენერგოეფექტური მუნიციპალური შენობები, განახლებადი ენერგიის მცირე პროექტები, კლიმატური რისკების პრევენცია, ეკოტურიზმი და აგროტურიზმი, მწვანე ბიზნესი, გარემოსდაცვითი განათლება და გურიის ეროვნული პარკის/ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება. ამ მიმართულებებში საერთაშორისო მხარდაჭერა უნდა იყოს არა ერთჯერადი აქტივობა, არამედ მუნიციპალური პროგრამების გაძლიერების წყარო.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს, LAG-ს, ადგილობრივ არასამთავრობო სექტორს, სკოლებს, ტურისტულ ბიზნესს და ფერმერებს სჭირდებათ ტრენინგები პროექტების მომზადებაში, მწვანე ბიუჯეტირებაში, კლიმატის ადაპტაციაში, შედეგების ინდიკატორების ფორმირებაში და ანგარიშგებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო პროექტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ადგილობრივი კადრების დატოვებას და ცოდნის ინსტიტუციონალიზაციას, რათა პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდეს მიღებული პრაქტიკის გამოყენება.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით სასურველია დაინერგოს კონკრეტული ინდიკატორები: საერთაშორისო მხარდაჭერით დაფინანსებული მწვანე პროექტების რაოდენობა და ღირებულება, თანადაფინანსებული მუნიციპალური პროექტების წილი, მხარდაჭერილი თემები და ბიზნესები, ენერგოეფექტურობის ან

ნარჩენების მართვის გაუმჯობესებული ობიექტები, კლიმატური რისკების შემცირების ღონისძიებები, საერთაშორისო პროექტებით შექმნილი სამუშაო ადგილები, ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა, ასევე პროექტების შედეგების მუნიციპალურ პროგრამებში ინტეგრირების დონე.

ოზურგეთის საერთაშორისო თანამშრომლობის ხედვა მწვანე განვითარების ჭრილში უნდა ეფუძნებოდეს კოორდინაციას, მდგრადობას და შედეგებზე ორიენტირებულობას. მთავარი შესაძლებლობაა, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა გახდეს ადგილობრივი მწვანე განვითარების კატალიზატორი – ცოდნის, დაფინანსების, ინოვაციისა და პარტნიორობის წყარო. მთავარი გამოწვევაა ფრაგმენტულობა და პროექტებზე დამოკიდებულება. შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა მართოს, როგორც მწვანე ბიუჯეტირების შემადგენელი ნაწილი, რათა დონორული რესურსები პირდაპირ დაუკავშირდეს ადგილობრივ პრიორიტეტებს, პროგრამულ ბიუჯეტს და გაზომვად გარემოსდაცვით შედეგებს.

გარემოსდაცვითი მმართველობა

მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში გარემოსდაცვითი მმართველობა მნიშვნელოვანია, განვიხილოთ NEAP 4-ის, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის, ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის გააზრებით, რადგან NEAP 4 არის საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ჩარჩო 2022-2026 წლებისთვის, ხოლო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი განსაზღვრავს სტრატეგიული დოკუმენტებისა და საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების, კონსულტაციებისა და საჯარო მონაწილეობის მოთხოვნებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში გარემოსდაცვითი მმართველობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ყველა სექტორის დამაკავშირებელი ინსტიტუციური სისტემა და არა მხოლოდ გარემოს დაცვის ცალკე მიმართულება. იგი მოიცავს გადაწყვეტილებების მიღების წესს, უწყებათაშორის კოორდინაციას, მოქალაქეთა მონაწილეობას, გარემოსდაცვითი მონაცემების გამოყენებას, მონიტორინგს, ანგარიშგებას, გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებას და მწვანე ბიუჯეტირების ინტეგრაციას მუნიციპალურ პროგრამებში. ოზურგეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტი აერთიანებს ზღვისპირა ტურისტულ ზონებს, მდინარეებს, მთიან და ტყიან ტერიტორიებს, სოფლის მეურნეობას, კულტურულ მემკვიდრეობას, გომისმთის კურორტულ პოტენციალს და ახალ მწვანე განვითარების შესაძლებლობებს.

ოზურგეთის მწვანე განვითარება ვერ იქნება ეფექტიანი, თუ გარემოსდაცვითი მმართველობა დარჩება ფრაგმენტულად – ცალკე ნარჩენების, ცალკე წყლის, ცალკე ინფრასტრუქტურის, ცალკე ტურიზმის ან ცალკე საგანგებო სიტუაციების დონეზე. გარემოსდაცვითი მმართველობა უნდა გახდეს მუნიციპალური დაგეგმვისა და ბიუჯეტირების გამჭოლი პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მნიშვნელოვანი პროგრამა – გზები, სანიაღვრე ქსელი, წყალმომარაგება, დასუფთავება, ტურიზმი, ენერგოეფექტურობა, სოფლის განვითარება, მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა, საგანგებო სიტუაციების პრევენცია – უნდა შეფასდეს გარემოსდაცვითი და კლიმატური ზემოქმედების კუთხით. ასეთი მიდგომა შეესაბამება როგორც NEAP 4-ის ეროვნულ გარემოსდაცვით ჩარჩოს, ისე ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ლოგიკას, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა „მწვანე გურია“ პროექტის ფარგლებში და ადგილობრივ დემოკრატიას, სოფლის განვითარებასა და მდგრად მწვანე ზრდას უკავშირდება.

გარემოსდაცვითი მმართველობის ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული მონაცემებზე. მუნიციპალიტეტს სჭირდება სანდო და რეგულარულად განახლებადი ინფორმაცია ნარჩენების რაოდენობაზე, წყლის რესურსებზე, წყალარინებაზე, სანიაღვრე სისტემებზე, მწვანე სივრცეებზე, ტყისა და ბიომრავალფეროვნების მდგომარეობაზე, ენერგომოხმარებაზე, სტიქიურ რისკებზე და ტურისტული ზონების დატვირთვაზე. მონაცემების გარეშე მწვანე ბიუჯეტირება რჩება აღწერით

დონეზე და რთულია იმის ჩვენება, რა გარემოსდაცვითი შედეგი მოიტანა კონკრეტულმა ხარჯმა. ამიტომ ოზურგეთისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მწვანე პროგრამების დაგეგმვა, არამედ მათი შედეგების გაზომვა.

მოქალაქეთა მონაწილეობა გარემოსდაცვითი მმართველობის აუცილებელი ელემენტია. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე სტრატეგიული დოკუმენტებისა და საქმიანობების შემთხვევაში ითვალისწინებს სკოპინგს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, საჯარო მონაწილეობას და კონსულტაციებს. მუნიციპალურ დონეზე ეს პრინციპი უნდა გადაითარგმნოს უფრო მარტივ პრაქტიკაში: საჯარო განხილვები, თემებთან კონსულტაციები, სკოლებისა და ახალგაზრდების ჩართულობა, ადგილობრივი ბიზნესის მონაწილეობა, LAG-ის გამოყენება, ონლაინ ინფორმაციის გამოქვეყნება და მოქალაქეთა უკუკავშირი. გარემოსდაცვითი მმართველობა ეფექტიანია მაშინ, როდესაც მოქალაქე ხედავს არა მხოლოდ დასრულებულ პროექტს, არამედ იმასაც, რატომ შეირჩა ეს პროექტი, რა გარემოსდაცვით შედეგს მოიტანს და როგორ შეფასდება მისი შესრულება.

ამ მხრივ სხვადასხვა გამოწვევა წარმოჩინდა:

- კოორდინაციის პრობლემა. მწვანე განვითარება მოითხოვს მერიის სხვადასხვა სამსახურის, მუნიციპალური იურიდიული პირების, საკრებულოს, ცენტრალური უწყებების, დონორების, ბიზნესისა და თემების შეთანხმებულ მოქმედებას.

- გარემოსდაცვითი ინდიკატორების სიმწირე პროგრამულ ბიუჯეტში. ხშირად იზომება შესრულებული სამუშაო ან დახარჯული თანხა, მაგრამ ნაკლებად იზომება დაზოგილი ენერგია, შემცირებული ნარჩენი, გაუმჯობესებული წყლის ხარისხი, დაცული მწვანე სივრცე ან შემცირებული კლიმატური რისკი.

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის არასაკმარისი საჯაროობა და ერთიან ფორმატში არქონა.

- ადგილობრივი შესაძლებლობების ნაკლებობა. მწვანე ბიუჯეტირება, გარემოსდაცვითი შეფასება, კლიმატის ადაპტაცია, საარუზო მართვა და მწვანე შესყიდვები საჭიროებს სპეციალიზებულ ცოდნას.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა გარემოსდაცვითი მმართველობა ჩამოაყალიბოს, როგორც მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციური საფუძველი. პირველ რიგში, საჭიროა მერიის შიგნით მწვანე კოორდინაციის მექანიზმის შექმნა — სამუშაო ჯგუფი ან საკოორდინაციო ფორმატი, რომელშიც ჩართული იქნება საფინანსო, ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარების, ზედამხედველობის, გარემოსდაცვითი/დასუფთავების, განათლების, ტურიზმისა და საგანგებო მართვის მიმართულებები. ამ ჯგუფმა ყოველწლიურად უნდა გადახედოს ბიუჯეტის პროგრამებს მწვანე კრიტერიუმებით და განსაზღვროს, რომელი პროგრამა უკავშირდება კლიმატის შერბილებას, ადაპტაციას, გარემოს დაცვას, რესურსეფექტიანობას ან მწვანე ეკონომიკურ განვითარებას.

მნიშვნელოვანია ასევე მწვანე ინდიკატორების სისტემის დანერგვა. თითოეულ შესაბამის პროგრამას უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი გარემოსდაცვითი ან კლიმატური შედეგის ინდიკატორი: სეპარირებული ნარჩენის მოცულობა, ენერგოეფექტური განათების წილი, რეაბილიტირებული წყალარინების/ სანიაღვრე ქსელის სიგრძე, წყლის დანაკარგების შემცირება, დაცული ან აღდგენილი მწვანე სივრცე, გარემოსდაცვით განათლებაში ჩართული სკოლები, რისკშემცირებული უბნები, მწვანე შესყიდვების რაოდენობა.

სასარგებლო იქნება, ასევე, გარემოსდაცვითი მონაცემების წლიური პროფილის მომზადება, რომელიც დაერთვება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და აჩვენებს მწვანე ხარჯებსა და შედეგებს.

უმნიშვნელოვანესია საჯარო მონაწილეობის გაძლიერება. ბიუჯეტის პროექტის განხილვისას მუნიციპალიტეტმა შეიძლება წარმოადგინოს მოკლე „მწვანე ბიუჯეტის მიმოხილვა“, სადაც მოქალაქეებისთვის გასაგებად გამოჩნდება, რა თანხა იხარჯება ნარჩენებზე, წყალზე, ენერგოეფექტურობაზე, მწვანე სივრცეებზე, სტიქიის პრევენციაზე, ტურიზმის გარემოსდაცვით ინფრასტრუქტურასა და გარემოსდაცვით განათლებაზე. ეს გაზრდის გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს უფრო მაღალი ხარისხის უკუკავშირს.

ოზურგეთის გარემოსდაცვითი მმართველობის ხედვა უნდა დაეფუძნოს: კოორდინაციას, მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, მოქალაქეთა მონაწილეობას და ანგარიშვალდებულებას. მთავარი შესაძლებლობაა, რომ ეროვნული გარემოსდაცვითი პრიორიტეტები და ადგილობრივი განვითარების სტრატეგია გადაიქცეს კონკრეტულ მუნიციპალურ პროგრამებად და გაზომვად შედეგებად. მთავარი გამოწვევაა ფრაგმენტული მართვა და მწვანე შედეგების არასაკმარისი გაზომვა. შესაბამისად, გარემოსდაცვითი მმართველობა უნდა გახდეს ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირების მთავარი საყრდენი, რომელიც მუნიციპალიტეტს დაეხმარება არა მხოლოდ გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში, არამედ მთელი ადგილობრივი განვითარების პროცესის უფრო მდგრად, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებულ მართვაში.

გარემოსდაცვითი რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება

აღნიშნული მიმართულების გასააზრებლად აუცილებელია რესურსეფექტიანი და სუფთა წარმოების — **RECP** — მიდგომის გააზრება, რომელიც საქართველოში EU4Environment/UNIDO-ის მხარდაჭერით ინერგება და მიზნად ისახავს საწარმოებში ენერგიის, წყლისა და ნედლეულის მოხმარების შემცირებას, ნარჩენების პრევენციას და ცირკულარული ეკონომიკისკენ გადასვლას. RECP მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რადგან საქართველოში SME-ები საწარმოთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მათთვის პრაქტიკული ტექნოლოგიური და საკონსულტაციო მხარდაჭერა კრიტიკულია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში გარემოსდაცვითი, რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება უნდა განიხილებოდეს, როგორც ადგილობრივი ეკონომიკის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების მართვის მოდერნიზაციის პრაქტიკული ინსტრუმენტი. სუფთა ტექნოლოგიები გულისხმობს ისეთ გადაწყვეტებს, რომლებიც ამცირებს ენერგიის, წყლისა და ნედლეულის მოხმარებას, ზღუდავს ნარჩენების წარმოქმნას, ამცირებს დაბინძურებას და ზრდის მომსახურებისა თუ წარმოების ეფექტიანობას. ოზურგეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს ერთდროულად ზღვისპირა ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, აგროტურიზმის, მცირე გადამუშავების, წყლის რესურსების, ტყისა და კლიმატმედეგი ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროება.

რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიები ოზურგეთისთვის არ უნდა იყოს მხოლოდ კერძო ბიზნესის ან ინდუსტრიის საკითხი. მათი გამოყენება საჭიროა მუნიციპალურ შენობებში, გარე განათებაში, წყალმომარაგება-წყალარინების სისტემებში, ნარჩენების მართვაში, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში, აგროსექტორში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესში. მაგალითად, LED განათება, ენერგოეფექტური გათბობა-გაგრილების სისტემები, მზის პანელები, წყლის დაზოგვის მოწყობილობები, თანამედროვე სატუმბი სისტემები, კომპოსტირება, სეპარირებული ნარჩენების ინფრასტრუქტურა, დაბალემისიური ტრანსპორტი და ენერგოეფექტური საოჯახო სასტუმროები პირდაპირ უკავშირდება როგორც ბიუჯეტის დაზოგვას, ისე გარემოზე ზეწოლის შემცირებას.

სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა უნდა დაუკავშირდეს ოზურგეთის ეკონომიკურ პროფილს**.** ზღვისპირა ზონებში პრიორიტეტული შეიძლება იყოს ენერგოეფექტური ტურისტული ობიექტები, წყლის დაზოგვა, პლასტიკის შემცირება, სეპარირებული ნარჩენები და ჩამდინარე წყლების უკეთესი მართვა. სოფლისა და აგრარულ ზონებში მნიშვნელოვანია წყლის ეფექტიანი გამოყენება, ნიადაგის დაცვა, მცირე გადამამუშავებელი საწარმოების ენერგოეფექტურობა, ცივი ჯაჭვის გაუმჯობესება, კომპოსტირება და ნარჩენი ბიომასის გამოყენება. მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგოეფექტური განათება, შენობების თბოიზოლაცია, განახლებადი ენერგიის მცირე სისტემები და სანიაღვრე/წყალგამტარი ინფრასტრუქტურის კლიმატმედეგი გადაწყვეტები.

უმნიშვნელოვანესია ასევე მოცემული საკითხის მწვანე ბიუჯეტირებასთან დაკავშირება. თუ მუნიციპალიტეტი სუფთა ტექნოლოგიებს განიხილავს მხოლოდ ცალკეულ პროექტებად, შედეგი ფრაგმენტული იქნება. აუცილებელია, რომ პროგრამულ ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამები მწვანე ნიშნით მოინიშნოს და მათთვის განისაზღვროს გაზომვადი ინდიკატორები: დაზოგილი ელექტროენერგია, შემცირებული წყლის დანაკარგი, სეპარირებული ან კომპოსტირებული ნარჩენის მოცულობა, ენერგოეფექტურად რეაბილიტირებული შენობების რაოდენობა, დამონტაჟებული განახლებადი ენერგიის სიმძლავრე, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი ბიზნესების რაოდენობა და შემცირებული საოპერაციო ხარჯები. ეს მიდგომა შეესაბამება SECAP-ის ლოგიკასაც, რადგან მდგრადი

ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტებს აძლევს ჩარჩოს ენერგიის მოხმარების შემცირების, ემისიების კლებისა და კლიმატმედეგობის ღონისძიებების დაგეგმვისთვის.

გამოწვევებად შესაძლოა დასახელდეს:

- საწყისი საინვესტიციო ღირებულება. ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, მზის სისტემები, თანამედროვე სატუმბი მოწყობილობები ან წყლის დაზოგვის სისტემები ხშირად მოითხოვს უფრო დიდ საწყის ხარჯს, მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიან პერიოდში ამცირებს საოპერაციო ხარჯებს.
- ცოდნისა და ტექნიკური უნარების ნაკლებობა. როგორც მუნიციპალიტეტში, ისე მცირე ბიზნესებსა და ფერმერებში.
- ბაზრისა და სერვისების სიმწირე. ყველა მწვანე ტექნოლოგიას ადგილობრივ დონეზე არ აქვს ხელმისაწვდომი ინსტალაცია, მომსახურება ან ტექნიკური მხარდაჭერა.
- მონაცემების ნაკლებობა. ენერგომოხმარების, წყლის დანაკარგების, ნარჩენების ნაკადებისა და შენობების ეფექტიანობის გარეშე რთულია, სწორად შეირჩეს პრიორიტეტული ტექნოლოგიები.
- მწვანე შესყიდვების არასაკმარისი გამოყენება. მუნიციპალიტეტი ხშირად ირჩევს დაბალ საწყის ფასს და არა სიცოცხლის ციკლის განმავლობაში უფრო ეკონომიურ და გარემოსდაცვითად ეფექტიან გადაწყვეტას.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა დაიწყოს ყველაზე მაღალი პრაქტიკული ეფექტის მქონე სფეროებიდან. პირველ ეტაპზე ეს შეიძლება იყოს მუნიციპალური შენობების ენერგოაუდიტი, გარე განათების სრული ენერგოეფექტური მოდერნიზაცია, წყლისა და სატუმბი სისტემების ენერგომოხმარების შეფასება, სანაპირო და ტურისტულ ზონებში ნარჩენების სეპარირების ინფრასტრუქტურა, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში წყლის/ენერგიის დაზოგვის მცირე პროექტები და საოჯახო სასტუმროებისთვის ენერგოეფექტურობის კონსულტაციები. მეორე ეტაპზე შესაძლებელია მცირე გრანტების ან ტექნიკური დახმარების მექანიზმის შექმნა ადგილობრივი ბიზნესებისთვის, განსაკუთრებით ტურიზმის, აგროტურიზმის, გადამუშავებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია მწვანე შესყიდვების გამოყენება. მუნიციპალიტეტმა შესყიდვების ტექნიკურ სპეციფიკაციებში ეტაპობრივად უნდა ჩადოს ენერგოეფექტურობის, წყლის დაზოგვის, გამძლეობის, რეციკლირებადობის, დაბალი ტოქსიკურობის და ნაკლები შეფუთვის მოთხოვნები. განსაკუთრებით ეს ეხება განათებას, ტექნიკას, სამშენებლო სამუშაოებს, საწმენდ საშუალებებს, კონტეინერებს, ტურისტულ ინფრასტრუქტურას და მუნიციპალურ აღჭურვილობას. მესამე რეკომენდაციაა პარტნიორობა სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებთან: EU4Environment/RECP მიდგომა, SME განვითარების პროგრამები, სოფლის განვითარების სააგენ-

ტოს ინსტრუმენტები და ენერგოეფექტურობის/განახლებადი ენერგიის ფინანსური მექანიზმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოზურგეთის მცირე ბიზნესებისა და მუნიციპალური პროექტების მხარდასაჭერად. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2025 წლების ჩარჩოში მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა SME პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილება.

ოზურგეთისთვის გარემოსდაცვითი, რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების ხედვა უნდა დაეფუძნოს პრაქტიკულ, ეკონომიკურად გამართლებულ და ეტაპობრივ მიდგომას. მთავარი შესაძლებლობაა, რომ ტექნოლოგიური განახლება ერთდროულად გახდეს ბიუჯეტის დაზოგვის, გარემოს დაცვის, მწვანე ბიზნესის მხარდაჭერისა და კლიმატმედეგობის გაძლიერების საშუალება. მთავარი გამოწვევაა მაღალი საწყისი ხარჯი, ცოდნის ნაკლებობა, ბაზრის შეზღუდული მზაობა და მონაცემებზე დაფუძნებული დაგეგმვის სისუსტე. შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა სუფთა ტექნოლოგიები უნდა აქციოს მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთ ცენტრალურ მიმართულებად, სადაც თითოეული ინვესტიცია შეფასდება არა მხოლოდ შეძენილი ტექნიკის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით, არამედ დაზოგილი რესურსების, შემცირებული დაბინძურებისა და მიღებული გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებლის მიხედვით.

გარემოსდაცვითი განათლება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში გარემოსდაცვითი განათლება უნდა განიხილებოდეს არა როგორც მხოლოდ საგანმანათლებლო ან საინფორმაციო აქტივობა, არამედ როგორც მწვანე პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკული ინსტრუმენტი. მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარება მოიცავს ნარჩენების მართვას, წყლის რესურსების დაცვას, ენერგოეფექტურობას, კლიმატმედეგობას, მდგრად ტურიზმს, სოფლის განვითარებას, ტყისა და ბიომრავალფეროვნების დაცვას. ამ მიმართულებების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მოსახლეობის, მოსწავლეების, ფერმერების, მცირე ბიზნესის, ტურისტული სერვისების მიმწოდებლებისა და ადგილობრივი საჯარო სექტორის ცოდნაზე, ქცევასა და მონაწილეობაზე.

ოზურგეთში გარემოსდაცვითი განათლება უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების გამჭოლი მიმართულება. მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტები – მაგალითად, კონტეინერების განთავსება, წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ენერგოეფექტური განათება ან ეკობილიკების მოწყობა – საკმარისი არ არის, თუ მოქალაქეებმა არ იციან, როგორ გამოიყენონ ეს ინფრასტრუქტურა სწორად და რატომ არის ის მნიშვნელოვანი. მაგალითად, სეპარირებული შეგროვების სისტემა ვერ იმუშავებს მოსახლეობის აქტიური ჩართულობის გარეშე; წყლის დაზოგვა ვერ მიიღწევა მხოლოდ ქსელის რეაბილიტაციით; ტურისტული ზონების სისუფთავე ვერ შენარჩუნდება მხოლოდ დასუფთავების სამსახურის ძალისხმევით. შესაბამისად, გარემოსდაცვითი განათლება უნდა იყოს მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის წინაპირობა.

ოზურგეთს გარემოსდაცვითი განათლებისთვის აქვს ძლიერი ადგილობრივი თემატური ბაზა. მუნიციპალიტეტში აქტუალურია ზღვისპირა ზონების სისუფთავე, ურეკის, შეკვეთილისა და კაპროვანის ტურისტული დატვირთვა, გომისმთისა და მთიანი ზონების ეკოტურისტული პოტენციალი, ტყის რესურსების დაცვა, წყლის რესურსების საარუზო მართვა, სოფლის მეურნეობის კლიმატგონივრული პრაქტიკები და ახალი გურიის ეროვნული პარკის პერსპექტივა. ეს გარემოებები იძლევა შესაძლებლობას, გარემოსდაცვითი განათლება იყოს არა აბსტრაქტული, არამედ ადგილობრივ მაგალითებზე დაფუძნებული – „როგორ დავიცვათ ჩვენი მდინარე“, „როგორ შევამციროთ პლასტიკის ნარჩენი ტურისტულ ზონაში“, „როგორ მოვუაროთ ტყეს“, „როგორ გამოვიყენოთ წყალი ეფექტიანად“, „როგორ განვავითაროთ ეკომეგობრული ტურიზმი“.

ამავე დროს, გამოწვევებიც მკაფიოა.

- გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების აქტივობები ხშირად კამპანიურია და არ არის დაკავშირებული გრძელვადიან პროგრამულ ბიუჯეტთან.
- სამიზნე ჯგუფების არასაკმარისი დიფერენცირება. მოსწავლეებს, ფერმე-

რებს, ტურისტულ ბიზნესს, მუნიციპალურ თანამშრომლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას განსხვავებული ცოდნა და პრაქტიკული ინსტრუმენტები სჭირდებათ.

- გარემოსდაცვითი განათლების შედეგების გაზომვის სირთულე. ხშირად ითვლება ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, მაგრამ ნაკლებად იზომება ქცევის ცვლილება, მაგალითად, გაიზარდა თუ არა ნარჩენების დახარისხება ან შემცირდა თუ არა არალეგალური დაყრა.

- ინსტიტუციური კოორდინაცია. უმნიშვნელოვანესია კოორდინაციის გაძლიერება სკოლებს, მუნიციპალიტეტს, გარემოსდაცვით ორგანიზაციებს, ადგილობრივ განვითარების ჯგუფს, ტურისტულ ბიზნესსა და ცენტრალურ უწყებებს შორის.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირების პროცესში გარემოსდაცვითი განათლება გამოიყოს, როგორც დამოუკიდებელი და ასევე გამჭოლი კომპონენტი. დამოუკიდებელი კომპონენტის სახით შეიძლება დაიგეგმოს სკოლებისა და საბავშვო ბაღებისთვის გარემოსდაცვითი კლუბები, თემატური გაკვეთილები, ადგილობრივი ეკოაქციები, მდინარისა და სანაპიროს დასუფთავების კამპანიები, ნარჩენების სეპარირების სწავლება და გარემოსდაცვითი კონკურსები. გამჭოლი კომპონენტის სახით კი გარემოსდაცვითი განათლება უნდა ჩაერთოს ნარჩენების, წყლის, ენერგეტიკის, ტურიზმის, სოფლის განვითარების და სატყეო მიმართულებების პროგრამებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკაზე დაფუძნებული მიდგომა. სკოლებში და თემებში შეიძლება დაინერგოს მცირე სადემონსტრაციო პროექტები: სეპარირებული ურნები, კომპოსტირების კუთხეები, წყლის დაზოგვის კამპანიები, ენერგოეფექტურობის მარტივი აუდიტები, მწვანე ეზოები, ეკობილიკების მოვლის მოხალისეობრივი ჯგუფები და ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი. ასეთი აქტივობები ერთდროულად ზრდის ცოდნას, ქმნის ქცევის ცვლილებას და აძლიერებს ადგილობრივი განვითარების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას.

სასურველია, მუნიციპალიტეტმა პარტნიორობა გააძლიეროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან, სკოლებთან, ოზურგეთის LAG-თან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ტურისტულ ბიზნესთან და სოფლის თემებთან. ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალური თანამშრომლების გადამზადება მწვანე ბიუჯეტირების, კლიმატის ცვლილების, ნარჩენების იერარქიის, წყლის საარუზო მართვისა და მდგრადი ტურიზმის საკითხებზე, რადგან ადგილობრივი პოლიტიკის ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია თავად მუნიციპალური სისტემის ცოდნაზე.

შედეგების გასაზომად რეკომენდებულია მარტივი ინდიკატორების დანერგვა: გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართული სკოლების რაოდენობა, მონაწილე მოსწავლეების და მოქალაქეების რაოდენობა, სეპარირების სისტემაში ჩართუ-

ლი საჯარო ობიექტები, ჩატარებული ტრენინგები ფერმერებისა და ტურისტული ბიზნესისთვის, დასუფთავებული ან მონიტორინგით დაფარული სანაპირო/მდინარისპირა ლოკაციები, ასევე ქცევითი ცვლილებების მაჩვენებლები — მაგალითად, შემცირებული არალეგალური ნარჩენები ან გაზრდილი სეპარირებული ნარჩენის მოცულობა საპილოტე ზონებში.

ოზურგეთის გარემოსდაცვითი განათლების ხედვა მწვანე განვითარების ჭრილში უნდა ეფუძნებოდეს ცოდნის, ქცევის და მონაწილეობის ერთიან მოდელს. მთავარი შესაძლებლობაა, რომ მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და ტურისტული რესურსები გამოყენებულ იქნეს, როგორც „ცოცხალი სასწავლო სივრცე“ მდგრადი განვითარებისათვის. მთავარი გამოწვევაა გარემოსდაცვითი განათლების ფრაგმენტულობა და მისი სუსტი დაკავშირება ბიუჯეტთან, ინფრასტრუქტურასთან და შედეგების გაზომვასთან. შესაბამისად, გარემოსდაცვითი განათლება უნდა იქცეს ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელოვან კომპონენტად, რომელიც მოქალაქეებს, სკოლებს, ბიზნესს და ადგილობრივ ხელისუფლებას აერთიანებს გარემოსდაცვითად პასუხისმგებელი განვითარების გარშემო.

საგანგებო სიტუაციების რისკების მართვა DRM

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია საქართველოს კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნულ ჩარჩოს, ოზურგეთის SECAP-ის/კლიმატის სამოქმედო გეგმის და მუნიციპალიტეტის ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების გააზრება: შავი ზღვის სანაპირო, მდინარეები, აჭარა-გურიის ქედი, მთიანი ზონები და კლიმატური რისკები. საქართველოს ეროვნული DRR სტრატეგიის მიზანი იყო ერთიანი კატასტროფების რისკის შემცირების სისტემის ჩამოყალიბება, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, რაც თავისთავად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მედეგობის გაზრდას, კატასტროფებით მოსალოდნელი შედეგების პრევენციის/ შერბილებისა და დამდგარი ზიანის შემსუბუქება/კომპენსაციის მიზნით საგულისხმო ძალისხმევას მოიაზრებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში საგანგებო სიტუაციების, სტიქიის პრევენციისა და შედეგების მართვის სექტორი ერთ-ერთი კრიტიკული მიმართულებაა. კლიმატის ცვლილების პირობებში იზრდება ძლიერი ნალექების, წყალდიდობების, მეწყრული პროცესების, სანაპირო ზოლის დაზიანების, ქარიშხლების, ტყის ხანძრებისა და ინფრასტრუქტურული შეფერხებების რისკი. ოზურგეთისთვის ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტი აერთიანებს შავი ზღვის სანაპირო ზონებს, მდინარეთა აუზებს,

მთიან სოფლებს, ტყიან ტერიტორიებს, ტურისტულ სივრცეებსა და სასოფლო-სამეურნეო არეალებს. შესაბამისად, სტიქიის პრევენცია და საგანგებო მართვა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ უსაფრთხოების, არამედ მწვანე განვითარების, კლიმატმედეგობისა და ადგილობრივი ეკონომიკის დაცვის ინსტრუმენტად.

ოზურგეთის მწვანე განვითარების მოდელში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პრევენციას და რისკების შემცირებას და არა მხოლოდ სტიქიის შემდეგ რეაგირებას. ტრადიციული მიდგომა ხშირად მიმართულია დაზიანებული გზების, ნაპირსამაგრი ნაგებობების, ხიდების ან სხვა ინფრასტრუქტურის აღდგენაზე, თუმცა მწვანე განვითარების ჭრილში უფრო ეფექტიანია წინასწარი რისკების შეფასება, საფრთხის ზონების იდენტიფიცირება, კლიმატმედეგი ინფრასტრუქტურის დაგეგმვა, მდინარისპირა და ფერდობების დაცვა, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების გამოყენება და ადრეული გაფრთხილების სისტემებთან ადგილობრივი კოორდინაცია.

მნიშვნელოვანია, სათანადოდ იყოს გააზრებული ბუნებრივი ინფრასტრუქტურა და ეკოსისტემები. ტყეები, მდინარისპირა მცენარეული საფარი, ჭარბტენიანი სივრცეები, სანაპირო ეკოსისტემები და გამწვანებული ფერდობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტიქიური რისკების შემცირებაში. ისინი ამცირებს ეროზიას, ანელებს ზედაპირულ ჩამონადენს, იცავს ნიადაგს, ამცირებს მეწყრისა და წყალდიდობის ზეწოლას და ხელს უწყობს კლიმატმედეგობას. ამიტომ საგანგებო სიტუაციების პრევენცია უნდა დაუკავშირდეს სატყეო, წყლის, ნარჩენების, სივრცითი დაგეგმვისა და ტურიზმის პოლიტიკას. მაგალითად, მდინარის კალაპოტების გაწმენდა, ფერდობების გამწვანება, ტყის აღდგენა, არალეგალური ნაგავსაყრელების პრევენცია და წყალსარინი სისტემების მოვლა ერთდროულად არის გარემოსდაცვითი და რისკების შემცირების ღონისძიება.

ოზურგეთისთვის საგანგებო მართვის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია მონაცემებთან და დაგეგმვასთან. მუნიციპალიტეტს სჭირდება საფრთხეების რუკები, მეწყერსაშიში და წყალდიდობის რისკის ზონების აღწერა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის სია, მოწყვლადი მოსახლეობის იდენტიფიცირება, ტურისტული სეზონის დროს რისკების მართვის მექანიზმები და სოფლების დონეზე სწრაფი რეაგირების გეგმები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სანაპირო ზონებს – ურეკს, შეკვეთილსა და კაპროვანს, ასევე მთიან და ტყიან ტერიტორიებს, სადაც გზის დაზიანება, ძლიერი ნალექი ან ხანძარი შესაძლოა სწრაფად გადაიზარდოს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემაში.

საქართველოს მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობა მუნიციპალიტეტს არ უდგენს საგანგებო სიტუაციების რისკების მართვისთვის ბიუჯეტის მინიმალურ ან მაქსიმალურ სავალდებულო პროცენტს, თუ ეს ხარჯები წინასწარ არის დაგეგმილი პროგრამულ ბიუჯეტში. შეზღუდვა მოქმედებს მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდზე, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ასიგნებების 2%-ს. შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის მიზანშეწონილია, სტიქიის პრევენცია და რისკების შემცირება არ დაეფუძნოს მხოლოდ

სარეზერვო ფონდს, არამედ წინასწარ აისახოს პროგრამულ ბიუჯეტში, როგორც კლიმატთან ადაპტაციისა და მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელოვანი მიმართულება. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს უფრო მკაფიო მოდელებიც, მაგალითად, ფილიპინებში ადგილობრივი თვითმმართველობები კანონით ვალდებული არიან, რეგულარული შემოსავლების არანაკლებ 5% მიმართონ ადგილობრივი კატასტროფების რისკის შემცირებისა და მართვის ფონდში, ამავე ფონდში, პრაქტიკული სახელმძღვანელოებით, 30% გამოიყოფა სწრაფი რეაგირების ფონდად, ხოლო 70% ძირითადად პრევენციისა და შერბილების პროგრამებისთვის გამოიყენება.[14]

გამოწვევები რამდენიმე მიმართულებით იკვეთება:

- პრევენციული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების არასაკმარისი ინტეგრაცია. სტიქიასთან დაკავშირებული ხარჯები ხშირად აღიქმება, როგორც რეაგირების ან აღდგენის ხარჯი და არა როგორც წინასწარი ინვესტიცია რისკების შემცირებაში.

- მონაცემებისა და მონიტორინგის სუსტი სისტემა. მაღალი რისკის უბნების პრიორიტეტიზაცია.

- უწყებათაშორისი კოორდინაცია. საგანგებო სიტუაციების მართვაში აუცილებელია სათანადო კოორდინაცია, რადგან მასში მონაწილეობს არაერთი ინსტიტუცია: ცენტრალური უწყებები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, მუნიციპალიტეტი, გარემოსდაცვითი სტრუქტურები, ინფრასტრუქტურის განმახორციელებლები, სკოლები, თემები და კერძო სექტორი.

- მოსახლეობის მზადყოფნა. მოქალაქეებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ცოდნა, როგორ იმოქმედონ ძლიერი ნალექის, წყალდიდობის, მეწყრის, ხანძრის ან ევაკუაციის საჭიროების შემთხვევაში.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირების პროცესში საგანგებო სიტუაციების და სტიქიის პრევენციის მიმართულება გამოიყოს, როგორც კლიმატთან ადაპტაციის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ბიუჯეტში უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ აღდგენითი სამუშაოები**,** არამედ პრევენციული ღონისძიებები: საწნიაღვრე და წყალგამტარი სისტემების გაწმენდა-რეაბილიტაცია, მდინარისპირა ზონების დაცვა, ფერდობების გამაგრება და გამწვანება, მეწყერსაშიში უბნების მონიტორინგი, ხიდებისა და გზების კლიმატმედეგი რეაბილიტაცია, ტყის ხანძრების პრევენცია, კრიტიკული ინფრასტრუქტურის რისკების შეფასება და საგანგებო მართვის ადგილობრივი გეგმების განახლება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ადრეული გაფრთხილების და ადგილობრივი რეაგირების სისტემების გაძლიერება. მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის სწრაფი გავრცელების არხები სოფლების, სკოლების, ტურისტული ობიექტების, სანაპირო ზონებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის. სასურვე-

14. Primer on the Disaster Risk Reduction and Management (DRRM) Act of 2010, Republic Act # 10121, DRRNetPhils Disaster Risk Reduction Network Philippines

ლია, თემების დონეზე შეიქმნას მარტივი სამოქმედო პროტოკოლები: სად უნდა წავიდეს მოსახლეობა ევაკუაციისას, ვის უნდა დაუკავშირდეს, რომელი გზებია უსაფრთხო, როგორ უნდა დაიცვას თავი წყალდიდობის, მეწყრის ან ხანძრის შემთხვევაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურისტულ სეზონზე, როდესაც მუნიციპალიტეტში დროებით იზრდება ადამიანების რაოდენობა და საგანგებო კომუნიკაციის საჭიროება.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით საჭიროა გაზომვადი ინდიკატორების დანერგვა. მაგალითად: იდენტიფიცირებული და მონიტორინგით დაფარული მაღალი რისკის უბნების რაოდენობა, რეაბილიტირებული სანიაღვრე ქსელის სიგრძე, გაწმენდილი მდინარის კალაპოტები და წყალგამტარები, მეწყერსაშიშ ზონებში განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები, საგანგებო მართვის გეგმით დაფარული ადმინისტრაციული ერთეულები, ჩატარებული სწავლება/სიმულაციები, მოსახლეობისა და სკოლის მოსწავლეების ჩართულობა, ასევე სტიქიის შედეგად დაზიანების შემცირების მაჩვენებლები.

ოზურგეთის საგანგებო სიტუაციების, სტიქიის პრევენციისა და შედეგების მართვის ხედვა მწვანე განვითარების ჭრილში აუცილებელია, გადავიდეს რეაგირების მოდელიდან პრევენციისა და კლიმატმედეგობის მოდელზე. მთავარი შესაძლებლობაა, რომ ბუნებრივი ეკოსისტემები, სივრცითი დაგეგმვა, ინფრასტრუქტურა, სააუზო მართვა და ადგილობრივი მზადყოფნა ერთიან სისტემად ჩამოყალიბდეს. მთავარი გამოწვევაა ფრაგმენტული მიდგომა, როდესაც სტიქიური რისკები განიხილება ცალკე უსაფრთხოების საკითხად და არა მწვანე განვითარების, ბიუჯეტირების და კლიმატის ადაპტაციის ნაწილად. შესაბამისად, ოზურგეთისთვის ეს სექტორი უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც დაიცავს მოსახლეობას, ინფრასტრუქტურას, ტურისტულ პოტენციალს და ბუნებრივ რესურსებს კლიმატური და სტიქიური საფრთხეებისგან.

მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა

მწვანე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის გასააზრებლად უმნიშვნელოვანესია ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2024-2029-ის მწვანე ზრდის კომპონენტის, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025-ის[15], „აწარმოე საქართველოში“/Enterprise Georgia-ს ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმებისა და სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების გათვალისწინება. ოზურგეთის ადგილობრივი სტრატეგია პირდაპირ უკავშირდება ინკლუზიურ და მდგრად მწვანე ზრდას. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულება კი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობას მოიცავს.

15. საქართველოს მთავრობის დადგენილება №351, 2021 წლის 13 ივლისი, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021 - 2025 წლებისათვის და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/5214991

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის, სოფლის განვითარების, მდგრადი ტურიზმის, რესურსეფექტიანობისა და კლიმატმედეგობის ერთიანი მიმართულება.

> მწვანე ბიზნესი გულისხმობს ისეთი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, რომელიც ამცირებს გარემოზე ზეწოლას, უფრო ეფექტიანად იყენებს ენერგიას, წყალსა და ნედლეულს, ხელს უწყობს ნარჩენების შემცირებას, ადგილობრივი რესურსების მდგრად გამოყენებას და ქმნის დამატებულ ღირებულებას ადგილობრივ დონეზე.

ოზურგეთისთვის ეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს ზღვისპირა ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, აგროტურიზმის, მცირე გადამუშავების, ეკოტურიზმის, ტყისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მნიშვნელოვანი პოტენციალი.

ოზურგეთში მწვანე ბიზნესის განვითარება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ცალკეული „ეკო“ ინიციატივებით. ის უნდა გახდეს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიდგომა, რომელიც აერთიანებს მცირე და საშუალო ბიზნესს, ფერმერებს, საოჯახო სასტუმროებს, ტურისტულ სერვისებს, კვების ობიექტებს, გადამამუშავებელ საწარმოებსა და ახალგაზრდულ/ქალთა მეწარმეობას. ოზურგეთის ზღვისპირა ზონებში – შეკვეთილი, ურეკი და კაპროვანი – მწვანე ბიზნესი შეიძლება უკავშირდებოდეს ენერგოეფექტურ საოჯახო სასტუმროებს, ნარჩენების შემცირებას, პლასტიკის გამოყენების კლებას, ადგილობრივი პროდუქტის გამოყენებას ტურისტულ მომსახურებაში და ეკომეგობრულ რეკრეაციულ სერვისებს. სოფლისა და მთის ზონებში კი პერსპექტიულია აგროტურიზმი, ადგილობრივი პროდუქტის ბრენდირება, მცირე გადამუშავება, ორგანული ან დაბალი ქიმიური დატვირთვის წარმოება, კომპოსტირება და ბუნებაზე დაფუძნებული ტურისტული სერვისები.

მწვანე ბიზნესის მხარდაჭერა პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს მწვანე ბიუჯეტირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ეკონომიკური განვითარების, ტურიზმის, სოფლის განვითარების, ნარჩენების, ენერგეტიკისა და გარემოსდაცვითი განათლების პროგრამები შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვით, რამდენად უწყობს ხელს ისინი ადგილობრივ მწვანე მეწარმეობას. მაგალითად, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა უფრო მაღალი მწვანე ეფექტის მქონე იქნება, თუ მას თან ახლავს სეპარირებული ნარჩენების სისტემა, ადგილობრივი პროდუქტის ბაზრები, ენერგოეფექტური განათება, ეკომეგობრული საინფორმაციო დაფები და მცირე ბიზნესის ტრენინგები. ასევე, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა უფრო მწვანე შედეგს მიიღებს, თუ ფერმერებს მიეწოდებათ ცოდნა წყლის ეფექტიან გამოყენებაზე, ნიადაგის დაცვაზე, კლიმატგონივრულ ტექნოლოგიებზე, ბიო წარმოებაზე და ენერგოეფექტურ წარმოებაზე.

უმნიშვნელოვანესია, აგრეთვე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის საკითხის გააზრება. საქართველოში მწვანე ბიზნესის მხარდაჭერისთვის უკვე არსებობს გარკვეული სახელმწიფო და ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის **Enterprise Georgia-**ს მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამები, ბიზნეს უნივერსალის/ECO ტიპის სესხები და სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების პროგრამები[16]. Enterprise Georgia-ს მიზანია მეწარმეობის კულტურის განვითარება და ახალი საწარმოების შექმნა/არსებულის გაფართოება, ხოლო სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს აგროდაზღვევის, აგროკრედიტის, ტექნიკის თანადაფინანსების, სათბურების, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების მხარდაჭერის პროგრამებს[17]. ამ რესურსების ადგილობრივ დონეზე უკეთ დაკავშირება ოზურგეთის ბიზნესებთან მნიშვნელოვანი წინაპირობაა მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის.

გამოწვევები რამდენიმე მიმართულებით იკვეთება:

- მწვანე ბიზნესის შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ნაკლებობა. მცირე მეწარმეებმა ხშირად არ იციან, როგორ გადაიყვანონ საქმიანობა ენერგოეფექტურ, რესურსდამზოგავ ან ეკომეგობრულ მოდელზე.
- ფინანსებზე წვდომა. მცირე ბიზნესს ხშირად უჭირს თანადაფინანსების, სესხის, საგრანტო განაცხადის ან ბიზნესგეგმის მომზადება.
- ბაზრის შეზღუდულობა და ბრენდინგის სისუსტე. ადგილობრივი მწვანე პროდუქტი და მომსახურება ხშირად ვერ ფორმდება კონკურენტულ ტურისტულ ან აგრობიზნეს პროდუქტად.
- სერტიფიცირების, ხარისხის სტანდარტებისა და გარემოსდაცვითი ეტიკეტირების ნაკლებობა, რაც ამცირებს მომხმარებლის ნდობას.
- მუნიციპალიტეტის ბიზნესის სტიმულირების პროგრამებში გარემოსდაცვითი მიზნების არასაკმარისი ინტეგრაცია.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მწვანე ბიზნესის მხარდაჭერა ჩამოაყალიბოს, როგორც პროგრამული ბიუჯეტის გამჭოლი პრიორიტეტი. პირველ ეტაპზე შესაძლებელია ადგილობრივი მწვანე ბიზნესის პოტენციალის რუკის მომზადება – რომელ სოფლებში და ზონებშია შესაძლებელი აგროტურიზმი, მცირე გადამუშავება, ადგილობრივი პროდუქტის ბაზრობა, ეკოტურისტული სერვისი, კომპოსტირება, ენერგოეფექტური სასტუმროები ან მზის ენერგიის მცირე გამოყენება. მეორე ეტაპზე საჭიროა მცირე გრანტების, თანადაფინანსების ან ტექნიკური დახმარების ადგილობრივი მექანიზმის შექმნა, რომელიც დაეხმარება მეწარმეებს ბიზნესგეგმის მომზადებაში, სახელმწიფო პროგრამებზე განაცხადების შეტანაში და მწვანე ტექნოლოგიების დანერგვაში.

---

16. ბიზნეს უნივერსალი, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development/Business-Universal
17. ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ პროგრამები https://rda.gov.ge/programs

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრენინგებისა და კონსულტაციების სისტემური ორგანიზება. სამიზნე ჯგუფებად უნდა გამოიყოს საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, ფერმერები, ახალგაზრდები, ქალები, ტურისტული სერვისები და გადამამუშავებელი მცირე საწარმოები. თემები შეიძლება მოიცავდეს ენერგოეფექტურობას, ნარჩენების შემცირებას, წყლის დაზოგვას, ეკომეგობრულ ტურიზმს, ადგილობრივი პროდუქტის შეფუთვასა და ბრენდირებას, ციფრულ მარკეტინგს, საგრანტო განაცხადების მომზადებას და გარემოსდაცვით სტანდარტებს.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით საჭიროა კონკრეტული ინდიკატორების დანერგვა: მხარდაჭერილი მწვანე ბიზნესების რაოდენობა, შექმნილი სამუშაო ადგილები, ქალებისა და ახალგაზრდების მიერ წამოწყებული ბიზნესები, ენერგოეფექტურ განახლებაში ჩართული ობიექტები, ადგილობრივი პროდუქტის გაყიდვების ზრდა, ნარჩენების შემცირების ან სეპარირების სისტემაში ჩართული ბიზნესები, აგრო და ეკოტურისტული მარშრუტების რაოდენობა, ასევე, სახელმწიფო პროგრამებში ოზურგეთიდან დაფინანსებული პროექტების რაოდენობა.

ოზურგეთის მწვანე ბიზნესის ხედვა უნდა დაეფუძნოს ადგილობრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებას და ეკონომიკური განვითარების გარემოსდაცვით შედეგებთან დაკავშირებას. მთავარი შესაძლებლობაა ზღვისპირა ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, აგროტურიზმის, ადგილობრივი პროდუქტისა და ბუნებრივი რესურსების ერთიან მწვანე ეკონომიკურ მოდელად გარდაქმნა. მთავარი გამოწვევაა ფინანსებზე, ცოდნაზე, ბაზრებზე და სტანდარტებზე შეზღუდული წვდომა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის როლი უნდა იყოს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის შექმნა, არამედ მწვანე მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება – ინფორმაციით, კოორდინაციით, მცირე მხარდაჭერის მექანიზმებით, პარტნიორობით და შედეგებზე ორიენტირებული მწვანე ბიუჯეტირებით.

მწვანე შესყიდვები

მწვანე შესყიდვების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია საქართველოში მდგრადი/მწვანე საჯარო შესყიდვების განვითარების ჩარჩოს, მათ შორის ახალი **„საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონის**, EU4Environment-ის მხარდაჭერით მომზადებული მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომებისა და ოზურგეთის მწვანე განვითარების კონტექსტის გააზრება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში მწვანე საჯარო შესყიდვები უნდა განიხილებოდეს, როგორც ბიუჯეტის ხარჯვის ხარისხის გაუმჯობესების, გარემოზე ზემოქმედების შემცირების და ადგილობრივი მწვანე ბაზრის სტიმულირების პრაქტიკული ინსტრუმენტი. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს შესყიდვებს ინფრასტრუქტურის, დასუფთავების, ტრანსპორტის, განათლების, ადმინისტრაციული მომსახურების, კეთილმოწყობის, ენერგეტიკისა და სხვა მიმართულებებით. შესაბამისად, შესყიდვების პირობებში გარემოსდაცვითი და ენერგოეფექტურობის კრიტერიუმების ინტეგრირება შეიძლება გახდეს ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი.

მწვანე შესყიდვები არ ნიშნავს მხოლოდ „ეკოლოგიური“ პროდუქტის შეძენას. ეს არის მიდგომა, როდესაც შესყიდვისას ფასისა და ხარისხის გარდა ფასდება პროდუქტის, სამუშაოს ან მომსახურების სრული სასიცოცხლო ციკლი – ენერგიის მოხმარება, წყლის გამოყენება, ნარჩენების წარმოქმნა, მოვლა-ექსპლუატაციის ხარჯი, გამძლეობა, გადამუშავების შესაძლებლობა და გარემოზე ზემოქმედება. მაგალითად, ენერგოეფექტური LED განათება შეიძლება შესყიდვის მომენტში ძვირი ჩანდეს, მაგრამ ექსპლუატაციის პერიოდში ამცირებს ელექტროენერგიის ხარჯს და ემისიებს. ანალოგიურად, ხარისხიანი და გამძლე ინფრასტრუქტურული მასალა ამცირებს ხშირი შეკეთების საჭიროებას და ნარჩენების წარმოქმნას.

ოზურგეთისთვის მწვანე შესყიდვები განსაკუთრებით რელევანტურია იმ სექტორებში, რომლებიც უკვე უკავშირდება მწვანე განვითარების დღის წესრიგს: ენერგოეფექტური გარე განათება, მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია, ნარჩენების მართვის ინვენტარი, სეპარირებული შეგროვების კონტეინერები, წყლისა და სანიაღვრე სისტემების სამუშაოები, ეკომეგობრული ტურისტული ინფრასტრუქტურა, პარკებისა და მწვანე სივრცეების მოვლა, სკოლებისა და საბავშვო ბაღების აღჭურვილობა, **IT** ტექნიკა და საწმენდი საშუალებები. სწორედ ასეთ შესყიდვებში შეიძლება, ეტაპობრივად ჩაიდოს ტექნიკური მოთხოვნები ენერგოეფექტურობაზე, რესურსდაზოგვაზე, გამძლეობაზე, დაბალ ტოქსიკურობაზე, რეციკლირებადობაზე ან ნაკლებ შეფუთვაზე.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მწვანე შესყიდვა, რადგან ის ასტიმულირებს მწვანე ბიზნესის განვითარებას. როდესაც მუნიციპალიტეტი შესყიდვებში ითხოვს უფრო ენერგოეფექტურ, გარემოსდაცვითად უსაფრთხო ან რესურსდამზოგავ პრო-

დუქტებსა და მომსახურებას, ის ბაზარს აძლევს სიგნალს, რომ მწვანე სტანდარტები მოთხოვნადი ხდება. ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივ და რეგიონულ ბიზნესს, ეტაპობრივად გააუმჯობესოს პროდუქტი, მომსახურება და ტექნოლოგიები. ამგვარად, მწვანე შესყიდვები შეიძლება გახდეს არა მხოლოდ გარემოსდაცვითი, არამედ ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტიც – განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომელიც მუშაობს სამშენებლო, ტურისტული, დასუფთავების, ენერგეტიკული, აგრო და მომსახურების მიმართულებით.

გამოწვევები რამდენიმე მიმართულებით იკვეთება:

- მწვანე შესყიდვების შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა ადგილობრივ დონეზე. შემსყიდველ პირებს ხშირად არ აქვთ მზა ტექნიკური კრიტერიუმები, ბაზრის ანალიზის პრაქტიკა და სიცოცხლის ციკლის ღირებულების შეფასების გამოცდილება.
- ბაზრის მზაობა. ყველა კატეგორიაში ადგილობრივ მიმწოდებლებს ჯერ არ აქვთ ეკომეგობრული პროდუქტი, სერტიფიკატები ან შესაბამისი დოკუმენტაცია.
- ფასზე ზედმეტი ორიენტაცია. თუ შესყიდვის შეფასება მხოლოდ ყველაზე დაბალ ფასს ეფუძნება, ენერგოეფექტური ან გამძლე გადაწყვეტები შეიძლება კონკურენციაში დამარცხდეს, მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიან პერიოდში უფრო იაფი და გარემოსდაცვითად უკეთესია.
- მონაცემების ნაკლებობა. მუნიციპალიტეტს უნდა შეეძლოს აჩვენოს, რამდენი შესყიდვა შეიცავდა მწვანე კრიტერიუმს და რა გარემოსდაცვითი შედეგი მიიღო.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მწვანე შესყიდვები ეტაპობრივად დანერგოს საპილოტე მიდგომით. საწყის ეტაპზე შეიძლება შეირჩეს რამდენიმე მაღალი ეფექტის მქონე კატეგორია: გარე განათება, საოფისე და IT ტექნიკა, საწმენდი საშუალებები, სეპარირების კონტეინერები, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და ტურისტული ინფრასტრუქტურა. თითოეულ კატეგორიაში უნდა მომზადდეს მარტივი მინიმალური მწვანე კრიტერიუმები – მაგალითად, ენერგოეფექტურობის კლასი, გამძლეობა, ნაკლები შეფუთვა, დაბალი ტოქსიკურობა, გადამუშავებადი მასალა, ტექნიკის ენერგომოხმარება, მომსახურებისას ნარჩენების მართვის ვალდებულება ან მასალების უსაფრთხოების მოთხოვნები.

შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე სიცოცხლის ციკლის ღირებულების გათვალისწინება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათების, შენობების, ტრანსპორტის, ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით. მუნიციპალიტეტმა უნდა შეაფასოს არა მხოლოდ საწყისი ფასი, არამედ ენერგიის მოხმარება, მოვლა-პატრონობა, ექსპლუატაციის ხარჯი, ხანგრძლივობა და საბოლოო განკარგვის ხარჯი. ასეთი მიდგომა მწვანე შესყიდვებს ბიუჯეტის დაზოგვის არგუმენტსაც აძლევს და არა მხოლოდ გარემოსდაცვით ღირებულებას.

ადგილობრივი ბაზრის წინასწარი კონსულტაცია და მომწოდებლების ინფორმირება. მუნიციპალიტეტმა შეიძლება წინასწარ აცნობოს ბიზნესს, რომ ეტაპობრივად გაიზრდება მოთხოვნა ენერგოეფექტურ, ეკომეგობრულ და რესურსდამზოგავ პროდუქტებზე. ეს შეამცირებს კონკურენციის შეზღუდვის რისკს და დაეხმარება მცირე ბიზნესს, მოემზადოს ახალი მოთხოვნებისთვის. ასევე საჭიროა შესყიდვის სპეციალისტების გადამზადება მწვანე ტექნიკური სპეციფიკაციების, შეფასების კრიტერიუმებისა და ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის მიმართულებით.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით სასურველია კონკრეტული ინდიკატორების დანერგვა: მწვანე კრიტერიუმებით გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და წილი, ენერგოეფექტური ტექნიკისა და განათების შესყიდვების ღირებულება, სეპარირების ინფრასტრუქტურის შესყიდვები, ეკომეგობრული საწმენდი საშუალებების გამოყენება, სიცოცხლის ციკლის ღირებულებით შეფასებული შესყიდვების რაოდენობა, ასევე მიღწეული სავარაუდო ეკონომია ელექტროენერგიაში, წყალში ან მოვლა-პატრონობის ხარჯებში.

ოზურგეთის მწვანე შესყიდვების ხედვა უნდა დაეფუძნოს ეტაპობრივ, რეალისტურ და ბაზართან შეთანხმებულ მიდგომას. მთავარი შესაძლებლობაა, რომ მუნიციპალიტეტის ჩვეულებრივი შესყიდვები გადაიქცეს მწვანე განვითარების ინსტრუმენტად – ენერგოეფექტურობის, ნარჩენების შემცირების, მდგრადი ტურიზმის, წყლის რესურსების დაცვისა და ადგილობრივი მწვანე ბიზნესის გაძლიერების მიმართულებით. მთავარი გამოწვევაა ცოდნის, კრიტერიუმების, მონაცემებისა და ბაზრის მზაობის არასაკმარისი დონე. შესაბამისად, ოზურგეთისთვის მწვანე შესყიდვები უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების პრაქტიკული ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ თანხების ხარჯვას, არამედ გარემოსდაცვითი და ეკონომიკური შედეგების მიღწევას.

დარგობრივი პრიორიტეტები

სოფლის მეურნეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის განვითარების მწვანე კონტექსტში განხილვისას საბაზისო დოკუმენტებად უნდა ჩაითვალოს, ერთი მხრივ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027, ხოლო მეორე მხრივ, ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია **2024-2029**[18], რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით, „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში მომზადდა. ეროვნული სტრატეგია სოფლის განვითარებას უკავშირებს ეკონომიკურ განვითარებას, სურსათის უსაფრთხოებას, გარემოს დაცვას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას, მათ შორის ტყის მდგრად მართვას. ოზურგეთის ადგილობრივი სტრატეგია კი პირდაპირ არის დაკავშირებული ინკლუზიურ სოფლის განვითარებასა და მდგრად მწვანე ზრდასთან.

ოზურგეთს მწვანე განვითარებისათვის ძლიერი საწყისი პირობები აქვს: მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტი, შავი ზღვისპირეთი, მთიანი ზონა, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი, ჩაის, ციტრუსის, თხილის, კენკროვანი კულტურებისა და აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობები. გურიის ტურისტული პოტენციალის კვლევაშიც ხაზგასმულია, რომ რეგიონის ბუნებრივი რესურსები – ზღვის სანაპირო, მთაგორიანი ლანდშაფტი, მდინარეები, კურორტები და ზომიერი კლიმატი – ქმნის როგორც აქტიური, ისე რეკრეაციული ტურიზმის განვითარების საფუძველს; ასევე აღნიშნულია ოზურგეთის კლიმატური პირობების შესაბამისობა ციტრუსის, კენკროვანი და სუბტროპიკული კულტურების წარმოებისთვის. ეს აძლევს მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას, სოფლის განვითარება არ შემოიფარგლოს მხოლოდ ტრადიციული სოფლის მეურნეობით და გადაერთოს მწვანე ეკონომიკის ინტეგრირებულ მოდელზე – კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, მცირე გადამამუშავებელი საწარმოები, ეკო და აგროტურიზმი, ადგილობრივი პროდუქტების ბრენდირება, ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსების დაცვა.

ამასთან, სტრატეგიული გამოწვევები საკმაოდ მკაფიოა, ეროვნული სტრატეგია სოფლის განვითარების სუსტ მხარეებად ასახელებს:

- დაბალ პროდუქტიულობას;
- სოფლის ეკონომიკის სუსტ დივერსიფიკაციას;
- ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას;
- არასაკმარის პროფესიულ ცოდნას;
- ტურისტული და საბაზისო ინფრასტრუქტურის სისუსტეს;

18. ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2024–2029, (2024, მარტი) CENN, მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის.

- სასმელ წყალზე და კანალიზაციაზე არასაკმარის ხელმისაწვდომობას;
- სოფლის მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმების სისუსტეს.

ეს გამოწვევები პირდაპირ უკავშირდება ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირების დღის წესრიგს. ადგილობრივი ბიუჯეტი აუცილებელია, ორიენტირებული იყოს კლიმატისადმი მდგრად, ენერგოეფექტურ და ეკოლოგიურად გამართულ პროექტებზე სოფლის განვითარების მწვანე პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის.

რეკომენდაციები**:**

- ოზურგეთის პროგრამულ ბიუჯეტში სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული ქვეპროგრამები მიზანშეწონილია, დაიმარკოს მწვანე ბიუჯეტირების ლოგიკით – კლიმატის შერბილება, ადაპტაცია, გარემოს დაცვა და მწვანე ეკონომიკური განვითარება.
- მუნიციპალიტეტმა უნდა გააძლიეროს კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა: მცირე ფერმერებისთვის წყლის ეფექტიანი გამოყენება, ნიადაგის დაცვა, ორგანული/დაბალი ქიმიური დატვირთვის წარმოება, ენერგოეფექტური სათბურები და მცირე გადამუშავების მხარდაჭერა, დაფინანსებისა და დაზღვევის მექანიზმების დახვეწა და მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, პორტატული მზის პანელები და აგროვოლტაიკები, რომელსაც აქვს ორმაგი გამოყენება, თავსდება პლანტაციის თავზე და უზრუნველყოფს ჩრდილს.
- სოფლის ტურიზმისა და აგროტურიზმის პროექტებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ეკოტურისტულ ბილიკებს, ნარჩენების მართვას, ადგილობრივი პროდუქტის ბრენდირებას და მცირე საოჯახო ბიზნესების ენერგოეფექტურობას.
- LAG/LEADER მიდგომა უნდა იქცეს ბიუჯეტირების პრაქტიკულ ინსტრუმენტად, რადგან ეროვნული სტრატეგიაც ხაზს უსვამს ადგილობრივი მოსახლეობის „ქვემოდან ზემოთ“ ჩართულობის მნიშვნელობას სოფლის განვითარების პოლიტიკაში.
- საჭიროა შედეგების ინდიკატორების გაძლიერება: მხოლოდ დახარჯული თანხა არ არის საკმარისი; უნდა გაიზომოს, რამდენმა სოფელმა მიიღო უკეთესი ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა, რამდენმა ფერმერმა დანერგა კლიმატგონივრული პრაქტიკა, რამდენი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა და რამდენად შემცირდა გარემოზე ზეწოლა.
- უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ინსტიტუციებთან (სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების აღმასრულებელ /სერვისების მიმწოდებელ სააგენტოებთან, მაგ.: „სოფლის განვითარების სააგენტო“) კოორდინაცია, საჭირო სამეცნიერო-კვლევითი, ლაბორატორიული შესაძლებლობების, დაფინან-

სებისა თუ სხვა მიზნობრივი მხარდაჭერის მექანიზმების/სერვისების აქტიურად დასანერგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. კვლავაც აქტუალურია:

- ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დანადგარებით აღჭურვა;
- თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა;
- ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა;
- ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება;
- ხარისხის სქემების განვითარება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე და მათში მუნიციპალიტეტის

აქტიური ჩართვა;

- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და პროდუქციის პოპულარიზაცია;

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების

გატარება;

- ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტის/ლიზინგის თანადაფინანსება;
- მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
- დაცული ტერიტორიების საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვა/არსებულის გაუმჯობესება;
- ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის

ხელშეწყობა;

- ფაუნის ადგილობრივ სახეობებსა და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება;
- მავნე მწერების წინააღმდეგ მცენარეთა დამუშავება.

ოზურგეთის სოფლის განვითარების სტრატეგიული ხედვა თავსებადია მწვანე განვითარების პრინციპებთან, თუმცა მისი ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს პროგრამული ბიუჯეტის უფრო მკაფიო დაკავშირებას კლიმატის, გარემოს დაცვისა და ადგილობრივი მწვანე ეკონომიკის მიზნებთან. ძლიერი მხარეა ბუნებრივი და აგრარული პოტენციალი; ძირითადი რისკია ამ პოტენციალის ფრაგმენტული და არაკოორდინირებული გამოყენება. ამიტომ მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯე-

ტირების ამოცანა უნდა იყოს არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ხარჯების აღწერა, არამედ სოფლის განვითარების ყველა შესაბამისი პროგრამის გადაყვანა მდგრადი, კლიმატმედეგი და ადგილობრივი ეკონომიკის გამაძლიერებელი განვითარების მოდელზე.

ენერგეტიკის სექტორი

ოზურგეთის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP), ისევე როგორც საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიმართულებები, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია ადგილობრივი და ეროვნული მწვანე ენერგეტიკული პოლიტიკის გასააზრებლად. ოზურგეთის SECAP-ი მუნიციპალიტეტის ენერგეტიკულ და კლიმატურ დაგეგმვას უკავშირებს ადგილობრივ სექტორებს. ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკა 2030 წლისთვის აქცენტს აკეთებს განახლებადი ენერგიის, ენერგოეფექტურობის, შენობების ეფექტიანობის, ტრანსპორტის დეკარბონიზაციისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში ენერგეტიკის მიმართულება ერთ-ერთი საკვანძო სფეროა, რადგან ის პირდაპირ უკავშირდება როგორც სათბურის აირების ემისიების შემცირებას, ისე ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადობას, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ეფექტიანობასა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. ოზურგეთისთვის ენერგეტიკული განვითარების ხედვა მიზანშეწონილია, დაეფუძნოს სამ ძირითად პრინციპს: ენერგიის მოხმარების შემცირებას/გონივრულ გამოყენებას ენერგოეფექტურობის გზით, განახლებადი ენერგიის ადგილობრივი პოტენციალის ათვისებას და მუნიციპალური სერვისების კლიმატმედეგ, დაბალემისიურ მოდელზე გადაყვანას.

ოზურგეთის მწვანე განვითარების დღის წესრიგში ენერგეტიკა არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ელექტროენერგიის მიწოდების ან ინფრასტრუქტურის ტექნიკურ საკითხად. ის უნდა გახდეს ადგილობრივი განვითარების ჰორიზონტალური მიმართულება**,** რომელიც უკავშირდება მუნიციპალურ შენობებს, გარე განათებას, წყალმომარაგებასა და წყალარინებას, საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას და ბიზნესს. მუნიციპალიტეტის ენერგეტიკული და კლიმატური დაგეგმვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება, რადგან სკოლები, საბავშვო ბაღები, ადმინისტრაციული შენობები, კულტურისა და სპორტის ობიექტები ხშირად ენერგიის არაეფექტიანი მოხმარების წყაროა. მათი თბოიზოლაცია, ენერგოეფექტური გათბობა-გაგრილების სისტემები, LED განათება და მზის ენერგიის გამოყენება ერთდროულად ამცირებს ხარჯებსაც და ემისიებსაც.

ოზურგეთს აქვს განახლებადი ენერგიის გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობები, განსაკუთრებით მზის ენერგიის მიმართულებით. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მზის პანელების გამოყენება შესაძლებელია საჯარო შენობებზე, საბავშვო ბაღებში, წყლის სატუმბ სადგურებზე, გარე განათების სისტემებში და მცირე

ტურისტულ ან აგროობიექტებში. ეს არ ნიშნავს მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების აუცილებლობას; ადგილობრივი მწვანე განვითარებისათვის უფრო რეალისტური და ეფექტიანია მცირე და საშუალო ზომის განაწილებული ენერგეტიკული გადაწყვეტილებები, რომლებიც ამცირებს მუნიციპალურ ხარჯებს, ზრდის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და ქმნის ადგილობრივ მწვანე გამოცდილებას. მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგრეთვე მიკრო და მცირე ჰიდრო ჰესების მშენებლობების სტიმულირება, რადგან მათი გარემოზე ზემოქმედება სწორი პროექტირების შემთხვევაში უმეტესწილად არაარსებითია, იაფი ენერგიის გენერაციის წყაროა და განახლებადი ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისების საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასევე ქარის ენერგეტიკის ათვისებაც, რაც მინიმალური მოცულობის მიწის გამოყენებას მოითხოვს და მწვანე ენერგიის გენერაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. ბიზნეს სექტორისთვის ხელმისაწვდომია ამ კუთხით დაფინანსების მიღება „აწარმოე საქართველოს“ პროგრამის გამოყენებითაც.

უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ტრანსპორტი და მობილობა. ოზურგეთის მწვანე განვითარების ხედვაში ენერგეტიკული კომპონენტი უნდა მოიცავდეს დაბალემისიური გადაადგილების მხარდაჭერას: მუნიციპალური ავტოპარკის ეტაპობრივ განახლებას, ენერგოეფექტური ან ელექტრო ტრანსპორტის გამოყენების შესაძლებლობების შეფასებასა და ეტაპობრივად შესყიდვას, ქვეითებისა და ველოსიპედისთვის უსაფრთხო სივრცეების განვითარებას, ასევე ტურისტული მარშრუტების ისე დაგეგმვას, რომ შემცირდეს კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზღვისპირა და მთიანი ტურისტული ზონების განვითარებისას. მნიშვნელოვანია ასევე, ე.წ. ჭკვიანი (SMART) პარკინგის სისტემის დანერგვა.

საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის კუთხით საჭიროა თბოიზოლაციის ღონისძიებების აქტიურად გატარება, კერძოდ: კედლების, სახურავის და იატაკის იზოლაცია და ენერგოეფექტური ფანჯრების ინსტალაცია ენერგიის დაკარგვის შესამცირებლად, თანამედროვე გათბობა-გაგრილების (HVAC) სისტემის დანერგვა ნაკლები ენერგიის ხარჯით მუშაობის უზრუნველსაყოფად, LED განათებასა და ავტომატური სენსორების გამოყენებაზე ეტაპობრივად გადასვლა, განახლებადი ენერგიის მისაღებად მზის პანელებისა და სხვა წყაროების აქტიურად გამოყენება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, შეძლებისდაგვარად დაინერგოს ნახევრად ინტენსიური მწვანე გადახურვა ბრტყელ სახურავებზე.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის პროგრამულ ბიუჯეტში ენერგეტიკასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი პროგრამისა და ქვეპროგრამის მარკირება მოხდეს მწვანე ბიუჯეტირების პრინციპით. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს: მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტურობა, გარე განათების მოდერნიზაცია, განახლებადი ენერგიის მცირე პროექტები, წყლისა და წყალარინების ენერგოეფექტური სისტემები, დაბალემისიური ტრანსპორტი და კლიმატმედეგი ინფრასტრუქტურა. თითოეული პროექტისთვის სასურველია განისაზღვროს შედეგის ინდიკატორები – დაზოგილი ელექტროენერგია, შემცირებული ხარჯი, შემცირებული

ემისიები, განახლებული შენობების რაოდენობა, დამონტაჟებული მზის სისტემების სიმძლავრე და ენერგოეფექტური განათების წილი.

ასევე საჭიროა ენერგეტიკული აუდიტების ეტაპობრივი დანერგვა მუნიციპალურ ობიექტებში. აუდიტის გარეშე ენერგოეფექტურობის ღონისძიებები ხშირად ფრაგმენტულია და ვერ იძლევა მაქსიმალურ შედეგს. მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას საჯარო შენობების ენერგომოხმარების საბაზისო მონაცემები და შემდეგ ყოველწლიურად შეაფასოს პროგრესი. ეს ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის უკეთ დაგეგმვას, ისე დონორული და კერძო დაფინანსების მოზიდვას.

ოზურგეთის ენერგეტიკული განვითარების ხედვა მწვანე განვითარების ჭრილში უნდა იყოს პრაქტიკული, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული და ბიუჯეტთან პირდაპირ დაკავშირებული. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ ენერგიის მიწოდებაზე, არამედ ენერგიის გონივრულ მოხმარებაზე, განახლებადი წყაროების გამოყენებაზე და მუნიციპალური სერვისების დაბალემისიურ გარდაქმნაზე. ასეთ შემთხვევაში ენერგეტიკა გახდება არა ცალკე ტექნიკური სფერო, არამედ ოზურგეთის მწვანე ეკონომიკის, კლიმატმედეგობისა და ადგილობრივი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი მიმართულება.

ტურიზმი

ოზურგეთის ტურიზმის განვითარების განსახილველად მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის 2024-2029, ასევე „მწვანე გურიის“ პროექტის ტურიზმის/მარკეტინგის მასალები და საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის მდგრადი ტურიზმის ხედვა. გურიის ტურიზმის მასალებში აქცენტი კეთდება ეკო, აგრო, სათავგადასავლო და კულტურული ტურიზმის პოტენციალზე. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის ძირითადი მიზანიც არის მდგრადი ტურიზმის განვითარება, შემოსავლების ზრდა და ბუნებრივი/კულტურული რესურსების მაღალი ხარისხის ტურისტულ პროდუქტად გარდაქმნა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა, რადგან ის აერთიანებს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, სოფლის განვითარებას, ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვას, მცირე ბიზნესის გაძლიერებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. რადგან ოზურგეთის ტურისტული პოტენციალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ზღვისპირა დასვენებით, არამედ მთის, სოფლის, აგრო, ეკო, კულტურული, გასტრონომიული და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობით, აღნიშნული განსაკუთრებით გამოკვეთს მწვანე განვითარების პერსპექტივებს. მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს ტურიზმში მდგრადობის ასპექტი, ადგილობრივმა მოსახლეობამ ტურიზმი შესაძლოა აქციოს შემოსავლის წყაროდ ისე, რომ არ მოხდეს ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული გამოყენება ან გარემოზე ზეწოლის ზრდა. გურიაში არაერთი ტურისტული

ატრაქციაა (დანართი 2), რომელთა გონივრული მარკეტინგი სასურველი ტურისტული ნაკადების მოზიდვის საშუალებად შესაძლოა იქცეს.

ოზურგეთის ტურიზმის განვითარების ხედვა უნდა გადავიდეს სეზონური და ფრაგმენტული მოდელიდან ინტეგრირებულ მწვანე ტურისტულ პროდუქტზე. მუნიციპალიტეტის უპირატესობაა მრავალფეროვანი ლანდშაფტი – ზღვისპირეთი, სოფლის დასახლებები, მთიანი სივრცეები, მდინარეები, ტყეები, ტრადიციული მეურნეობა, ადგილობრივი სამზარეულო და კულტურული მემკვიდრეობა. ეს ქმნის შესაძლებლობას, განვითარდეს მცირე მასშტაბის, ადგილობრივ თემებზე დაფუძნებული ტურიზმი, რომელიც მოიცავს საოჯახო სასტუმროებს, ადგილობრივი პროდუქტის რეალიზაციას, აგროტურისტულ გამოცდილებას, ეკობილიკებს, კულტურულ ღონისძიებებსა და მწვანე მარშრუტებს. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლებისთვის, რადგან ტურიზმის შემოსავლები შეიძლება გადანაწილდეს არა მხოლოდ ქალაქსა და სანაპირო ზონებზე, არამედ შიდა სოფლებზეც.

ტურიზმი ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირების სისტემაში უნდა განიხილებოდეს, როგორც გარემოსდაცვითი და ეკონომიკური პროგრამების დამაკავშირებელი სფერო. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება – გზები, ბილიკები, განათება, საპარკინგე სივრცეები, სანიტარული კვანძები, ნარჩენების შეგროვება, წყალი და საზოგადოებრივი სივრცეები – უნდა დაიგეგმოს კლიმატმედეგი და ენერგოეფექტური პრინციპებით. მაგალითად, ტურისტულ ზონებში შესაძლებელია ენერგოეფექტური განათების, ნარჩენების სეპარირების, წყლის დაზოგვის სისტემების, ეკომეგობრული საინფორმაციო დაფებისა და ბუნებაზე მინიმალური ზემოქმედების მქონე ინფრასტრუქტურის გამოყენება. ეს გაზრდის როგორც ტურისტული პროდუქტის ხარისხს, ისე მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვით შედეგებს.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ადგილობრივი დაცული ტერიტორიის (გურიის ეროვნული პარკი) სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტების გააზრება ტურიზმის სტიმულირების ჭრილში და მუნიციპალური მიდგომების განსაზღვრა ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული და მომგებიანი ტურიზმის სახეების განვითარების ხელშეწყობად.

ამავე დროს, გამოწვევები საკმაოდ მკაფიოა:

- ტურიზმის პოტენციალი ჯერ კიდევ არასრულად არის კომერციალიზებული და შეფუთული ერთიან პროდუქტად. ბევრი რესურსი არსებობს, მაგრამ ნაკლებია მარშრუტები, პაკეტები, პროფესიული გიდები, ხარისხიანი მომსახურება და ციფრული პოპულარიზაცია.
- ინფრასტრუქტურის არასაკმარისი ხარისხი, განსაკუთრებით სოფლისა და ბუნებრივი ტურისტული ობიექტების მიმართულებით.
- გარემოზე ზეწოლის რისკი. თუ ტურიზმი განვითარდება ნარჩენების მართვის, წყლის რესურსების დაცვისა და ეკოსისტემების დატვირთვის გათვალისწინების გარეშე, მწვანე განვითარების მიზნები შეიძლება ფორმალური დარჩეს.

- კადრებისა და მომსახურების ხარისხი. საოჯახო სასტუმროებს, კვების ობიექტებსა და მცირე ტურისტულ ბიზნესებს სჭირდებათ ტრენინგები, სტანდარტები, მარკეტინგული მხარდაჭერა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ტურიზმის მიმართულება მკაფიოდ დაუკავშიროს მწვანე ბიუჯეტირებას. ბიუჯეტში ტურიზმთან დაკავშირებული პროექტები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ვიზიტორების რაოდენობით, არამედ გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგებითაც: რამდენი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა, რამდენმა მცირე ბიზნესმა მიიღო სარგებელი, რამდენი ტურისტული ობიექტი აღიჭურვა ნარჩენების მართვის სისტემით, რამდენი მარშრუტი გახდა ეკომეგობრული და რამდენად გაიზარდა ადგილობრივი პროდუქტის გამოყენება ტურისტულ სერვისებში. ასევე საჭიროა აგრო და ეკოტურიზმის მხარდაჭერის პროგრამების დაკავშირება სოფლის განვითარების, მცირე მეწარმეობის, ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების ღონისძიებებთან.

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გამახვილდეს ადგილობრივი უნიკალური, კრეატიული და იუმორისტული პოტენციალის გამოყენებაზე, რეგიონის უნიკალურად პოზიციონირების (ბრენდინგისა და მარკეტინგის მიზნებით) თუ დადებითი განწყობების კულტივირებისთვის.

აუცილებელია, ხაზი გაესვას მწვანე მარშრუტების შექმნის საჭიროებას, რომლებიც დააკავშირებს სოფლის მეურნეობას, ადგილობრივ პროდუქტს, ბუნებრივ ლანდშაფტებსა და კულტურულ მემკვიდრეობას. მუნიციპალიტეტმა საჭიროა ხელი შეუწყოს თემზე დაფუძნებულ ტურისტულ ქსელებს, საოჯახო სასტუმროების ენერგოეფექტურ განახლებას, ადგილობრივი ბრენდების განვითარებას, ციფრული რუკებისა და ონლაინ პლატფორმების შექმნას, ასევე ტურისტულ ობიექტებთან ნარჩენების მართვის მინიმალური სტანდარტების დანერგვას. ამასთან, ტურიზმის განვითარება უნდა იყოს კოორდინირებული ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან, კერძო სექტორთან, სოფლის განვითარების სააგენტოსთან, გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან.

აუცილებელია ტურისტული საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. გამოიკვეთა სათანადო ტურისტული რუკებისა და საინფორმაციო ბროშურების საჭიროება, რამაც პოტენციურ ტურისტსა თუ დამსვენებლებს საშუალება უნდა მისცეს, უკეთ გაეცნონ ოზურგეთის მრავალფეროვან ტურისტულ ატრაქციებს მათი შესაძლო ინტერესების გათვალისწინებით: სათავგადასავლო მარშრუტები, ეკოტურიზმის (დაცული ტერიტორიების მონახულება, ფლორასა და ფაუნაზე დაკვირვება, უნიკალური დანიშნულების ადგილების მონახულება და სხვა), კულტურული, შემეცნებით-გასართობი (მუზეუმები, ისტორიული ადგილები, ხუროთმოძღვრების ძეგლები, პარკები, საკონცერტო დარბაზი, თეატრი და სხვა) დღესასწაულები, ადგილობრივი აგროტურისტული შესაძლებლობები, მთის და ზღვის საკურორტო შესაძლებლობები და ა.შ.

ოზურგეთის ტურიზმის განვითარების ხედვა მწვანე განვითარების ჭრილში უნდა დაეფუძნოს არა მასობრივ და გარემოზე მაღალი ზეწოლის მქონე ტურიზმს, არამედ ადგილობრივ რესურსებზე, ხარისხზე, ეკოლოგიურ პასუხისმგებლობასა და თემების ჩართულობაზე დაფუძნებულ მოდელს. მუნიციპალიტეტის მთავარი შესაძლებლობაა ზღვის, სოფლის, მთის, კულტურისა და აგრარული პოტენციალის ერთიან მწვანე ტურისტულ პროდუქტად გარდაქმნა. მთავარი რისკია ამ პოტენციალის ფრაგმენტული განვითარება ინფრასტრუქტურის, გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და პროფესიული სერვისების გარეშე. შესაბამისად, ოზურგეთისთვის ტურიზმი უნდა გახდეს მწვანე ეკონომიკის პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც ერთდროულად გაზრდის ადგილობრივ შემოსავლებს, დაიცავს ბუნებრივ რესურსებს და გააძლიერებს მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებას.

სატყეო სექტორი

ოზურგეთის სატყეო სექტორის ანალიზის მიზნით შესწავლილ იქნა საქართველოს სატყეო სექტორის მიმდინარე ჩარჩო: ეროვნული სატყეო სააგენტოს განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2026, საქართველოს ტყის კოდექსი, რომელიც ტყის მოვლას, დაცვასა და აღდგენას უკავშირებს კლიმატურ, წყალმარეგულირებელ, დაცვით და გამაჯანსაღებელ ფუნქციებს, ასევე ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას 2024-2029.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყის ფართობი **17 021** ჰექტარს შეადგენს. ტყის მცენარეულ საფარში გავრცელებულია ისეთი სახეობები, როგორიცაა წაბლი, რცხილა, წიფელი და თხმელა, ხოლო ქვეტყეში გვხვდება მოცვი, შქერი და წყავი. ბუნებრივი ტყის მასივები ძირითადად შემორჩენილია მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ მაღალმთიან ნაწილში. ზღვის დონიდან 700-1 700 მეტრის სიმაღლეზე გავრცელებულია ფოთლოვანი ტყეები, სადაც ჭარბობს მურყანი, რცხილა და წიფელი, ხოლო 1 700-2 100 მეტრის ზონაში წარმოდგენილია წიწვოვანი ტყეები – ფიჭვი, სოჭი და ნაძვი. მუნიციპალიტეტის ტყეები ასევე მდიდარია ფაუნით. აქ გვხვდება დათვი, შველი, კვერნა, ტურა, ფოცხვერი, ციყვი, მგელი, თხუნელა, ზღარბი, მაჩვი, კურდღელი და სინდიოფალა. ფრინველებიდან გავრცელებულია ძერა, ყვავი, ორბი, შაშვი, ჩხართვი, გარეული იხვი, ჭაობის ქათამი, ნიბლია, კოდალა, თავშავა, გულწითელა და ქორი. გაზაფხულზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩნდებიან გადამფრენი ფრინველებიც, მათ შორის ღაჟო, იადონი, მწყერი, ოფოფი, გვრიტი და მწიფობელა/კვირკვილი.[19]

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში სატყეო სექტორი ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა, ტყე უზრუნველყოფს სხვადასხვა ეკოსისტემურ სერვისებს, ბუნებრივი რესურსების (უზრუნველყოფითი ეკოსისტემური სერვისი) გარდა, ის ერთდროულად ასრულებს კლიმატის რეგულირების, წყალმარეგულირებელ, ნიადაგდაცვით, ბიომრავალფეროვნების, რეკრეაციულ და ეკონომიკურ ფუნქციებს. ოზურგეთისთვის, როგორც ზღვისპირა, სოფლისა და

19. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი მონაცემები, გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში, https://guria.gov.ge/geo/static/179

მთიანი ლანდშაფტების მქონე მუნიციპალიტეტისთვის, ტყის მდგრადი მართვა პირდაპირ უკავშირდება კლიმატმედეგობას, ტურიზმის განვითარებას, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებას და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს.

სატყეო სექტორი ოზურგეთის მწვანე განვითარების დღის წესრიგში უნდა განიხილებოდეს არა როგორც მხოლოდ რესურსის გამოყენების სფერო, არამედ როგორც ეკოსისტემური სერვისების დაცვისა და ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველი. ტყეები ამცირებს ეროზიის, მეწყრისა და წყალდიდობის რისკებს, ხელს უწყობს წყლის რესურსების დაცვას, ქმნის ტურისტულ და რეკრეაციულ პოტენციალს და აძლიერებს მუნიციპალიტეტის კლიმატურ მდგრადობას. შესაბამისად, ტყის დაცვა და აღდგენა პირდაპირ უკავშირდება როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს.

ოზურგეთის ტყისა და მწვანე სივრცეების პოტენციალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკოტურიზმის, სოფლის ტურიზმისა და გარემოსდაცვითი განათლების განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტს აქვს ბუნებრივი ლანდშაფტები, მთიანი ზონები, ტყეები, მდინარეები და რეკრეაციული სივრცეები, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს მწვანე ტურისტულ მარშრუტებში. თუმცა ეს განვითარება უნდა იყოს დაბალზემოქმედებითი: ბილიკები, საინფორმაციო დაფები, დასასვენებელი სივრცეები, ნარჩენების მართვის სისტემა და ვიზიტორთა ნაკადების მართვა უნდა დაიგეგმოს ისე, რომ არ გაიზარდოს ტყის ეკოსისტემებზე ზეწოლა.

უმნიშვნელოვანესია ასევე კლიმატის ცვლილების ასპექტის გააზრება. ტყე ოზურგეთისთვის მნიშვნელოვანია როგორც კლიმატის შერბილების, ისე ადაპტაციის მიმართულებით. ერთი მხრივ, ტყეები შთანთქავს ნახშირორჟანგს და ინახავს ნახშირბადს; მეორე მხრივ, ისინი ამცირებს ექსტრემალური ამინდის, ძლიერი ნალექის, მეწყრის, ეროზიისა და წყლის რეჟიმის დარღვევის რისკებს. ამიტომ მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტირების სისტემაში სატყეო და მწვანე ინფრასტრუქტურის პროექტები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ტერიტორიის კეთილმოწყობის, არამედ კლიმატური სარგებლის მიხედვითაც.

ოზურგეთის სატყეო სექტორთან დაკავშირებით არაერთი გამოწვევა იკვეთება:

- ადგილობრივ დონეზე ხშირად სუსტია ტყესთან დაკავშირებული მონაცემები. ტყის მდგომარეობა, დეგრადირებული უბნები, მეწყერსაშიში ზონები, ეკოტურისტული დატვირთვა და ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა სრულყოფილად არ არის ინტეგრირებული მუნიციპალურ დაგეგმვაში.
- ტყის რესურსებზე სოციალური დამოკიდებულება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა შეშის მოხმარების ნაწილში, რაც ენერგეტიკული სიღარიბისა და არაეფექტიანი გათბობის სისტემების პრობლემასაც უკავშირდება.
- ეკოტურიზმის განვითარება გარემოსდაცვითი სტანდარტების გარეშე. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ნარჩენების დაგროვება, ბილიკების დეგრადაცია და ბუნებრივ ჰაბიტატებზე ზეწოლა.

- უწყებათაშორისი კოორდინაცია. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ტყის და დაცული ტერიტორიების მართვა ძირითადად ცენტრალური კომპეტენციის სფეროა, ხოლო ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი როლი აქვს სივრცით დაგეგმვაში, ტურიზმში, ნარჩენების მართვაში, ცნობიერების ამაღლებასა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

რეკომენდებულია**,** რომ ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირების პროცესში ცალკე გამოიკვეთოს სატყეო სექტორთან დაკავშირებული პროგრამები და აქტივობები. მათ შორის შეიძლება იყოს: დეგრადირებული ფერდობებისა და მწვანე სივრცეების აღდგენა, მეწყერსაშიში და ეროზიული ზონების პრევენციული გამწვანება, ეკობილიკების მოწყობა, ტყესთან დაკავშირებული ნარჩენების მართვა, გარემოსდაცვითი განათლება, სკოლებისა და თემების ჩართულობა, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის ენერგოეფექტურ გათბობაზე ეტაპობრივი გადასვლის ხელშეწყობა. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია, რადგან ტყეზე ზეწოლის შემცირება მხოლოდ კონტროლით ვერ მოხდება; საჭიროა ალტერნატიული და უფრო ეფექტიანი ენერგეტიკული გადაწყვეტილებების შეთავაზებაც.

სასურველია, მუნიციპალიტეტმა ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ადგილობრივ განვითარების ჯგუფთან, გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და თემებთან ერთად შექმნას ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული სატყეო და მწვანე ინფრასტრუქტურის ღონისძიებების პაკეტი. ამ პაკეტში უნდა განისაზღვროს კონკრეტული ინდიკატორები: აღდგენილი ან დაცული მწვანე სივრცეების ფართობი, მოწყობილი ეკობილიკების რაოდენობა, ნარჩენების მართვის სისტემით დაფარული ტურისტული ობიექტები, გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართული მოსახლეობა, შემცირებული ეროზიული რისკის მქონე უბნები და ენერგოეფექტური გათბობის გადაწყვეტილებებით მოსარგებლე ოჯახები ან მუნიციპალური ობიექტები.

ოზურგეთის სატყეო სექტორი მწვანე განვითარების ჭრილში უნდა დაეფუძნოს ტყის, როგორც ეკოსისტემური, კლიმატური და ეკონომიკური აქტივის აღქმას. მთავარი შესაძლებლობაა ტყის, მთის, სოფლისა და ტურიზმის პოტენციალის დაკავშირება მდგრად ადგილობრივ განვითარებასთან. მთავარი რისკია ტყის რესურსების ფრაგმენტული გამოყენება და გარემოზე ზეწოლის ზრდა სათანადო დაგეგმვის გარეშე. შესაბამისად, ოზურგეთისთვის სატყეო სექტორი უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც აერთიანებს კლიმატმედეგობას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ეკოტურიზმს, ენერგოეფექტურობას და ადგილობრივი თემების ეკონომიკურ გაძლიერებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ასევე შეუძლია მის დაქვემდებარებაში არსებული სატყეო უბნების მულტიფუნქციური გამოყენების საკითხების (ეკოსისტემური სერვისების იდენტიფიცირება, ტყის უზრუნველყოფის ფუნქციის ჭრილში მარაგების და პოტენციალის შესწავლის, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებისა

და დამოკიდებულებების და ა.შ.) შესწავლის სტიმულირება, რაც ტყის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს არსებული პოტენციალის ხაზგასმით და ადგილობრივი შესაძლებლობების სტიმულირების სხვადასხვა მიმართულებებს კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს (ტურისტული მიზნით, აპიკულტურის განვითარების, სამკურნალო მცენარეებისა და ტყის ეკოლოგიურად სუფთა ნობათის შეგროვების თუ სხვა მიმართულებებით).

სატყეო სექტორის ხედვა ოზურგეთის მწვანე განვითარების ჭრილში საჭიროა უფრო მეტად დაეფუძნოს ტყის არა მხოლოდ რესურსად, არამედ კლიმატური მდგრადობის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, წყლის რეგულირების, ნიადაგდაცვითი ფუნქციისა და ეკოტურიზმის განვითარების ბუნებრივ საფუძვლად აღქმას. მუნიციპალიტეტის მთავარი შესაძლებლობაა ტყის, მთის, სოფლისა და რეკრეაციული პოტენციალის დაკავშირება მდგრად ადგილობრივ განვითარებასთან, მათ შორის ეკობილიკების, ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმის, გარემოსდაცვითი განათლებისა და მეწყერსაშიში/ეროზიული ზონების პრევენციული გამწვანების გზით. მთავარი რისკია ტყის რესურსების ფრაგმენტული გამოყენება, ტყის მდგომარეობის შესახებ არასაკმარისი მონაცემები, შეშაზე სოციალური დამოკიდებულება და ეკოტურიზმის განვითარებისას გარემოზე ზეწოლის ზრდა შესაბამისი მართვის სტანდარტების გარეშე. შესაბამისად, ოზურგეთისთვის სატყეო სექტორი უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ერთდროულად გააძლიერებს კლიმატმედეგობას, დაიცავს ბუნებრივ რესურსებს, შეამცირებს სტიქიურ რისკებს და შექმნის მდგრადი ეკოტურიზმისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დამატებით შესაძლებლობებს.

ინიციატივა განხილვისთვის

2025 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ეროვნულმა სატყეო სააგენტომ შეიმუშავეს საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობის მექანიზმი საქართველოში ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში, რომლის ძირითადი მიზანიც ტყის მართვის გეგმების მომზადებაში ადგილობრივი თემების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვაა.

მიდგომის შემუშავება დაეფუძნა სადემონსტრაციო სათათბიროების შექმნას საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში, სადაც საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, მერის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ტყის მართვის ადგილობრივი სათათბიროები და დამტკიცდა შესაბამისი დებულებები.

სათათბიროს ფუნქციებად განისაზღვრა ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან კოორდინაცია და ადგილობრივი თვითმმართველობისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტყეების მართვის დაგეგმვის პროცესში.

ეროვნული სატყეო სააგენტოს გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ოზურგეთის ტყეების ინვენტარიზაცია და ტყის მართვის 10-წლიანი გეგმების შემუშავების პროცესი უახლოეს პერიოდში უნდა დასრულდეს. ეს გარემოება და სამინისტროს მიერ დანერგილი მოდელის აქტუალობა ქმნის ოპტიმისტური ვარაუდის საფუძველს, რომ აღნიშნული მიმართულებით მერიის მიერ ინიციატივის გამოჩენას აუცილებლად მოყვება სრული მხარდაჭერა როგორც სამინისტროსა და სააგენტოს, ასევე მათი მხარდაჭერის პროგრამების მხრიდან, რომელშიც უშუალოდ იქნება ჩართული CENN-ც და შეძლებს თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ნარჩენების მართვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის საკანონმდებლო ჩარჩოს მიღმა ნარჩენების მართვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტებია: ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, სადაც მოქმედი პოლიტიკის მიზანია ნარჩენების მართვის სისტემის ევროკავშირის მიდგომებთან ჰარმონიზება, ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა. ეროვნული ჩარჩო ნარჩენების მართვას აყალიბებს იერარქიით: პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება, სხვა სახის აღდგენა და განთავსება.

2025 წლის მონაცემებით, დაახლოებით **18 ათას ტონამდე მუნიციპალური ნარჩენი შეგროვდა, მ.შ. 16 ტონა პლასტიკი, დაიპრესა და გაიყიდა 8 ტ პლასტიკი.** ამასთან, 2025 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენერირებულია 5 ტ გამწვანების ნარჩენები. 2025 წლის მოქმედი საბიუჯეტო დოკუმენტაციის მიხედვით, ნარჩენების შეგროვება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **1 572 ურნიდან/ კონტეინერიდან**, ქალაქის ტერიტორიას ემსახურება **4 ნაგავმზიდი**, ხოლო სოფლებისა და დაბების ტერიტორიებს – **7 ნაგავმზიდი**, ანუ ჯამში **11 ნაგავმზიდი**. ამავე დოკუმენტში წერია, რომ არსებული მდგომარეობით ყოველდღიურად სუფთავდება **356 680 მ²**, ხოლო 2025 წლისთვის დაგეგმილია დამატებით **40 000 მ²-ის** ჩართვა, ჯამში **396 680 მ²-ის** ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება. შემდგომი, 2026 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში უკვე მითითებულია **1 800 ურნა**, რაც შეიძლება მიუთითებდეს კონტეინერების რაოდენობის ზრდაზე 2025 წლის ბოლოს/2026 წლიდან. იგივე დოკუმენტი კვლავ ადასტურებს 4 ნაგავმზიდს ქალაქისთვის და 7 ნაგავმზიდს სოფლებისა და დაბებისთვის, ასევე 396 680 მ² ყოველდღიურად დასასუფთავებელ ფართობს. ნარჩენების გადაადგილების მხრივ, ოზურგეთისა და სანაპირო ზოლზე წარმოქმნილი ნარჩენები გროვდება **ურეკის ნარჩენების გადამტვირთავ სადგურზე**, საიდანაც შემდგომ ხდება მათი გადატანა შესაბამის ნაგავსაყრელ პოლიგონზე (დანართი 3). მუნიციპალიტეტის მიერ გაზიარებული ინფორმაციით, 2026 წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული იყო 1,1 მ³ მოცულობის 1400 ერთეული ურნა შერეული ნარჩენების შეგროვებისათვის. 2026 წელს კი მუნიციპალიტეტმა

განახორციელა 450 ერთეული ურნის შესყიდვა. გარდა ამისა, ქალაქ ოზურგეთში და საზღვაო სანაპირო კურორტებზე განლაგებულია 100 კონტეინერი პლასტიკის სეპარირებისათვის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში ნარჩენების მართვა ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული და ხილვადი მიმართულებაა, რადგან ის პირდაპირ უკავშირდება გარემოს ხარისხს, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ტურიზმის განვითარებას, სოფლისა და სანაპირო ზონების მიმზიდველობას, ასევე, კლიმატისა და ბუნებრივი რესურსების დაცვას. ნარჩენების სექტორის თანამედროვე ხედვა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ნაგვის შეგროვებითა და გატანით; ის უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას, სეპარირებულ შეგროვებას, რეციკლირებას, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვას, არალეგალური ნაგავსაყრელების პრევენციას და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2025 წელს დაიხურა 10 მცირე ზომის სტიქიური ნაგავსაყრელი, რაც ამ მხრივ მუნიციპალიტეტის პროაქტიურ ქმედებებზე მიუთითებს.

ოზურგეთისთვის ნარჩენების მართვა მწვანე განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. მუნიციპალიტეტს აქვს ზღვისპირა, სოფლის, მთისა და ტურისტული სივრცეები, სადაც ნარჩენების არასწორი მართვა სწრაფად აზიანებს ბუნებრივ გარემოს, ვიზუალურ იერსახეს და ტურისტულ პოტენციალს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეკვეთილის, ურეკის, გომისმთის, შემოქმედის, აჭისა და სხვა ტურისტული ან რეკრეაციული მიმართულებების სისუფთავის უზრუნველყოფა. მწვანე განვითარების ჭრილში ნარჩენების მართვა უნდა დაუკავშირდეს ტურიზმს, სოფლის განვითარებას, გარემოსდაცვით განათლებას და ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადობას.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის ნარჩენების პოლიტიკაში ეტაპობრივად უნდა გაძლიერდეს ნარჩენების სრულად, პრაქტიკული გამოყენება. დღეს მუნიციპალურ დონეზე ძირითადი აქცენტი კვლავ შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე მოდის, თუმცა მწვანე განვითარებისათვის საჭიროა დამატებით ისეთ საკითხებზე უფრო მეტად ფოკუსირება, როგორიცაა: ნარჩენების პრევენცია, მრავალჯერადი გამოყენება, სეპარირება და რეციკლირება. აღსანიშნავია, რომ პლასტიკის სეპარირებისა და შეგროვების პროცესი დაწყებულია და ამჯერად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქაღალდის, მინის, ლითონისა და ორგანული ნარჩენების ცალკე შეგროვების საპილოტე ან ეტაპობრივი სისტემის დანერგვა ისეთ ადგილებში, სადაც მაღალია ნარჩენების წარმოქმნა – ბაზრები, სკოლები, საბავშვო ბაღები, ადმინისტრაციული შენობები, ტურისტული ობიექტები, პარკები და სანაპირო ზონები.

მნიშვნელოვანი საკითხია ასევე ნარჩენების კლიმატის ცვლილების კონტექსტში გააზრება. ნარჩენების სექტორი კლიმატთან დაკავშირებულია, განსაკუთრებით ორგანული ნარჩენების დაშლისას წარმოქმნილი მეთანის გამო. შესაბამისად, ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირებაში ნარჩენების მართვის ღონისძიებები შეიძლება ჩაითვალოს როგორც გარემოსდაცვით, ისე კლიმატის შერბილების მიმართულებადაც, თუ ისინი ამცირებს ნარჩენების განთავსებას, ზრდის რეციკლირებას,

ხელს უწყობს კომპოსტირებას და ამცირებს არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობას.

გამოწვევები რამდენიმე მიმართულებით იკვეთება:

- სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების სუსტი პრაქტიკა. თუ ნარჩენები ერთიან ნაკადად გროვდება, შემდგომი გადამუშავება რთულდება და მუნიციპალიტეტი რჩება მხოლოდ გატანის სისტემაზე დამოკიდებული.
- მოსახლეობისა და ბიზნესის ცნობიერების არასაკმარისი დონე. მოქალაქეებს ხშირად არ აქვთ მკაფიო ინფორმაცია, რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება, დახარისხება და არალეგალური დაყრის თავიდან აცილება.
- ტურისტულ სეზონზე ნარჩენების მოცულობის ზრდა. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია ზღვისპირა და რეკრეაციულ ზონებში.
- მონაცემების ნაკლებობა. მწვანე ბიუჯეტირებისთვის საჭიროა ზუსტი ინფორმაცია წარმოქმნილი, შეგროვებული, სეპარირებული, რეციკლირებული და განთავსებული ნარჩენების მოცულობის შესახებ.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის პროგრამულ ბიუჯეტში ნარჩენების მართვის ქვეპროგრამები უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს მწვანე განვითარების შედეგებს. ბიუჯეტში უნდა გამოიყოს არა მხოლოდ დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ხარჯები, არამედ სეპარირებული შეგროვების, რეციკლირების ხელშეწყობის, კომპოსტირების, ცნობიერების ამაღლების, ტურისტული ზონების ნარჩენების მართვისა და არალეგალური ნაგავსაყრელების პრევენციის ღონისძიებები. თითოეულ მიმართულებას უნდა ჰქონდეს გაზომვადი ინდიკატორები: რამდენი დასახლება დაფარა რეგულარულმა შეგროვებამ, რამდენი სეპარირების კონტეინერი განთავსდა, რამდენი ტონა ნარჩენი იქნა გადაცემული რეციკლირებისთვის, რამდენი არალეგალური ნაგავსაყრელი აღმოიფხვრა, რამდენ სკოლაში ჩატარდა გარემოსდაცვითი კამპანია და რამდენ ტურისტულ ობიექტზე გაუმჯობესდა ნარჩენების მართვის სისტემა.

სასურველია, მუნიციპალიტეტმა დაიწყოს სეპარირებული შეგროვების საპილოტე მოდელი რამდენიმე მაღალი დატვირთვის ზონაში – მაგალითად, ადმინისტრაციულ შენობებში, სკოლებში, სანაპირო ან ტურისტულ სივრცეებში. ნარჩენების მართვის კომპანიის მოთხოვნით, ნარჩენების სეპარირებისათვის დამატებით საჭიროა 300 ცალი ურნა, კერძოდ: ქაღალდი-მუყაოს სეპარირებისათვის – 100 ც, მინისათვის – 100 ც**,** პლასტმასისთვის – 100 ც.

ასევე, მნიშვნელოვანია ორგანული ნარჩენების მართვის შესაძლებლობის შეფასება, განსაკუთრებით ბაზრების, აგროსექტორისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების მიმართულებით. კომპოსტირების მცირე მოდელები შეიძლება სასარგებლო იყოს სოფლებისთვის, საბავშვო ბაღებისა და სკოლებისთვისაც, რადგან

ამ გზით ნარჩენების ნაწილი აღარ მოხვდება საერთო ნაკადში. შესაბამისად, საჭიროა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისა და კომპოსტირების სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება; განსაკუთრებით აქტუალურია მწვანე მასის ნარჩენების შეგროვების და კომპოსტირების ობიექტის მოწყობა, სადაც კომპოსტირებული მასა გამოყენებული იქნებოდა ქალაქის ტერიტორიაზე სკვერებში, პარკებში და მწვანე გაზონებზე მცენარეების მოვლა-შენახვის პროცესში.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს ესაჭიროება ინერტული ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება.

დამატებით საჭიროა კერძო სექტორთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობა. საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, მაღაზიები, ბაზრები და ტურისტული სერვისები უნდა ჩაერთონ ნარჩენების შემცირების და სეპარირების პროცესში. მუნიციპალიტეტმა შეიძლება შეიმუშაოს მარტივი მწვანე სტანდარტები ტურისტული ობიექტებისთვის – სისუფთავე, სეპარირებული ურნები, პლასტიკის შემცირება, საინფორმაციო ნიშნები და ნარჩენების პასუხისმგებლიანი მართვა.

ოზურგეთის ნარჩენების სექტორის ხედვა მწვანე განვითარების ჭრილში სასურველია, ეტაპობრივად გადავიდეს ტრადიციული დასუფთავების მოდელიდან რესურსეფექტიან და პრევენციაზე დაფუძნებულ მოდელზე. მთავარი შესაძლებლობაა ნარჩენების მართვის დაკავშირება ტურიზმთან, სოფლის განვითარებასთან, კლიმატის პოლიტიკასთან და მოქალაქეთა გარემოსდაცვით კულტურასთან. მთავარი გამოწვევაა სეპარირების, რეციკლირების, მონაცემებისა და ცნობიერების არასაკმარისი დონე. შესაბამისად, ოზურგეთისთვის ნარჩენების მართვა უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც გაზომავს არა მხოლოდ გაწეულ ხარჯს, არამედ გარემოზე რეალურ დადებით შედეგს.

წყლის სექტორი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში წყლის სექტორი ერთ-ერთი საბაზისო მიმართულებაა, რადგან ის პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის ჯანმრთელობას, სოფლის მეურნეობას, ტურიზმს, სანაპირო ზონების განვითარებას, ეკოსისტემების დაცვას და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობას. წყლის სექტორის ხედვა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სასმელი წყლის მიწოდებით; ის უნდა მოიცავდეს წყალმომარაგებას, წყალარინებას, ჩამდინარე წყლების მართვას, მდინარეებისა და წყაროების დაცვას, წყალდიდობისა და მეწყრული რისკების შემცირებას, ასევე წყლის რესურსების სააუზო მართვას.

ოზურგეთისთვის წყალი მწვანე განვითარების როგორც ინფრასტრუქტურული, ისე ეკოლოგიური საფუძველია. მუნიციპალიტეტის მდინარეთა სისტემა შავი

ზღვის აუზს უკავშირდება, ხოლო სუფსა, ნატანები, ბჟუჟი, ჩოლოქი და სხვა მდინარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ბუნებრივი ეკოსისტემების, ისე სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებაში. შესაბამისად, წყლის რესურსების დაცვა პირდაპირ კავშირშია ოზურგეთის მწვანე ეკონომიკასთან – სუფთა მდინარეები და სანაპირო გარემო აუცილებელია ტურიზმისთვის, აგრარული წარმოებისთვის, რეკრეაციული სივრცეებისთვის და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისთვის.

უმნიშვნელოვანესი საკითხია წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ბოლო წლებში ოზურგეთში მიმდინარეობს ქალაქისა და დასახლებების წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია. საჯარო წყაროების მიხედვით, ქალაქ ოზურგეთის 24-საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფისთვის ხორციელდება დაახლოებით 48 მილიონი ლარის ღირებულების პროექტი, რაც მიუთითებს წყლის ინფრასტრუქტურის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. ასევე დასრულებულ პროექტებად სახელდება დაბა ურეკში წყალმომარაგება-წყალარინების პროექტირება-მშენებლობა და სოფელ ზემო ნატანების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ამ მიმართულებით პროგრესი მნიშვნელოვანია, რადგან ხარისხიანი და უწყვეტი წყალმომარაგება მწვანე განვითარების აუცილებელი პირობაა, განსაკუთრებით ტურისტული ზონების, სოფლებისა და სანაპირო დასახლებებისთვის.

წყლის სექტორში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წყალარინებასა და ჩამდინარე წყლების მართვას. თუ წყალმომარაგების გაუმჯობესება არ იქნება დაკავშირებული კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების განვითარებასთან, გარემოზე ზეწოლა გაიზრდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურეკის**,** შეკვეთილისა და სხვა სანაპირო**/**ტურისტული ზონებისთვის, სადაც სეზონურად იზრდება წყლის მოხმარება და ჩამდინარე წყლების მოცულობა. მწვანე განვითარების ჭრილში წყალარინება უნდა განიხილებოდეს როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე გარემოსდაცვით პრიორიტეტად, რადგან დაუმუშავებელი ან არასათანადოდ მართული ჩამდინარე წყლები აზიანებს მდინარეებს, ნიადაგს, სანაპირო ეკოსისტემებსა და შავი ზღვის გარემოს.

წყლის რესურსების სააუზო მართვა ამ პროცესში საკვანძო საკითხია. საქართველოს ახალი კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ წყლის მართვას აფუძნებს სააუზო პრინციპზე, რაც ნიშნავს, რომ წყლის რესურსების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვრების, არამედ მდინარის აუზის მიხედვით. ეს მიდგომა ოზურგეთისთვის განსაკუთრებით რელევანტურია, რადგან მუნიციპალიტეტის წყლის რესურსები დაკავშირებულია როგორც მთიან და სოფლის ტერიტორიებთან, ისე შავი ზღვის სანაპირო ზონასთან. სააუზო მართვა მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას, წყლის ხარისხი, წყლის მოხმარება, წყალდიდობის რისკები, სანაპირო ეკოსისტემები, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ერთიან სისტემად განიხილოს.

წყლის რესურსების სააუზო მართვის ახალი ჩარჩო მუნიციპალიტეტისთვის ქმნის არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ, არამედ დაგეგმვით და კოორდინაციულ ვალდებულებებსაც. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა მიიღოს მონაწილეობა წყალმომარაგებისა და ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვება-გაწმენდის პროექტების მომზადებაში, დაამტკიცოს სასმელი წყლის ობიექტების სანიტარული დაცვის ზონების პროექტები, მოსახლეობას გააცნოს ამ ზონების საზღვრები და რეჟიმები, მართოს ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსები და მონაწილეობა მიიღოს სააუზო მართვის გეგმების განხილვასა და საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების მუშაობაში. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ წყლის სექტორის პროგრამები უნდა დაიგეგმოს მდინარის აუზის ლოგიკით და მოიცავდეს წყლის რესურსების დაცვას, წყალარინებას, ჩამდინარე წყლების მართვას, წყალდიდობისა და ეროზიის პრევენციას, მდინარისპირა ზონების დაცვას და წყლის ხარისხის მონიტორინგთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

გამოწვევები რამდენიმე მიმართულებით იკვეთება:

- წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის არასრული დაფარვა, განსაკუთრებით სოფლებში და სეზონურად დატვირთულ ტურისტულ ზონებში.
- წყლის ხარისხისა და რაოდენობის მონაცემების არასაკმარისი ინტეგრაცია მუნიციპალურ დაგეგმვაში.
- კლიმატის ცვლილება. ძლიერი ნალექები, წყალდიდობები, მეწყრული პროცესები, სითბური კუნძულები, თბური ტალღები და გვალვის პერიოდები პირდაპირ მოქმედებს როგორც წყლის რესურსებზე, ასევე ინფრასტრუქტურაზე.
- წყალარინებისა და ჩამდინარე წყლების მართვის ჩამორჩენა წყალმომარაგების გაუმჯობესებასთან შედარებით.
- უწყებათაშორისი კოორდინაცია. წყლის სექტორში ჩართულია როგორც ცენტრალური სახელმწიფო უწყებები და წყალმომარაგების კომპანია, ისე მუნიციპალიტეტები, გარემოსდაცვითი სტრუქტურები, მოსახლეობა და კერძო სექტორი.
- ახალი სააუზო მართვის რეგულაციით განსაზღვრული ვალდებულებების მუნიციპალურ ჭრილში გააზრება და სათანადო რესურსების მობილიზება სხვადასხვა საჭირო ინფრასტრუქტურული სამუშაოების უზრუნველსაყოფად (მაგ.: წყლის ობიექტებზე არსებული რეკრეაციული ზონების უსაფრთხოების შეფასება, უსაფრთხო და სიცოცხლისთვის საშიში ზონების გამოყოფა, შესაბამისი მანიშნებლების დამზადება, მონტაჟი და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების უზრუნველყოფა).

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირების პროცესში წყლის სექტორი გამოიყოს, როგორც ცალკე მნიშვნელოვანი მიმართულება. ბიუჯეტში უნდა აისახოს არა მხოლოდ წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, არამედ წყლის რესურსების დაცვა, წყალარინების გაუმჯობესება, ჩამდინარე წყლების მართვა, წყალდიდობისა და ეროზიის პრევენცია, მდინარისპირა ზონების დაცვა, წყლის დაზოგვის ღონისძიებები და წყლის ობიექტებზე რეკრეაციის ზონების მართვა-მონიტორინგი. თითოეული პროექტისთვის სასურველია, განისაზღვროს ინდიკატორები: 24-საათიანი წყალმომარაგებით დაფარული მოსახლეობა, რეაბილიტირებული ქსელის სიგრძე, წყალარინების სისტემაზე მიერთებული აბონენტების რაოდენობა, გაუმჯობესებული წყლის ხარისხის მონიტორინგის პუნქტები, შემცირებული ავარიული დანაკარგები, გაწმენდილი ჩამდინარე წყლების წილი და მდინარისპირა დაცული/აღდგენილი ზონების ფართობი.

გარდა ამისა, სითბური კუნძულების და თბური ტალღების ნეგატიური გავლენის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია სპეციალური ღონისძიებების გატარება, მაგალითად, მწვანე საფართან ერთად შადრევნებისა და ხელოვნური ეკოტბების შექმნა.

ასევე მიზანშეწონილია, რომ მუნიციპალიტეტმა სააუზო მართვის პრინციპები ჩართოს სივრცით დაგეგმვაში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ტურიზმის განვითარებაში. მდინარეების, წყაროების, ხევებისა და სანაპირო ზონების დატვირთვა უნდა შეფასდეს არა ცალკეული პროექტების დონეზე, არამედ აუზის მასშტაბით. ეს განსაკუთრებით საჭიროა ნატანების, ბჟუჟის, სუფსისა და სანაპირო ზოლის მიმართულებით. ტურისტულ ზონებში აუცილებელია წყლის მოხმარების სეზონური ზრდის წინასწარი შეფასება, წყალარინების სისტემის გამართული ფუნქციონირება და წყლის დაბინძურების პრევენცია.

ოზურგეთის წყლის სექტორის ხედვა მწვანე განვითარების ჭრილში უნდა დაეფუძნოს სამ პრინციპს: უსაფრთხო და უწყვეტი წყალმომარაგება, გარემოსდაცვითად გამართული წყალარინება და წყლის რესურსების სააუზო მართვა. მთავარი შესაძლებლობაა, რომ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაუკავშირდეს კლიმატმედეგობას, ტურიზმის მდგრად განვითარებას და ბუნებრივი რესურსების დაცვას. მთავარი გამოწვევაა წყლის სექტორის ფრაგმენტული მართვა, როდესაც წყალმომარაგება, წყალარინება, მდინარეების დაცვა და კლიმატური რისკები ცალ-ცალკე განიხილება. შესაბამისად, ოზურგეთისთვის წყლის სექტორი უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელიც გაზომავს არა მხოლოდ აშენებულ ინფრასტრუქტურას, არამედ წყლის რესურსებზე, ეკოსისტემებზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე მიღებულ შედეგს.

1. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგილობრივ თვითმმართველობებს აკისრებს ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს **სარეკრეაციო დანიშნულებით გამოყენებულ წყლის ობიექტებზე უსაფრთხოების** უზრუნველყოფის კუთხით. კერძოდ, კანონის 15.5 მუხლის მიხედვით:

„მოსახლეობის სიცოცხლისთვის ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების არსებობისას, მუნიციპალიტეტები, ამ კანონის საფუძველზე, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) სამინისტროსთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც ბანაობა აკრძალულია“.

რაც შეეხება, კანონის 15.6 მუხლს, „მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვების დადგენისთანავე გამოაქვეყნოს, ან სხვა ფორმით (ინფორმაციის ცნობის სახით გავრცელება, მოქალაქეებისთვის საინფორმაციო ფურცლების დარიგება, შესაბამის წყლის ობიექტთან საინფორმაციო აბრის განთავსება და სხვა) მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია საერთო წყალსარგებლობის შესაძლებლობისა და მისი შეზღუდვის პირობების თაობაზე“.

კანონის მიხედვით, აღნიშნული მუხლის ამოქმედება დადგენილია 2026 წლის 1 სექტემბრიდან, ანუ მიმდინარე წლის შემოდგომიდან.

ახალი უფლებამოსილების განხორციელება მოითხოვს მუნიციპალურ დონეზე წყლის ობიექტებზე რეკრეაციისთვის არსებული უბნების აუდიტს და საფრთხეების დონის განსაზღვრას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება კანონის 15.6 მუხლის აღსრულება.

2. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ამტკიცებს **სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების** შემადგენლობას, რომლებიც წარმოადგენენ სამინისტროსთან არსებულ სათათბირო ორგანოებს წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხებში. კანონი საბჭოს შემადგენლობაში ცალკე გამოყოფს ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს და შესაბამისი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს.

მუნიციპალიტეტის მხრიდან პროცესების სინქრონიზაციისთვის, რეკომენდებულია საბჭოსთან თანამშრომლობის საკითხების შეტანა მერის ბრძანებით შექმნილი „ტყის მართვის ადგილობრივი სათათბიროს“ დღის წესრიგში და ტყის მართვის შესახებ ინფორმაციის გავრცელების არსებული მექანიზმის გამოყენება მდინარეთა აუზების მართვის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად სოფლების / თემების დონეზე.

ინიციატივა განხილვისთვის

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგილობრივ თვითმმართველობებს აკისრებთ ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს სარეკრეაციო დანიშნულებით გამოყენებულ წლის ობიექტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. კერძოდ, კანონის 15.5 მუხლის მიხედვით:

„მოსახლეობის სიცოცხლისთვის ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების არსებობისას, მუნიციპალიტეტები, ამ კანონის საფუძველზე, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) სამინისტროსთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც ბანაობა აკრძალულია“.

რაც შეეხება, კანონის 15.6 მუხლს, „მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვების დადგენისთანავე გამოაქვეყნოს, ან სხვა ფორმით (ინფორმაციის ცნობის სახით გავრცელება, მოქალაქეებისთვის საინფორმაციო ფურცლების დარიგება, შესაბამის წყლის ობიექტთან საინფორმაციო აბრის განთავსება და სხვა) მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია საერთო წყალსარგებლობის შესაძლებლობისა და მისი შეზღუდვის პირობების თაობაზე“.

კანონის მიხედვით, აღნიშნული მუხლის ამოქმედება დადგენილია 2026 წლის 1 სექტემბრიდან, ანუ მიმდინარე წლის შემოდგომიდან. ახალი უფლებამოსილების განხორციელება მოითხოვს მუნიციპალურ დონეზე წყლის ობიექტებზე რეკრეაციისთვის არსებული უბნების აუდიტს და საფრთხეების დონის განსაზღვრას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება კანონის15.6 მუხლის აღსრულება.

გენდერული ანალიზი მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტირების პროცესში გენდერული განზომილების ინტეგრირება მნიშვნელოვანია, რადგან გარემოსდაცვითი, კლიმატური და ინფრასტრუქტურული პოლიტიკა ქალებსა და კაცებზე, ასევე სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ჯგუფებზე, განსხვავებულად მოქმედებს. მწვანე ბიუჯეტი არ უნდა შეფასდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი ხარჯების მოცულობით; აუცილებელია, შეფასდეს ისიც, ვინ იღებს სარგებელს, ვინ მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში და რამდენად ამცირებს ან ზრდის არსებული პროგრამები სოციალურ და გენდერულ უთანასწორობას. ოზურგეთის შემთხვევაში ეს განსაკუთრებით რელევანტურია, რადგან მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების ძირითადი მიმართულებები წყალი, ნარჩენები, ენერგოეფექტურობა,

სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, გარემოსდაცვითი განათლება, საგანგებო სიტუაციების მართვა და მწვანე ბიზნესი _ პირდაპირ ეხება ოჯახების ყოველდღიურ ცხოვრებას, შრომის განაწილებას, შემოსავლის წყაროებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას.

მწვანე ბიუჯეტირების არსებული ანალიზი ქმნის კარგ საფუძველს გენდერული მიდგომის დასამატებლად, თუმცა პროგრამებსა და ინდიკატორებში გენდერული შედეგები ჯერ კიდევ მკაფიოდ არ ჩანს. მაგალითად, წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მხოლოდ ტექნიკური საკითხი არ არის, ის ამცირებს ოჯახებში წყლის მოპოვებასთან, ჰიგიენასთან და ყოველდღიურ მოვლის შრომასთან დაკავშირებულ ტვირთს, რომელიც ხშირად უფრო მეტად ქალებზე მოდის. ნარჩენების მართვის გაუმჯობესება, სუფთა საზოგადოებრივი სივრცეები და სანიტარული პირობები მნიშვნელოვანია როგორც ტურიზმისთვის, ისე ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უსაფრთხოებისა და ღირსეული გარემოსთვის. ენერგოეფექტური განათება და უსაფრთხო საზოგადოებრივი სივრცეები კი ზრდის ქალებისა და გოგონების გადაადგილების უსაფრთხოებას, განსაკუთრებით საღამოს საათებში.

<u>სოფლის მეურნეობისა და მწვანე ბიზნესის მიმართულებით</u> გენდერული ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ოზურგეთის სოფლებში ქალები ხშირად აქტიურად არიან ჩართული საოჯახო მეურნეობაში, აგროპროდუქტის წარმოებაში, გადამუშავებაში, საოჯახო სასტუმროებში, კვების სერვისებში და მცირე ტურისტულ საქმიანობაში, თუმცა მათ შესაძლოა ნაკლები წვდომა ჰქონდეთ ფინანსებზე, ტექნიკურ ცოდნაზე, სახელმწიფო პროგრამებზე, ტრენინგებზე, ბაზრებზე და გადაწყვეტილებების მიღების სივრცეებზე. შესაბამისად, მწვანე ბიზნესის, აგროტურიზმის, ადგილობრივი პროდუქტის ბრენდირების, ენერგოეფექტური საოჯახო სასტუმროების, მცირე გადამუშავებისა და კომპოსტირების პროგრამებში ქალების, ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიზნობრივი ჩართვა უნდა გახდეს პროგრამული ბიუჯეტის ერთ-ერთი შედეგობრივი ამოცანა. ეს გაზრდის არა მხოლოდ გენდერულ თანასწორობას, არამედ მწვანე ეკონომიკის ადგილობრივ ეფექტსაც.

<u>ტურიზმის მიმართულებით</u> გენდერული პერსპექტივა უნდა დაუკავშირდეს როგორც დასაქმებას, ისე მომსახურების ხარისხსა და უსაფრთხოებას. ურეკის, შეკვეთილის, კაპროვანის, გომისმთისა და სხვა ტურისტული ზონების განვითარება ქალებისთვის შეიძლება გახდეს შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო საოჯახო სასტუმროების, ადგილობრივი კვების, ხელნაკეთობების, გიდობის, აგროტურისტული მომსახურებისა და ადგილობრივი პროდუქტის რეალიზაციის გზით. თუმცა ეს შესაძლებლობა რეალურად მხოლოდ მაშინ გაძლიერდება, თუ მუნიციპალიტეტის პროგრამები და პარტნიორული პროექტები ქალებს მიზნობრივად შესთავაზებს ტრენინგებს, მცირე გრანტებს, მარკეტინგულ მხარდაჭერას, ციფრულ უნარებს და გარემოსდაცვით სტანდარტებზე ცოდნას. პარალელურად, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში უნდა იყოს გათვალისწინებული უსაფრთხო განათება, სა-

ზოგადოებრივი სანიტარული კვანძები, ხელმისაწვდომი სივრცეები, ნარჩენების მართვა და ბავშვთან ერთად გადაადგილებისთვის შესაფერისი გარემო.

საგანგებო სიტუაციების, სტიქიის პრევენციისა და კლიმატური რისკების მართვის ნაწილშიც საჭიროა გენდერული მიდგომა. ძლიერი ნალექები, წყალდიდობები, მეწყრები, გზების დაზიანება, წყლის მიწოდების შეფერხება ან სანიტარული პრობლემები განსხვავებულად მოქმედებს ოჯახებზე, განსაკუთრებით იმ შინამეურნეობებზე, სადაც არიან ბავშვები, ხანდაზმულები, შშმ პირები ან მარტოხელა მშობლები. ამიტომ რისკების მართვის გეგმებში, ადრეული გაფრთხილების მექანიზმებში, ევაკუაციის კომუნიკაციაში და კრიზისის შემდგომ დახმარებაში აუცილებელია მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება. ადგილობრივ დონეზე ქალების მონაწილეობა საგანგებო მზადყოფნის ტრენინგებში, თემის დონეზე რისკების შეფასებაში და რეაგირების პროტოკოლების შემუშავებაში ხელს შეუწყობს უფრო რეალისტურ და ადამიანზე ორიენტირებულ კლიმატურ ადაპტაციას.

გარემოსდაცვითი განათლება შეიძლება გახდეს გენდერული თანასწორობისა და მწვანე განვითარების დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სკოლებში, საბავშვო ბაღებში, თემებში, ფერმერთა ჯგუფებში და ტურისტულ ბიზნესებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ქალებს, გოგონებს, ახალგაზრდებს და მოწყვლად ჯგუფებს ჰქონდეთ თანაბარი მონაწილეობა. ეს მოიცავს ნარჩენების სეპარირების, წყლის დაზოგვის, ენერგოეფექტურობის, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის, მწვანე მეწარმეობისა და ეკოტურიზმის თემებზე პრაქტიკულ სწავლებას. გარემოსდაცვითი განათლების პროგრამები განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება, თუ ისინი დაუკავშირდება ადგილობრივ საჭიროებებს და არა მხოლოდ ზოგად საინფორმაციო კამპანიებს.

გამოწვევად რჩება სქესის, ასაკის, დასახლების ტიპისა და მოწყვლადობის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების ნაკლებობა. მწვანე ბიუჯეტირებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის ცოდნა, რამდენი თანხა დაიხარჯა წყლის, ნარჩენების, განათების ან ტურიზმის მიმართულებით, არამედ რამდენმა ქალმა და კაცმა მიიღო სარგებელი, რამდენი ქალი მონაწილეობდა კონსულტაციებში, რამდენმა ქალმა მეწარმემ მიიღო მხარდაჭერა, რამდენი ქალი/გოგონა ჩაერთო გარემოსდაცვით განათლებაში და რამდენად გაუმჯობესდა უსაფრთხოება, მომსახურებაზე წვდომა ან შემოსავლის შესაძლებლობები. ასეთი მონაცემების გარეშე გენდერული გავლენის შეფასება აღწერით დონეზე რჩება და რთულია ბიუჯეტის რეალური სოციალური შედეგის ჩვენება.

რეკომენდებულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მწვანე ბიუჯეტირების პროცესში დანერგოს გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორები. ასეთ ინდიკატორებად შეიძლება განისაზღვროს: მწვანე ბიზნესის მხარდაჭერით მოსარგებლე ქალებისა და კაცების რაოდენობა; ქალების მონაწილეობა საჯარო განხილვებსა და სამუშაო ჯგუფებში; გარემოსდაცვით ტრენინგებში ჩართული ქალები,

ახალგაზრდები და გოგონები; ტურიზმისა და აგროტურიზმის პროგრამებით მხარდაჭერილი ქალი მეწარმეები; უსაფრთხო და განათებული საზოგადოებრივი სივრცეების რაოდენობა; წყლისა და სანიტარული სერვისებით გაუმჯობესებული დასახლებები; საგანგებო რისკების მართვის ტრენინგებში ჩართული მოწყვლადი ჯგუფები. ასევე მიზანშეწონილია, რომ ბიუჯეტის ყოველწლიურ ანგარიშში მწვანე ხარჯების ნაწილთან ერთად მოკლედ აისახოს გენდერული შედეგებიც.

ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირება გენდერულად მგრძნობიარე უნდა გახდეს არა ცალკე დამატებითი კომპონენტის სახით, არამედ როგორც მთელი საბიუჯეტო პროცესის ხარისხის გამაძლიერებელი მიდგომა. მწვანე ბიუჯეტის მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ გარემოს დაცვა, არამედ სუფთა, უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და ეკონომიკურად გამაძლიერებელი გარემოს შექმნა ყველა ჯგუფისთვის. ამისთვის საჭიროა პროგრამებში გენდერული საჭიროებების წინასწარი შეფასება, ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობა დაგეგმვის პროცესში, გენდერულად ჩაშლილი მონაცემების შეგროვება, მწვანე ბიზნესისა და სოფლის განვითარების პროგრამებში ქალების მიზნობრივი მხარდაჭერა და წლიურ ანგარიშგებაში გენდერული შედეგების ასახვა. ასეთი მიდგომა ოზურგეთის მწვანე ბიუჯეტირებას უფრო სამართლიანს, ინკლუზიურს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის.

რეკომენდაციები

მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციური დანერგვა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის რეკომენდებულია, მწვანე ბიუჯეტირება ჩამოყალიბდეს არა ერთჯერად ანალიზად, არამედ რეგულარულ საბიუჯეტო პრაქტიკად, რომელიც ყოველწლიურად დაუკავშირდება პრიორიტეტების დოკუმენტს, პროგრამულ ბიუჯეტს, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და მომდევნო წლის დაგეგმვას. ამისთვის საჭიროა მუნიციპალურ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე მწვანე მარკირების ეტაპობრივი დანერგვა, სადაც ხარჯები დაიყოფა კლიმატის შერბილება, ადაპტაცია, გარემოს დაცვა და მწვანე ეკონომიკური განვითარების (ან პირდაპირ მწვანე, ნაწილობრივ მწვანე და კლიმატთან/გარემოსთან ირიბად დაკავშირებულ) კატეგორიებად. მწვანე ბიუჯეტირების პროცესში უნდა განისაზღვროს ერთიანი მეთოდოლოგია, პასუხისმგებელი სტრუქტურა, შიდა კოორდინაციის მექანიზმი და მარტივი სამუშაო ფორმა, რომლითაც თითოეული სამსახური შეძლებს საკუთარი პროგრამების გარემოსდაცვითი და კლიმატური რელევანტურობის შეფასებას.

საბიუჯეტო დაგეგმვა, შესრულება და ანგარიშგება. რეკომენდებულია, მწვანე ბიუჯეტირება ინტეგრირდეს მუნიციპალიტეტის არსებულ საბიუჯეტო კალენდარში. დაგეგმვის ეტაპზე, პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას, უნდა განისაზღვროს მწვანე პრიორიტეტები, პროგრამების გარემოსდაცვითი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე მიზანშეწონილია, მომზადდეს მოკლე „მწვანე ბიუჯეტის მიმოხილვა“, სადაც გამოჩნდება, რა თანხა მიემართება კლიმატის, გარემოს დაცვის, წყლის, ნარჩენების, ენერგოეფექტურობის, მწვანე ინფრასტრუქტურისა და სტიქიის პრევენციის ღონისძიებებზე. შესრულების ეტაპზე კი ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად უნდა აღირიცხოს გარემოსდაცვითი შედეგებიც, ხოლო წლიურ ანგარიშში ცალკე თავი დაეთმოს დაგეგმილი და ფაქტობრივი მწვანე ხარჯების, ინდიკატორების, მიღწეული შედეგებისა და შეუსრულებლობის მიზეზების შეფასებას.

ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტების შესაბამისობა. რეკომენდებულია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა შექმნას ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტების მწვანე შესაბამისობის მატრიცა. ამ მატრიცაში თითოეული მუნიციპალური პროგრამა უნდა დაუკავშირდეს შესაბამის ეროვნულ პოლიტიკას – კლიმატის ცვლილებას, ენერგოეფექტურობას, ნარჩენების მართვას, წყლის რესურსების დაცვას, სოფლის განვითარებას, ტურიზმს, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას, გარემოსდაცვით განათლებას ან სტიქიური რისკების შემცირებას. ასეთი მიდგომა მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას, აჩვენოს, როგორ ასრულებს ადგილობრივი ბიუჯეტი ეროვნულ გარემოსდაცვით და მდგრადი განვითარების პრიორიტეტებს და როგორ გარდაიქმნება სახელმწიფო სტრატეგიული ხედვები კონკრეტულ ადგილობრივ პროგრამებად, ბიუჯეტურ მუხლებად და გაზომვად შედეგებად, რაც ცენტრალური ხელისუფლებისგან და საერთაშორისო თანამეგობრობიდან დამატებითი რესურსების მოზიდვის საუკეთესო პირობებს შექმნის.

გარემოსდაცვითი მმართველობა და კოორდინაცია. რეკომენდებულია, გარემოსდაცვითი მმართველობა ჩამოყალიბდეს, როგორც მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციური საფუძველი. ამისთვის საჭიროა, მერიის შიგნით შეიქმნას მწვანე კოორდინაციის სამუშაო ფორმატი, რომელშიც ჩართული იქნება საფინანსო, ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარების, დასუფთავების, ზედამხედველობის, განათლების, ტურიზმისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულებები. აღნიშნულმა ჯგუფმა ყოველწლიურად უნდა განიხილოს პროგრამები მწვანე კრიტერიუმებით, განსაზღვროს შესაბამისი მარკერები და მოამზადოს რეკომენდაციები ბიუჯეტის პროექტისთვის. ასევე საჭიროა გარემოსდაცვითი მონაცემების ერთიანი ფორმატით შეგროვება, საჯაროობა და გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისას.

მონაცემები და შედეგების ინდიკატორები. რეკომენდებულია, მუნიციპალიტეტმა გააძლიეროს მწვანე ბიუჯეტის შედეგებზე ორიენტირებული ინდიკატორები. მხოლოდ ხარჯების ან შესრულებული სამუშაოების აღრიცხვა საკმარისი არ არის; საჭიროა გაიზომოს, თუ რა გარემოსდაცვითი შედეგი მიიღო მუნიციპალიტეტმა. ინდიკატორები შეიძლება მოიცავდეს სეპარირებული ან რეციკლირებისთვის გადაცემული ნარჩენის მოცულობას, ენერგოეფექტური განათების წილს, დაზოგილ ელექტროენერგიას, რეაბილიტირებული წყალმომარაგების ან წყალარინების ქსელის სიგრძეს, წყლის დანაკარგების შემცირებას, აღდგენილი მწვანე სივრცეების ფართობს, გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართული მოქალაქეების რაოდენობას, სტიქიური რისკის შემცირებულ უბნებს და მწვანე კრიტერიუმებით განხორციელებულ შესყიდვებს.

სოფლის განვითარება და სოფლის მეურნეობა. რეკომენდებულია, სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული ქვეპროგრამების მკაფიო მარკირება მოხდეს მწვანე ბიუჯეტირების ლოგიკით. მუნიციპალიტეტმა უნდა გააძლიეროს კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, მათ შორის წყლის ეფექტიანი გამოყენება, ნიადაგის დაცვა, ქარსაცავი ზოლების აღდგენა, დაბალი ქიმიური დატვირთვის წარმოება, ენერგოეფექტური სათბურები და მცირე გადამუშავების მხარდაჭერა. ასევე მნიშვნელოვანია სოფლის განვითარების სააგენტოსთან, ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან, ფერმერებთან და პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, რათა ფერმერებს ჰქონდეთ წვდომა ტექნიკურ ცოდნაზე, დაფინანსებაზე, დაზღვევაზე, ხარისხის სქემებსა და ბაზრებზე.

ენერგეტიკა და ენერგოეფექტურობა. რეკომენდებულია, ოზურგეთის პროგრამულ ბიუჯეტში ენერგეტიკასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი პროგრამა შეფასდეს მწვანე ბიუჯეტირების პრინციპით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტურობას, გარე განათების LED მოდერნიზაციას, განახლებადი ენერგიის მცირე პროექტებს, წყლისა და წყალარინების ენერგოეფექტურ სისტემებს, დაბალემისიურ ტრანსპორტს და კლიმატმედეგ ინფრასტრუქტურას. აუცილებელია მუნიციპალურ ობიექტებში ენერგოაუდიტების ეტაპობრივი დანერგვა, ენერგომოხმარების საბაზისო მონაცემების

შექმნა და ისეთი ინდიკატორების გამოყენება, როგორიცაა დაზოგილი ელექტროენერგია, შემცირებული ხარჯი, შემცირებული ემისიები, განახლებული შენობების რაოდენობა და დამონტაჟებული მზის სისტემების სიმძლავრე.

ტურიზმი და მწვანე ტურისტული პროდუქტი. რეკომენდებულია, ტურიზმის მიმართულება პირდაპირ დაუკავშირდეს მწვანე ბიუჯეტირებას. ტურიზმთან დაკავშირებული პროექტები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ვიზიტორების რაოდენობით, არამედ გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგებითაც: რამდენი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა, რამდენმა მცირე ბიზნესმა მიიღო სარგებელი, რამდენი ტურისტული ობიექტი აღიჭურვა ნარჩენების მართვის სისტემით, რამდენი მარშრუტი გახდა ეკომეგობრული და რამდენად გაიზარდა ადგილობრივი პროდუქტის გამოყენება ტურისტულ სერვისებში. საჭიროა მწვანე მარშრუტების შექმნა, რომლებიც დააკავშირებს ზღვის, სოფლის, მთის, კულტურისა და აგრარულ პოტენციალს, ხოლო ტურისტულ ზონებში დაინერგოს ნარჩენების მართვის, წყლის დაზოგვის, ენერგოეფექტური განათებისა და ბუნებაზე მინიმალური ზემოქმედების სტანდარტები.

სატყეო სექტორი და მწვანე ინფრასტრუქტურა. რეკომენდებულია, სატყეო სექტორი მწვანე ბიუჯეტირებაში გამოჩნდეს, როგორც კლიმატმედეგობის, ბიომრავალფეროვნების, ნიადაგდაცვითი ფუნქციის, წყლის რეგულირებისა და ეკოტურიზმის მნიშვნელოვანი მიმართულება. მუნიციპალიტეტმა ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან (LAG), გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და თემებთან ერთად უნდა განსაზღვროს ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებები: დეგრადირებული ფერდობებისა და მწვანე სივრცეების აღდგენა, მეწყერსაშიში და ეროზიული ზონების პრევენციული გამწვანება, ეკობილიკების მოწყობა, ტყესთან დაკავშირებული ნარჩენების მართვა, გარემოსდაცვითი განათლება და მოსახლეობის ენერგოეფექტურ გათბობაზე ეტაპობრივი გადასვლის ხელშეწყობა.

ნარჩენების მართვა. რეკომენდებულია, ნარჩენების მართვის ქვეპროგრამები უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს მწვანე განვითარების შედეგებს. ბიუჯეტში უნდა გამოიყოს არა მხოლოდ დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ხარჯები, არამედ სეპარირებული შეგროვების, რეციკლირების ხელშეწყობის, კომპოსტირების, ცნობიერების ამაღლების, ტურისტული ზონების ნარჩენების მართვისა და არალეგალური ნაგავსაყრელების პრევენციის ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა უნდა დაიწყოს სეპარირებული შეგროვების საპილოტე მოდელი მაღალი დატვირთვის ზონებში – ადმინისტრაციულ შენობებში, სკოლებში, სანაპირო და ტურისტულ სივრცეებში. ასევე უნდა შეფასდეს ორგანული ნარჩენების კომპოსტირების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ბაზრების, სოფლის მეურნეობის ნარჩენებისა და საბავშვო ბაღების/სკოლების მიმართულებით.

წყლის სექტორი და საარუზო მართვა. რეკომენდებულია, წყლის სექტორი მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გამოიყოს. ბიუჯეტში უნდა აი-

სახოს არა მხოლოდ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, არამედ წყლის რესურსების დაცვა, წყალარინების გაუმჯობესება, ჩამდინარე წყლების მართვა, წყალდიდობისა და ეროზიის პრევენცია, მდინარისპირა ზონების დაცვა და წყლის დაზოგვის ღონისძიებები. სააუზო მართვის პრინციპები უნდა ინტეგრირდეს სივრცით დაგეგმვაში, ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და ტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით ნატანების, ბჟუჟის, სუფსისა და სანაპირო ზოლის მიმართულებით. აუცილებელია ინდიკატორების განსაზღვრა: 24-საათიანი წყალმომარაგებით დაფარული მოსახლეობა, რეაბილიტირებული ქსელი, წყალარინებაზე მიერთებული აბონენტები, წყლის ხარისხის მონიტორინგის პუნქტები და გაწმენდილი ჩამდინარე წყლების წილი.

გარემოსდაცვითი განათლება. რეკომენდებულია, გარემოსდაცვითი განათლება გამოიყოს, როგორც დამოუკიდებელი და ასევე გამჭოლი კომპონენტი. დამოუკიდებელი მიმართულებით შესაძლებელია სკოლებისა და საბავშვო ბაღებისთვის გარემოსდაცვითი კლუბების, თემატური გაკვეთილების, ეკოაქციების, მდინარისა და სანაპიროს დასუფთავების კამპანიების, ნარჩენების სეპარირების სწავლებისა და კონკურსების დაგეგმვა. გამჭოლი კომპონენტის სახით გარემოსდაცვითი განათლება უნდა ჩაერთოს ნარჩენების, წყლის, ენერგეტიკის, ტურიზმის, სოფლის განვითარების და სატყეო პროგრამებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პრაქტიკულ პროექტებს – სეპარირებული ურნები, კომპოსტირების კუთხეები, წყლის დაზოგვის კამპანიები, ენერგოეფექტურობის მარტივი აუდიტები, მწვანე ეზოები და ეკობილიკების მოვლის მოხალისეობრივი ჯგუფები.

საგანგებო სიტუაციები, პრევენცია და რისკების მართვა. რეკომენდებულია, სტიქიის პრევენციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულება მწვანე ბიუჯეტირებაში აღინიშნოს, როგორც კლიმატთან ადაპტაციის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ბიუჯეტში უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ აღდგენითი სამუშაოები, არამედ პრევენციული ღონისძიებები: სანიაღვრე ქსელისა და წყალგამტარი ნაგებობების მოვლა-რეაბილიტაცია, მდინარისპირა ზონების დაცვა, ფერდობების გამაგრება და გამწვანება, მეწყერსაშიში უბნების მონიტორინგი, ხიდებისა და გზების კლიმატმედეგი რეაბილიტაცია, ტყის ხანძრების პრევენცია და კრიტიკული ინფრასტრუქტურის რისკების შეფასება. ასევე საჭიროა ადრეული გაფრთხილების, ადგილობრივი რეაგირების გეგმებისა და თემების დონეზე მარტივი სამოქმედო პროტოკოლების შემუშავება. აღნიშნული მიმართულების დაფინანსება უმეტესწილად სახელმწიფო ფონდებიდან ხდება, თუმცა უმნიშვნელოვანესია, მუნიციპალიტეტმა ამ მხრივ დამატებითი რესურსების მობილიზება უზრუნველყოს.

მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა. რეკომენდებულია, მწვანე ბიზნესის მხარდაჭერა ჩამოყალიბდეს, როგორც პროგრამული ბიუჯეტის გამჭოლი პრიორიტეტი. პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია ადგილობრივი მწვანე ბიზნესის პოტენციალის რუკის მომზადება – რომელ სოფლებში და ზონებშია შესაძლებელი აგროტურიზმი, მცირე გადამუშავება, ადგილობრივი პროდუქტის ბაზრობა, ეკოტურისტული სერვისი, კომპოსტირება, ენერგოეფექტური სასტუმროები ან მზის ენერგიის მცირე

გამოყენება. მეორე ეტაპზე საჭიროა მცირე გრანტების, თანადაფინანსების ან ტექნიკური დახმარების მექანიზმის შექმნა, რომელიც დაეხმარება მეწარმეებს ბიზნესგეგმის მომზადებაში, სახელმწიფო პროგრამებზე განაცხადების შეტანაში და მწვანე ტექნოლოგიების დანერგვაში. სამიზნე ჯგუფებად უნდა გამოიყოს საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, ფერმერები, ახალგაზრდები, ქალები, ტურისტული სერვისები და გადამამუშავებელი მცირე საწარმოები.

მწვანე შესყიდვები. რეკომენდებულია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მწვანე შესყიდვები ეტაპობრივად, საპილოტე მიდგომით დანერგოს. საწყის ეტაპზე შეიძლება შეირჩეს მაღალი ეფექტის მქონე კატეგორიები: გარე განათება, საოფისე და IT ტექნიკა, საწმენდი საშუალებები, სეპარირების კონტეინერები, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და ტურისტული ინფრასტრუქტურა. თითოეულ კატეგორიაში უნდა მომზადდეს მინიმალური მწვანე კრიტერიუმები – ენერგოეფექტურობის კლასი, გამძლეობა, ნაკლები შეფუთვა, დაბალი ტოქსიკურობა, გადამუშავებადი მასალა, ტექნიკის ენერგომოხმარება ან მომსახურებისას ნარჩენების მართვის ვალდებულება. შესყიდვების დაგეგმვისას მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ საწყისი ფასი, არამედ სიცოცხლის ციკლის ღირებულებაც – ენერგიის მოხმარება, მოვლა-პატრონობა, ექსპლუატაციის ხარჯი, ხანგრძლივობა და საბოლოო განკარგვის ხარჯი.

საერთაშორისო თანამშრომლობა და დაფინანსების მობილიზება. რეკომენდებულია, საერთაშორისო თანამშრომლობა და დონორული მხარდაჭერა პირდაპირ დაუკავშირდეს მწვანე ბიუჯეტირების სისტემას. ამისთვის მუნიციპალიტეტმა შეიძლება შექმნას საერთაშორისო მხარდაჭერისა და მწვანე პროექტების რეესტრი, სადაც აისახება მიმდინარე და დაგეგმილი დონორული პროექტები, დაფინანსების წყარო, სექტორი, ბიუჯეტთან კავშირი, მოსალოდნელი გარემოსდაცვითი შედეგები და პასუხისმგებელი უწყება. პრიორიტეტული მიმართულებები უნდა იყოს წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა, ნარჩენების სეპარირება და რეციკლირება, ენერგოეფექტური შენობები, განახლებადი ენერგიის მცირე პროექტები, კლიმატური რისკების პრევენცია, ეკოტურიზმი და აგროტურიზმი, მწვანე ბიზნესი და გარემოსდაცვითი განათლება.

სუფთა ტექნოლოგიები და რესურსდაზოგვა. რეკომენდებულია, გარემოსდაცვითი, რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა დაიწყოს ყველაზე მაღალი პრაქტიკული ეფექტის მქონე სფეროებიდან. ასეთებია მუნიციპალური შენობების ენერგოაუდიტი, გარე განათების ენერგოეფექტური მოდერნიზაცია, წყლისა და სატუმბი სისტემების ენერგომოხმარების შეფასება, სანაპირო და ტურისტულ ზონებში ნარჩენების სეპარირების ინფრასტრუქტურა, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში წყლისა და ენერგიის დაზოგვის მცირე პროექტები და საოჯახო სასტუმროებისთვის ენერგოეფექტურობის კონსულტაციები. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტმა უნდა გამოიყენოს მწვანე შესყიდვები, სახელმწიფო პროგრამები, საერთაშორისო მხარდაჭერა და მცირე ბიზნესისთვის ტექნიკური დახმარების მექანიზმები.

საჯარო მონაწილეობა და გამჭვირვალობა. რეკომენდებულია, მწვანე ბიუჯეტირების პროცესი იყოს ღია და მონაწილეობითი. ბიუჯეტის პროექტის განხილვისას მუნიციპალიტეტმა მოქალაქეებს, ბიზნესს, სკოლებს, ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფს, გარემოსდაცვით ორგანიზაციებსა და სოფლის თემებს უნდა წარუდგინოს მწვანე ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა. ამ მიმოხილვაში უნდა ჩანდეს, რომელი პროგრამებია მწვანედ მონიშნული, რა თანხა იხარჯება გარემოსდაცვით და კლიმატთან დაკავშირებულ მიმართულებებზე, რა შედეგებია დაგეგმილი და როგორ შეფასდება შესრულება. მონაწილეობითი მიდგომა გაზრდის მოქალაქეთა ნდობას, გააუმჯობესებს პროექტების შერჩევას და დაეხმარება მუნიციპალიტეტს, რომ მწვანე ბიუჯეტი რეალურ საჭიროებებს დაუკავშიროს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის მწვანე ბიუჯეტირების მთავარი ამოცანა უნდა იყოს არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ხარჯების აღწერა, არამედ მთელი პროგრამული ბიუჯეტის ეტაპობრივი გარდაქმნა მდგრადი, კლიმატმედეგი და რესურსეფექტიანი განვითარების ინსტრუმენტად. ამისთვის საჭიროა მწვანე მარკირების დანერგვა, ინდიკატორების გაძლიერება, უწყებათაშორისი კოორდინაცია, მონაცემებზე დაფუძნებული დაგეგმვა, საჯარო მონაწილეობა და შედეგებზე ორიენტირებული ანგარიშგება. აღნიშნული მიდგომა ოზურგეთს მისცემს შესაძლებლობას, უკეთ დაგეგმოს 2027-2029 წლების საბიუჯეტო რესურსები, გაზარდოს გარემოსდაცვითი ხარჯების გამჭვირვალობა, მოიზიდოს დამატებითი საჯარო/კერძო და საერთაშორისო დაფინანსება და ადგილობრივი განვითარება უფრო მკაფიოდ დაუკავშიროს მწვანე ეკონომიკის, კლიმატმედეგობისა და მდგრადი განვითარების მიზნებს.

დანართი

დანართი 1. ოზურგეთის მდგრადი განვითარების მიზნების მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში გააზრება სამოქმედო გეგმის მიხედვით

დამატებითი საკითხი	რატომ არის მნიშვნელოვანი	როგორ ჩაიწეროს ანგარიშში
SDG 13 როგორც გამჭოლი მიზანი	Excel-ში კლიმატი ცალკე მიზნად არ ჩანს, მაგრამ კლიმატური შინაარსი სხვა SDG-ებშია გაბნეული	SDG 13 შეფასდეს, როგორც გამჭოლი კლიმატური კატეგორია, რომელიც უკავშირდება წყალს, ენერგიას, ტრანსპორტს, ნარჩენებსა და ინფრასტრუქტურას
SDG 6 — წყალი და სანიტარია	სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის ზრდა 2030 წლისთვის 90%-მდეა განსაზღვრული	წყლის ინფრასტრუქტურა ჩაითვალოს პირდაპირ მწვანე და კლიმატის ადაპტაციის ხარჯად
წყალარინების ქსელი	მნიშვნელოვანია გარემოს დაბინძურების შემცირებისთვის და საბაზისო სერვისებისთვის	წყალარინება გამოიყოს, როგორც გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის ნაწილი
SDG 7 — LED განათება	LED სანათების სამიზნე 2030 წლისთვის 90%-ია	ენერგოეფექტური გარე განათება ჩაითვალოს კლიმატის შერბილების ხარჯად
SDG 9 — მდგრადი ინფრასტრუქტურა	გზების ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია ეკონომიკურ და სოციალურ მედეგობასთან	საგზაო პროექტებს მიენიჭოს პირობითი მწვანე სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ითვალისწინებს მედეგობას, სანიაღვრეებს ან უსაფრთხოებას
SDG 11.2 — საზოგადოებრივი ტრანსპორტი	ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და ადაპტირებული ავტოპარკი უკავშირდება მდგრად მობილობას	მუნიციპალური ტრანსპორტი შეფასდეს, როგორც ნაწილობრივ კლიმატური/მდგრადი მობილობის ხარჯი
SDG 11.6 — ნარჩენები	ნარჩენების რეგულარული შეგროვება პირდაპირ ამცირებს გარემოზე ზეწოლას	ნარჩენების მართვა გამოიყოს, როგორც პირდაპირ მწვანე ხარჯი
SDG 11.7 — მწვანე საჯარო სივრცეები	მწვანე სივრცეები აუმჯობესებს ურბანულ გარემოს და ამცირებს სიცხის ეფექტს	პარკები, სკვერები და გამწვანება შეფასდეს, როგორც კლიმატის ადაპტაციის და ურბანული ეკოლოგიის ნაწილი
SDG 12.7 — მდგრადი შესყიდვები	ეს არის მწვანე ბიუჯეტის ინსტიტუციური საფუძველი	დაემატოს რეკომენდაცია მწვანე შესყიდვების კრიტერიუმების ეტაპობრივ დანერგვაზე
მონიტორინგი და სტატუსები	SDG დოკუმენტი უკვე ითვალისწინებს წლიურ ანგარიშგებას	მწვანე ბიუჯეტის მონიტორინგში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იგივე სტატუსები: არ დაწყებულა, ნაწილობრივ შესრულდა, მეტწილად შესრულდა, განხორციელდა და სხვ.

დანართი 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ატრაქციების არასრული ჩამონათვალი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს შემდეგი კურორტები[20]: გომისმთა, ნასაკირალი, ურეკი და საკურორტო ადგილები: ვაკიჯვარი და შეკვეთილი. ტურისტულ ადგილებში აღსანიშნავია აგრეთვე ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები თა-

20. მთავრობის #15 დადგენილების „კურორტების შესახებ“ (21 იანვარი, 2025 წ) მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტები

ვისი მოკლე ისტორიით და არქიტექტურით: შემოქმედის მონასტერი, ლიხაურის ეკლესია, აჭის წმ. გიორგის ეკლესია, ჯუმათის მონასტერი; ციხესიმაგრეები: თამარის (ჭანიეთის) ციხე და ასკანის ციხე; ასევე, ვაშნარის ნაქალაქარის არქეოლოგიური ძეგლი.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დაცული ტერიტორიები და ბუნებრივი ლანდშაფტები, კერძოდ: დენდროლოგიური პარკი, წვერმაღალას პარკი, ექადიის ტყე-პარკი და გურიის ეროვნული პარკი. ამასთან, აღსანიშნავია ქალაქის ცენტრში მთავრის ბაღი; კულტურული დაწესებულებები: თეატრი, ისტორიული მუზეუმი, ფოლკლორის ცენტრი და გალერეა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ადგილებია ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმი ლიხაურში, რადიანის სახ. მუზეუმი სოფელ დვაბზუში და კიდევ სხვა მრავალი.

სასურველია, გამოიკვეთოს ტრადიციული ფესტივალებიც, ოზურგეთში ბევრი ფესტივალი ტარდება, მაგრამ ერთ-ერთია ჩაის ფესტივალი, რომელიც მუნიციპალიტეტის ინიცირებული პროექტის ,,ჩაის გზა" ფარგლებში ტარდება. ასევე, ტრადიციად არის ქცეული გემოფესტი, ალეგრობა და ღვინის ფესტივალი.

ქვემოთ მოცემულია ზემოთ მოცემულ ტურისტულ ატრაქციებზე მცირედი ინფორმაცია:

1. **ურეკი, შეკვეთილი და კაპროვანი და სხვა სანაპირო კურორტები.**

   ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ზღვისპირა ტურისტული ზონებია, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევა შავი ზღვის სანაპიროთი, რბილი კლიმატითა და დასვენებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით. ურეკი და კაპროვანი ცნობილია მაგნიტური ქვიშის სანაპიროებით, რაც მათ რეკრეაციულ და გამაჯანსაღებელ დანიშნულებასაც ანიჭებს. შეკვეთილი კი ტურისტებისთვის მიმზიდველია არა მხოლოდ სანაპირო დასვენებით, არამედ დენდროლოგიური პარკით, მინიატურების პარკით, მუსიკოსების პარკითა და Black Sea Arena-ს კულტურული სივრცით. სამივე ლოკაცია ქმნის ოზურგეთის ზღვისპირა ტურიზმის მნიშვნელოვან ბირთვს და მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ეკოტურიზმის, რეკრეაციისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი.

2. **შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი / მინიატურების პარკი / მუსიკოსების პარკი**

   შეკვეთილშივე მინიატურების პარკი კარგი ვარიანტია საქართველოს ცნობილი არქიტექტურული ძეგლების პატარა მოდელების სანახავად. შეკვეთილი ცნობილია ასევე ციცინათელას გასართობი პარკით; მუსიკოსების პარკით, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოში ცნობილი და ქართველი გამოჩენილი მუსიკოსები, კომპოზიტორები და ქორეოგრაფები მათი ნაწარმოებების, შესრულებული კომპოზიციების ხმოვანი ჩანაწერების მოსმენის შესაძლებლობით; თანამედროვე საკონცერტო დარბაზით „ბლექ სი არენა“, სადაც მსოფლიოს ცნობილი მუსიკოსები მართავენ არაერთ კონცერტს და უნიკალური დენდროლოგიური პარკით.

3. **გომისმთა _ მთის კურორტი**

ოზურგეთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მთის კურორტია. განსაკუთრებით პოპულარულია ზაფხულში ღრუბლების ზღვის სანახავად. შემოქმედის მონასტრის აღწერაშიც ჩანს, რომ ეზოდან გომისმთის მიმართულებით ხედებია.

4. **ნასაკირალი**

ნასაკირალი გამორჩეული მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია აქ არსებული მინერალური წყლების გამო. ტყის კორომში მოედინება გოგირდ-წყალბადის შემცველი ქლორიდულ ნატრიუმიანი წყლები (საერთო მინერალიზაციით 3,8-7,8 გ/დმ^3). სამი ჭაბურღილიდან ერთი სასმელად ვარგისია. წყალი გამოიყენება წყლის აბაზანების მისაღებად გულ-სისხლძარღვთა, საყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვებისა და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებათა სამკურნალოდ და ასევე სასმელად კუჭის ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობის მიზნით. სეზონი, როგორც წესი, 20 ივნისიდან იწყებოდა. კურორტის ინფრასტრუქტურა ამჟამად არ ფუნქციონირებს და საჭიროებს განვითარებას.

რატომ უნდა მოინახულო: სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ, განსხვავებული სამკურნალო მინერალიზაციის მქონე წყლის დასაგემოვნებლად.

5. **ვაკიჯვარი**

1983 წელს ვაკიჯვრის მიდამოებში კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა გვიანდელი ბრინჯაოს, ადრეული რკინის ხანის მეტალურგიული სახელოსნო. გარდა ამისა, სოფელში აღმოჩენილია ასევე ძვ. წ. XII-XI საუკუნეების ბრინჯაოს ნივთების განძი.

რატომ უნდა მოინახულო**:** უძველესი არქეოლოგიური საიტის მოსანახულებლად.

6. **შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი – აუცილებლად სანახავი**

ეს არის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული/სულიერი ადგილი ოზურგეთის მხარეში. მდებარეობს სოფელ შემოქმედში, მდინარე ბჟუჟის მარცხენა ნაპირზე, მწვანეში ჩაფლულ შემაღლებულ ადგილზე; მონასტრის ეზოდან ხედებიც იშლება გურიის მთებისკენ. მონასტერი მნიშვნელოვანია რელიგიური, კულტურული მემკვიდრეობის, ადგილობრივი იდენტობისა და ეკოტურისტული მარშრუტების განვითარების თვალსაზრისით.
რატომ უნდა მოინახულო: ძველი მონასტერი, გურული ლანდშაფტი, კარგი ხედები, მარტივი მისასვლელი.

7. **აჭის წმინდა გიორგის ეკლესია**

გამორჩეული ძველი ტაძარია. წყაროები მას XIII საუკუნით ათარიღებენ; მდებარეობს სოფელ აჭში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ის ოზურგეთიდან დაახლოებით 9 კმ-შია, მდინარე აჭისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ეკლესია მნიშვნელოვა-

ნია რელიგიური, კულტურული მემკვიდრეობის, ადგილობრივი იდენტობისა და ეკოტურისტული მარშრუტების განვითარების თვალსაზრისით.

რატომ უნდა მოინახულო: ძველი გურული არქიტექტურა, უნიკალური ფრესკები, მშვიდი გარემო.

8. **ჯუმათის მონასტერი**

ჯუმათის მონასტერი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული და ტურისტული ატრაქციაა. ტაძარი მდებარეობს მაღლობზე, საიდანაც იშლება გურიის ლანდშაფტისა და შავი ზღვის მიმართულების ხედები, რაც მას როგორც რელიგიური, ისე რეკრეაციული ტურიზმისთვის მიმზიდველ ადგილად აქცევს. მონასტერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის, ადგილობრივი იდენტობისა და ეკოტურისტული მარშრუტების განვითარების თვალსაზრისით.

9. **ლიხაურის ეკლესია და ლიხაურის ციხე/ლეხოურის ციხე**

ლიხაურის ძველი ტაძრები და ციხის ნაშთები საინტერესო ატრაქციაა. ტურისტულ წყაროებში აჭის ეკლესიის ახლომდებარე ობიექტებად მითითებულია ლეხოურის ციხე და შემოქმედის კომპლექსი. ეკლესია, ისევე როგორც ციხესიმაგრე, მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის, ადგილობრივი იდენტობისა და ეკოტურისტული მარშრუტების განვითარების თვალსაზრისით.

რატომ უნდა მოინახულო: ისტორიული სოფელი, ტაძარი და ციხის ნანგრევები.

10. **ასკანის ციხე**

თუ ციხეები გაინტერესებს, ასკანის ციხე ერთ-ერთი მთავარი ციხესიმაგრეა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კატეგორიაში ოზურგეთის არქიტექტურულ ძეგლებად მითითებულია ასკანის ციხე, აჭის ეკლესია, შემოქმედის მონასტერი და ჯუმათის მონასტერი. ციხესიმაგრე მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის, ადგილობრივი იდენტობისა და ეკოტურისტული მარშრუტების განვითარების თვალსაზრისით.

11. **ოზურგეთი – ქალაქის ცენტრი და ბაზარი/კაფეები**

ოზურგეთი გურიის ადმინისტრაციული ცენტრია და ისტორიულ წყაროებში XVI საუკუნიდან იხსენიება. ისტორიული ადგილები ძირითადად ოზურგეთის გარშემო სოფლებშია.

12. **გურიის ეროვნული პარკი**

გურიის ეროვნული პარკი წარმოადგენს რეგიონის ახალ და მნიშვნელოვან ბუნებრივ ტურისტულ ატრაქციას, რომლის შექმნის მიზანია გურიის უნიკალური მთიანი ლანდშაფტების, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დაცვა.

პარკი დაგეგმილია ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, დაახლოებით 15 300 ჰექტარზე და მისი განვითარება ხელს შეუწყობს ეკოტურიზმის, ბუნებაზე დაფუძნებული ტურისტული მარშრუტებისა და ადგილობრივი თემებისთვის ალტერნატიული შემოსავლების გაჩენას. მწვანე განვითარების კონტექსტში გურიის ეროვნული პარკი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ბუნებრივი კაპიტალის დაცვის, კლიმატმედეგობის გაძლიერებისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი.

დანართი 3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის სტატისტიკა

მაჩვენებელი	რაოდენობა / ინფორმაცია	შენიშვნა
წლიური წონა	18 000 ტონა, 16 ტ პლასტიკი	მუნიციპალიტეტის მიერ გაზიარებული
კონტეინერები/ურნები 2025	1 572 ერთეული	2025 წლის ბიუჯეტის პროგრამული აღწერა
კონტეინერები/ურნები 2026	1 800 ერთეული	2026 წლის ბიუჯეტის მიხედვით გაზრდილი მაჩვენებელი
ნაგავმზიდები	11 ერთეული	4 ქალაქისთვის, 7 სოფლებისა და დაბებისთვის
ყოველდღიურად დასუფთავებული ფართობი — არსებული	356 680 მ²	2025 წლის ბიუჯეტის აღწერა
ყოველდღიურად დასუფთავებული ფართობი — დაგეგმილი	396 680 მ²	ქალაქი 248 680 მ²; სოფლები/თემები 148 000 მ²
გადამტვირთავი ინფრასტრუქტურა	ურეკის ნარჩენების გადამტვირთავი სადგური	სანაპირო ზოლისა და ოზურგეთის ნარჩენების შეკრების პუნქტი

წყარო: მუნიციპალური ბიუჯეტები 2025 და 2026 წლებისთვის

დანართი 4. მწვანე ბიუჯეტთან დაკავშირებით პირთა ნუსხა, რომლებთანაც მოხდა შეხვედრა, ინტერვიუ, სატელეფონო კონსულტაცია

პაატა კუნჭულია	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი
ბექა ჩხიკვიშვილი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
პავლე ჭყონია	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
ხათუნა სურგულაძე	ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
მარიამ დარჩია	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
თემურ მურვანიძე	ტრანსპორტის განყოფილების უფროსი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

ნატალია ხომერიკი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი
კობა ბანძელაძე	მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
ლიკა ღლონტი	ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის აპარატის უფროსი

გამოყენებული ლიტერატურა/ წყაროები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

მდგრადი ოზურგეთი, მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტი (2020). ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა (2020). ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP)(2023).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №16, 25 დეკ. 2024.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №12, 29 დეკ. 2025.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (BDD).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (BDD).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, 2026.

ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2024–2029, (2024, მარტი) CENN,

მწვანე გურია _ ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის,

https://ozurgetilag.ge/wp-content/uploads/2024/04/Ozurgeti_LDS_20240327.pdf.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №8 2019 წლის 13 მარტი, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4509524/0/ge/pdf .

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №351, 2021 წლის 13 ივლისი, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2025 წლებისთვის და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/5214991.

“Paris Collaborative on Green Budgeting”, Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), ,

https://www.oecd.org/environment/green-budgeting/.

Green Participatory Budgeting: Lisbon, Portugal

https://centreforpublicimpact.org/public-impact-fundamentals/green-participatory-budgeting-lisbon-portugal/.

Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives, SUBNATIONAL GREEN BUDGETING PRACTICES AND GUIDELINES, OECD Multi-level Governance Studies; Policy highlights

https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/support-materials/2022/06/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_db24014b/aligning-regional-local-budgets-with-green-objectives-policy-highlights-en.pdf.

Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives

https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/06/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_db24014b/93b4036f-en.pdf.

Environmental Aspects of Participatory Budgeting in Selected Cities in Europe.

https://journals.aserspublishing.eu/jemt/article/view/8874.

Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives, Subnational Green Budgeting Practices and Guidelines

https://www.oecd.org/en/publications/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_93b4036f-en.html.

Participatory Budgeting as a Tool for Smarter Cities: What's Next?

https://newpolis.media/participatory-budgeting-as-a-tool-for-smarter-cities-whats-next/ .

GREEN BUDGETING AT THE NATIONAL AND SUBNATIONAL LEVELS

https://web-archive-storage.oecd.org/aemint-web-archive-prod/web-archive/08/08d669f5c8558eb0ac46938dfc7711afbfb6362cd3e1a639b08a37deaacaac10.pdf.

Covenant of Mayors East

https://com-east.eu/countries/georgia/ .

Primer on the Disaster Risk Reduction and Management (DRRM) Act of 2010, Republic Act # 10121, DRRNetPhils

Disaster Risk Reduction Network Philippines

https://downloads.caraga.dilg.gov.ph/Disaster%20Preparedness/DRRM%20Act%20Primer.pdf.

SUMMARY OF OZURGETI MUNICIPALITY GREEN BUDGETING PROJECT

The **Ozurgeti Municipality Green Budgeting Project** is a pilot analytical and advisory document prepared with the active involvement of Ozurgeti Municipality and the support of CENN. Its main purpose is to assess the municipality's budget from an environmental perspective and to support the gradual integration of green budgeting into the local public finance system. The document analyses the municipality's strategic planning framework, budget documents, annual budget execution, sectoral priorities and legal obligations, and provides recommendations for the 2027–2029 budget planning cycle.

The report is important because it presents one of the first municipal-level green budgeting approaches in Georgia. It does not treat green budgeting as a separate or parallel process, but rather as a way to improve the existing program budgeting system. The core idea is that municipal expenditures should be assessed not only by financial allocation and execution, but also by their environmental, climate and sustainable development results. This includes identifying expenditures related to environmental protection, climate change mitigation, climate adaptation, energy efficiency, sustainable infrastructure, water management, waste management, disaster risk reduction, green public spaces, sustainable mobility and green economic development.

The report defines green budgeting as a tool for aligning budget decisions with environmental and climate objectives. It highlights that green budgeting can help municipalities improve transparency, strengthen accountability, optimize the use of resources, and attract public, donor and private financing for green projects. The document also notes several challenges that usually accompany the introduction of green budgeting at the municipal level, including **methodological constraints**, **limited data**, **insufficient coordination among municipal services**, **lack of green performance indicators**, and **the need for stronger political and administrative ownership**.

A central part of the report is the analysis of Ozurgeti's strategic policy framework. The municipality's development vision is directly linked to the idea of an economically growing, environmentally clean and attractive municipality for residents, tourists and investors. This vision creates a strategic basis for green budgeting, as local development is understood not only in terms of economic growth, but also in terms of environmental quality, sustainable infrastructure and climate resilience. The 2024–2027 Medium-Term Development Document is especially relevant because it includes infrastructure development, environmental protection, water supply, waste management, public spaces, transport, disaster risk prevention and sustainable urban development.

The report also connects green budgeting with the local Sustainable Development Goals framework. Ozurgeti has localized several SDGs, including those related to water and sanitation, energy, sustainable infrastructure, sustainable cities, responsible consumption and production, climate action and terrestrial ecosystems. This provides a useful basis for linking municipal programs and sub-programs with measurable sustainable development outcomes. The report recommends that budget programs should be marked according to their relevance to climate mitigation, climate adaptation, environmental protection and green economic development.

A particularly important strategic document analysed in the report is the **Sustainable Energy and Climate Action Plan (SECAP)**. The SECAP sets a target for reducing greenhouse gas emissions by 30% by 2030 compared to the business-as-usual scenario. According to the report, the 2019 baseline inventory showed total emissions of 66,498.07 tons of CO_2 equivalent and total energy consumption of 344,859.97 MWh. The buildings sector accounted for more than 99% of emissions, which makes energy efficiency in municipal, residential and non-municipal buildings a high priority. The SECAP identifies mitigation measures such as energy-efficient rehabilitation of municipal buildings, promotion of energy efficiency in residential buildings, modernization of street lighting with LED technologies and renewal of the municipal vehicle fleet with low-emission vehicles. It also includes adaptation measures related to green spaces, water supply and wastewater infrastructure, flood protection, landslide prevention, stormwater systems, health-related climate risks and awareness raising.

The report's budget analysis shows that **Ozurgeti already has a practical foundation for green budgeting, although the current budget documents do not yet use formal green or climate budget tagging terminology**. In the 2026 planned budget, total revenues are estimated at GEL 47.52 million and total payments at GEL 47.95 million. Two major budget priorities are particularly relevant for green budgeting: infrastructure development, with GEL 8.25 million, and cleaning and environmental protection, with GEL 5.4 million. Together, these two green or partially green priorities amount to around GEL 13.65 million, or approximately 28.5% of total payments. However, the report stresses that this amount should not be interpreted as entirely green expenditure. Some components are directly green, such as waste management, water systems, public spaces, energy-efficient street lighting and disaster risk prevention, while others, such as roads and municipal transport, should be treated as partially green only when they contribute to climate resilience, stormwater management, safe mobility or reduced dependence on private cars.

The 2025 budget analysis shows a different picture, with a much larger role for infrastructure and disaster-related financing. The 2025 budget revenues were set at GEL 100.73 million and total payments at GEL 109.79 million. State budget transfers played a major role, including GEL 55.52 million from the state budget, of which GEL 50.69 million came from funds. A significant share of these resources was directed to infrastructure and disaster-related

projects. The infrastructure development program amounted to GEL 67.58 million, while the cleaning and environmental protection program amounted to GEL 5.53 million. Together, the infrastructure and environmental protection programs accounted for approximately GEL 73.11 million, or ~67% of total payments. The report again warns that this should not be interpreted as fully green expenditure, because the total includes direct environmental expenditures, climate adaptation expenditures, partially green infrastructure and general infrastructure costs requiring more detailed technical classification.

The annual execution analysis for 2025 confirms that green budgeting can be built on existing municipal financial reporting. The municipality's budget increased significantly during the year, from GEL 43.4 million at the beginning of the year to GEL 109.9 million by the end of the year, while actual cash expenditures reached GEL 88.97 million, or 81.0% of the annual plan. The report finds that the clearest green expenditures were related to cleaning and environmental protection, waste management, water supply, street lighting with energy-efficiency potential, and climate adaptation through disaster-related measures. At the same time, the report identifies the need for a more precise green budget tagging table in future budget execution reports, where each program and sub-program would be classified by environmental protection, climate adaptation, climate mitigation, sustainable urban development, partially green expenditure or non-green expenditure.

The report highlights several **cross-cutting thematic areas** that should become part of Ozurgeti's green budgeting system. These include environmental governance, environmental education, disaster risk management, green business support, green public procurement and international cooperation. Environmental governance should be strengthened through better coordination among municipal services and closer alignment with national policy documents, including environmental policy, waste management, water resources management, climate policy and rural development strategies. Environmental education should be used to involve schools, youth, communities and businesses in practical green initiatives. Disaster risk management is especially important for Ozurgeti due to risks related to heavy rainfall, floods, landslides, riverbank erosion and coastal pressures. Green business support should help local SMEs, farmers, tourism operators and service providers adopt energy-efficient, resource-efficient and environmentally friendly practices. Green public procurement should gradually introduce environmental criteria into municipal purchases, especially for LED lighting, energy-efficient equipment, transport, construction materials, waste services and public infrastructure.

The sectoral analysis identifies several priority areas for green budgeting. In agriculture and rural development, the report emphasizes climate-smart agriculture, efficient water use, soil protection, windbreak restoration, low-chemical production, energy-efficient greenhouses, small-scale processing, agro-tourism and stronger coordination with national support programs. In the energy sector, the main priorities are energy efficiency in public buildings, LED street lighting, small-scale renewable energy, energy-efficient water and wastewater systems, low-emission transport and energy audits of

municipal buildings. In tourism, the report recommends linking tourism development with environmental standards, waste management in tourist zones, eco-trails, local product branding, green jobs and protection of coastal, mountain and cultural landscapes. In the forestry sector, the report treats forests as ecological, climate and economic assets and recommends preventive greening of erosion-prone and landslide-prone areas, eco-trails, environmental education and measures to reduce pressure on forests through more energy-efficient heating alternatives. In waste management, the report recommends moving beyond collection and transport toward waste prevention, separation, recycling, composting, illegal landfill prevention and better data collection. In the water sector, the report emphasizes water supply, wastewater management, river basin management, flood and erosion prevention, water quality monitoring and better integration of water-related risks into municipal planning.

From a **gender perspective**, green budgeting in Ozurgeti Municipality should be understood not only as an environmental or fiscal tool, but also as an instrument for inclusive local development. Environmental and climate-related municipal programmes affect women, men, youth, elderly people and vulnerable groups in different ways, especially in sectors such as water supply and sanitation, waste management, public lighting, sustainable tourism, agriculture, green business, environmental education and disaster risk management. Improved water and sanitation services can reduce the unpaid care burden within households, while safer public spaces, better lighting and cleaner tourist and recreational areas can increase mobility, safety and access to services for women and girls. Green business, agro-tourism and local product development can create new income opportunities for women, particularly in rural communities, if training, finance, technical assistance and market access are designed inclusively. Therefore, Ozurgeti's green budgeting process should introduce gender-sensitive indicators, including the number of women and men benefiting from green programmes, women entrepreneurs supported through green business measures, women's participation in public consultations and environmental training, and the impact of municipal investments on safety, access to services and economic opportunities. Integrating gender considerations into green budgeting will make the municipality's environmental policy more equitable, participatory and results-oriented.

The main recommendation of the report is that green budgeting should become a regular part of Ozurgeti Municipality's budget cycle. This means that green priorities and markers should be identified during preparation of the priorities document; program budgets should include green objectives, expected results and indicators; the draft budget should be accompanied by a short green budget review; implementation should monitor not only spending but also environmental and climate results; and the annual budget execution report should include a dedicated green budget section. Suggested indicators include the amount of separated or recycled waste, the share of energy-efficient street lighting, electricity saved, rehabilitated water and wastewater infrastructure, improved green spaces, climate-risk-reduced areas, number of eco-tourism routes, number of

farmers using climate-smart practices and number of schools or communities involved in environmental education.

Overall, the report concludes that Ozurgeti Municipality already has a strong basis for green budgeting because many existing programs are directly or indirectly related to environmental protection, climate adaptation, energy efficiency, water security, waste management, disaster risk reduction and sustainable local development. The main challenge is not the absence of green activities, but the lack of a systematic tagging, monitoring and reporting framework. Therefore, the next step should be the institutionalization of green budget tagging and the introduction of measurable environmental and climate indicators into the program budget and annual reporting system. This would allow Ozurgeti to demonstrate how its budget contributes to a cleaner environment, stronger climate resilience, better public services, sustainable tourism, greener rural development and improved quality of life for local communities.